ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№040(12719) 19 თებერვალი ხუთშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა




# ფაჩულია ფინიქსში... კოკოშკოვთან?

# მილანი ფავორიტად რჩება

## როსონერიმ ბრემენიდან მერვედფინალი დაინაზა




ტექნიკური შედეგები >> 15

ინძაგი ხსნის ანგარიშს



# სანიკიძე 16 ქულით დაბრუნდა

საკალათბურთო ამბები >> 12




# საიდან სადაო?!

კატალონია ესპანეთის მსხვილი რეგიონია, სადაც ამ დღეებში სამეცნიერო კონფერენცია ტარდება. იქ ბრძანდება საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც, რომელმაც დრო გამონახა და „ბარსელონას“ ოფისს ეწვია. სააკაშვილს „ბარსას“ ბოსმა ჟოან ლაპორტამ უმასპინძლა. ლაპორტამ სტუმარს საკლუბო მუზეუმი დაათვალიერებინა და „კამპ ნოუზეც“ გაუძღვა, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა, „ბარსელონას“ ახალწვეულივით, ბურთი აკენწლა და ლაპორტას გაუმხილა - „ბარსა“ ყოველთვის მომწონდა და მისი დიდი ქომაგიც ვიყავიო...









## ახალი სპონსორები კი არა, ნეტავ ძველები შევინარჩუნოთ

>> 2 ინტერვიუ



## სად გადის ქართული სატრანსფერო სარკმელი?

შეჯამება

>> 3



## მზად ვარ, ეს ტვირთიც ვზიდო

ინტერვიუ ლევან ცქიტიშვილთან

>> 4

ინტერვიუ

დიმიტრი რამიშვილი

# ახალი სპონსორები კი არა, ძველების შენარჩუნებაც ჭირს

## რატომ ჩაიშალა შავი ზღვის აუზის ტურნირი...

**სახელმწიფო პროგრამის განხორციელების პერსპექტივა, სპონსორებისა და ინვესტიციების ბედი დღევანდელ ვითარებაში, რეგიონული ტურნირები, ბიზნესის წახალისების სისტემა ასე შემდეგ. მოკლედ, პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი მრავალ საინტერესო თემაზე გვესაუბრება...**

**- ბატონო დიმიტრი, შეიძლება უკვე ითქვას, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელება გადადო?**

- კი, სანუხაროდ, ასეა. აგვისტოს ომმა და ამ კრიზისმა ცუდ დღეში ჩაგვაგდო...

**- შეპირებულ 2 მილიონ ლარს რა ბედი ეწევა? 2010 წლისთვის მაინც არის ამ თანხის მიღების იმედი?**

- სავარაუდოდ, ასეც იქნება. ლაპარაკი იყო არა მხოლოდ 2 მილიონი ლარის გამოყოფაზე, არამედ უმაღლესი ლიგის კლუბებისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობაზეც. პროფლიგამ მოამზადა ის საფუძველი, რის შემდეგაც სახელმწიფო პროგრამის განხორციელება ეფექტური იქნებოდა. ვგულისხმობ ეროვნული ჩემპიონატის, თასისა და სუპერთასის კომერციალიზაციას, საბილეთო სისტემის ამუშავებას, სპონსორებთან ურთიერთობის სტაბილურობას, მედიაკომპანია „კოლხიდას“... 2 მილიონი ლარი ჩემპიონატს აუცილებლად გააძლიერებდა, უმაღლესი ლიგის კლუბებისთვის ფინანსური სტაბილურობის გარანტი გახდებოდა. სამწუხაროდ, ახლა ეს ვერ მოხერხდება...

**- საპრიზო ფონდი დაახლოებით ასეთი პრინციპით ნაწილდებოდა - მდიდარი უფრო გამდიდრდებოდა, ღარიბი კვლავ ღარიბად დარჩებოდა. არ შეიძლებოდა, თანაბრად განაწილება?**

- ამ ფონდის დანიშნულება სწორედ გუნდების ბიუჯეტის გაზრდაა. მაგრამ ცუდი ის არის, რომ ბევრ ჩანაფიქრს ვერ განვახორციელებთ, მათ შორის, ლიგის თასის დაარსებასაც. საფუძვლების შექმნის შემდეგ ჩვენი ჩემპიონატით, თასითა და სუპერთასით დაინტერესდება მედიაც, სპონსორიცა და ინვესტორიც. ეს ერთმანეთზე გადაბმული საკითხებია.

**- ცოტა ხნის წინათ, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ნიკა რურუამ ქართული კინოსთვის შეღავათების დაწესებაზე ილაპარაკა. რიგში ფეხბურთი ხომ არ დგას?**

- აქ უნდა იყოს ლაპარაკი გარემოზე, იმ საფუძვლებზე, რაც ბიზნესს წაახალისებს. ეს წახალისების სისტემაც სწორედ უნდა იყოს გათვლილი. თურქეთში სასტუმროები და სპორტული კომპლექსები იმიტომ არის იაფი, რომ წყლის გადასახადი არ აქვთ. ბიზნესისთვის ეს უდიდესი წახალისებაა, კერძოდ, სასტუმროებში მოედნების მოსაწყობად. თუნდაც წყლის გადასახადის შემცირებაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე ბევრჯერ გვისაუბრია. ამით მოედნების მოვლა გაადვილდება და ხარჯებიც მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. მერწმუნეთ, ეს საქართველოშიც გამოიწვევდა ინფრასტრუქტურულ ბუმს. ეს იქნებოდა წახალისება არა მარტო ფეხბურთისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც. მაგრამ მხოლოდ შეღავათები და გადასახადებისგან გათავისუფლება არ არის გამოსავალი. ყველას გვახსოვს, თუ რა მოხდა თბილისის „დინამოს“ შემთხვევაში... სასურველ გარემოზე რომ ვლაპარაკობ, ვგულისხმობ იმასაც, რომ არ შეიძლება, სპორტული ობიექტის ქარხნის ტარიფით დაბეგვრა - აბსოლუტურად განსხვავებული შემოსავლებია. დღეს უკვე ახალი სპონსორების მოზიდვა კი არა, ძველების შენარჩუნებაც ჭირს, ვინც გვყავს, ინვესტიციას ისინიც ამცირებენ.

**- ანუ, პროფლიგის სასპონსორო ხელშეკრულებების შეწყვეტაა მოსალოდნელი?**

- ლაპარაკია თანხების შემცირებაზე. ვცდილობთ, პარტნიორებს შევუთანხმდეთ და არსებული დაფინანსება შევინარჩუნოთ... აქვე, მინდა მადლობა გადავუხადო ფეხბურთის ფედერაციას, ასეთ რთულ ვითარებაში ჩემპიონატის სტიმულირებისთვის 200 ათასი ლარი რომ დაგვითმო.



**- სეზონის დაწყებამდე ლიცენზირების კომიტეტი ამოწმებს, რომელი კლუბი პასუხობს უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს და რომელი - ვერა. წინასწარ ხომ იყო ცნობილი, ვის არ ჰქონდა ფული?**

- კლუბები სეზონის დასაწყისში გადიან ლიცენზირებას. მოწესრიგებული საბუთებისა და საგარანტიო წერილების გარეშე კლუბს უმაღლეს ლიგაში არ ვუშვებთ. თუმცა მერე რაც ხდება, ეს უკვე თავად კლუბის მენეჯმენტის პრობლემაა. შესაძლოა, ზოგიერთი თანხას კარგად ვერ ანაწილებს და ნაადრევად ხარჯავს...

**- კი, მაგრამ ცნობილი იყო, რომ „ბორჯომში“ ლამის 2008 წლის მარტიდან არ გაიცემოდა ხელფასები, სეზონის დასაწყისში ფული არც „მესხეთს“ ჰქონდა...**

- მთავარი პრობლემა კლუბების არასტაბილურობაა. გარანტიებს სეზონის დაწყებამდე ვიღებთ, მაგრამ კლუბები ისე ხშირად იცვლიან დამფინანსებლებსა თუ ხელმძღვანელებს, ძნელია, ვითარება ბოლომდე აკონტროლო. ამიტომაც ვამბობთ - უმაღლეს ლიგაში უნდა იყოს იმდენი კლუბი, სეზონის ბოლომდე ფინანსურ სტაბილურობას რომ უზრუნველჰყოფს.

**- აუტსაიდერებს იმედები გაუჩნდათ, რომ არ გავარდებიან. მართალია, თითქოს უმაღლეს ლიგაში გუნდებს ამატებენო?**

- არა, რა სისულელეა? ჯერ ერთი, სულაც არ მიმაჩნია, რომ პირველ ლიგაში თამაში კატასტროფაა. უმაღლესის გაზრდას კი არა, 10 გუნდამდე შემცირებას ვაპირებთ. და რა აზრი აქვს გაზრდას, ბევრი მდიდარი კლუბი გვყავს? ძველი შეცდომების გამეორებას არ ვაპირებთ.

**- თქვენი აზრით, საქართველოში რეალურია კლუბების სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბება? ამაზე ვეტერანმა ფეხბურთელმა გია გილიგაშვილმა ისაუბრა „ლელოსთან“ ინტერვიუში...**

- მართლაც ძალიან საინტერესო იდეაა და ვფიქრობ, მისაღებიც. თუმცა ამას სერიოზული მომზადება სჭირდება, რადგან ადრე თუ გვიან ასეც უნდა მოხდეს - გულშემატკივრებმა და ბიზნესმენებმა საყვარელი კლუბის აქციები უნდა შეიძინონ.

**- ახლა რა უშლის ამას ხელს?**

- იმ ელემენტარული პირობების არქონა, კლუბი კლუბს რომ დაემსგავსოს. ჯერ კლუბების სტრუქტურაა ასაწყობი. ბუნებრივია, მათ მიმართ ნდობა არ არსებობს, ამის გარეშე კი აქციებს ვინ იყიდის? ასეა თუ ისე, სააქციო საზოგადოება მართვის პროგრესული ფორმა და ბიუჯეტის სტაბილურობის გარანტიაა.

**- კიდევ ერთი საინტერესო თემა, რომელზეც გია გილიგაშვილმა ისაუბრა - შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონატია. თქვენ ამ ტურნირის ორგანიზატორებს შორის იყავით, თუმცა ბოლოხანს ამაზე არაფერი ისმის...**

- ქართული ფეხბურთისთვის ეს მშვენიერი ტურნირი იქნებოდა. საორგანიზაციო ჯგუფი ჯერ საბერძნეთში შეიკრიბა, შემდეგ თურქეთში. სამწუხაროდ, მიუხედავად მრავალმხრივი სურვილისა, ბევრმა პრობლემამ იჩინა თავი. პირველია შეჯიბრების გამართვის დრო. საბერძნეთის, თურქეთის, რუსეთისა და უკრაინის გუნდები ჩემპიონთა ლიგის მუდმივი მონაწილეები არიან და „ფანჯარა“ ვერ მოძებნეს. შეთანხმება ვერ მოხერხდა ვერც სატელევიზიო და სარეკლამო უფლებებზე. ეს იყო დაახლოებით ისეთივე პრობლემები, რამაც, ფაქტობრივად, მოკლა თანამეგობრობის თასი. სხვათა შორის, იქ იმხელა სანევროებზე იყო ლაპარაკი, შესაძლოა, ტრანსპორტირებისა და ამ სანევროების გამო ქართულ კლუბებს ხალისიც დაკარგვოდათ. პირველი ტურნირის ორგანიზატორი თურქეთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ კლუბების დათანხმება ვერ შესძლეს. ზაფხულის ვარიანტი არ აწყობდათ, ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპამდე ისედაც მცირე დრო რჩებოდა... გული მწყდება, რომ ეს მშვენიერი იდეა ვერ განხორციელდა. ისე, არც მიკვირს - უეფას სახსრებით ტარდებოდა ინტერტოტოს თასი და ხომ ნახეთ, ვერ გაამართლა. მოკლედ, იდეა ჩაიშალა.

**- კიდევ ერთი რეგიონული ტურნირის პროექტი ფეხბურთის ფედერაციას ლევან ყიფიანმა შესთავაზა. ამით ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძეც დაინტერესდა...**

- დიახ, ლაპარაკი იყო ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გუნდების ტურნირზე. ჩემი აზრით, კავკასიის თასი უფრო პერსპექტიული ტურნირი იქნება, მაგრამ სომხეთსა და აზერბაიჯანს რა ვუყოთ? ვინ ათამაშებს მათ ერთმანეთთან? მოკლედ, ამ პრობლემამ კავკასიის თასის ჩატარებაც გამორიცხა...

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# ოლიმპიური კონკურენცია

მეორე ეტაპის დაწყების წინ რუსთავის „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელ **ვარლამ კილასონიასთან** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი გუნდის თავკაცს მოსამზადებელი ეტაპის შეჯამება ვთხოვეთ; საუბრის ბოლოს კილასონიამ გაგვიმხილა, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე „ოლიმპში“, მინიმუმ, ერთი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდებოდა. ეგ კი არა, გარკვეული ინტრიგაც დაგვიტოვა - რუსთავული კლუბის ახალწვეული ქართველი გულშემატკივარისათვის ცნობილი სახე იქნებაო! და აი, ინტრიგაც მორჩა: რუსთავის „ოლიმპში“ ერთდროულად ორი ახალი ფეხბურთელი ჩაირიცხა; თანაც, დაპირებისამებრ, ორივე ფეხბურთელის ეროვნულ ჩემპიონატში გამოჩენამ თავისთავად, დიდი ინტერესი უნდა გამოიწვიოს: **ზაქარია ბეგლარიშვილი და გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე („პაჭელო“)** ნამდვილად არ არიან რიგითი მოთამაშეები. მოკლედ, არავინ უარყოფს, რომ ისედაც მშვენიერ ფორმაში მყოფი „ოლიმპი“ კიდევ უფრო გაძლიერდა: ბეგლარიშვილი და ჭელიძე ხომ ფეხბურთელთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლიათ. ამას გარდა, თვითონ ფეხბურთელებისათვისაც უაღრესად სასარგებლო იქნება სეზონის ბოლომდე საკმაოდ ძლიერ გუნდში ასპარეზობა და სათამაშო პრაქტიკის მიღება.

18 წლის ბეგლარიშვილი უკვე კარგა ხანია ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ქართველ ფეხბურთელად მიიჩნევა. შესაშური მონაცემები რომ არ ჰქონოდა, ჰოლანდიურ გუნდებში („აიაქსში“ და „ტვენტეში“) სტაჟირებაზე არავინ მიიწვევდა. თუმცა, მეორე მხრივ, ამ ნიჭიერ ჭაბუკ ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკაც სჭირდება და იმედია, „ოლიმპში“ თავისი შესაძლებლობების დამტკიცება არაერთხელ მიეცემა.


გიორგი ჭელიძე


ზაქარია ბეგლარიშვილი

ბეგლარიშვილზე ოთხი წლით უფროსია გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, ვისაც საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში აქვს ნათამაშები. „პაჭელო“ ყველა იმ საჭირო თვისებით არის დაჯილდოებული, თანამედროვე ფორვარდს რომ უნდა ჰქონდეს; სწრაფია, ძლიერი დარტყმაც აქვს, თავითაც კარგად თამაშობს და არც პოზიციის შერჩევა დაეწუნება. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა. შესაძლოა, ყოველივე იმის ბრალიც იყო, რომ ნამეტნავად ახალგაზრდა გაემგზავრა რუსეთში; თანაც, გუნდს ხომ გააჩნია - მოსკოვის „ლოკომოტივი“ ბოლო წლების რუსული ფეხბურთის გრანდად მიიჩნევა. „თბილისი“, ბათუმის „დინამო“, „ზესტაფონი“ - „პაჭელოს“ საქართველოში ამ გუნდებში უთამაშია და ყველგან ერთ-ერთი ლიდერი იყო. სამწუხაროდ, უკანასკნელ გუნდში - ბაქოს „ნეფთჩიში“ საქმეები მთლად იდეალურად ვერ წაუვიდა. არა უშავს - ახლა რუსთავის „ოლიმპშია“ და ბეგლარიშვილის მსგავსად, ალბათ, ყოველმხრივ შეეცდება საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას.

რაღა თქმა უნდა, ამ ორი ახალგაზრდა ახალწვეულის დამატება რუსთავის „ოლიმპსაც“ დიდად წაადგება. ყოველ შემთხვევაში, ნახევარდაცვასა და თავდასხმაში კონკურენცია ბევრად გაიზრდება. ეს კი, მაღალი მიზნებისათვის მებრძოლი გუნდისთვის არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია.

დაბოლოს, იმასაც ვიტყვით, რომ „ოლიმპში“ მატჩებასთან ერთად დანაკლისიც არის - გამოცდილ ნახევარმცველს **გიორგი გაბიდაურს** დღეიდან უკვე სხვა გუნდში ვიხილავთ.

**გია ტუხაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

შეჯამება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მილიონი, მილიონი... ევრო

## სად გადის ქართული ფეხბურთის სატრანსფერო სარკმელი

ევროპაში ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა კარგა ხანია დაიხურა და ქართველ ფეხბურთელთა (ამ შემთხვევაში ლეგიონერთა) დიდი ნაწილიც დაბინავდა. როგორი იყო ჩვენთვის ზამთრის სატრანსფერო ბაზარი? - მწირი, იშვიათი გაბრწყინებებით. ხშირად ის მართლაც ბაზარს მოგვაგონებდა, ქალაქის ბოლოში მყოფს, სანახევროდ მიტოვებულს, სადაც ყოველ მყიდველზე ათჯერ მეტი გამყიდველი მოდის, ყოველ პროდუქტზე კი ორი-სამი გამსალებელი. თუმცა მილიონი ევროს ამბავმა ნათელი ფერებიც შესძინა სატრანსფერო ციებცხელებას. საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელის სანაცვლოდ მილიონი ევრო გადაიხადეს! ერთადერთი, რაც ბექა გოცირიძის ტრანსფერში უსიამოვნოა, არის დანიშნულების ადგილი - უკრაინა ის არ არის, რაც ქართველ გულშემატკივარს უნდა. დიახ, ეს არის საფეხბურთო ევროპა...


ბექა გოცირიძე

### ერთი მილიონი, რომელიც გაზაფხულს მოიყვანს?

რომელი იყო ამ ზამთრის ყველაზე „მყვირალა“ ქართული ტრანსფერი? საქართველოს ნაკრების შემტევ **ბექა გოცირიძის** გადასვლა „ზესტაფონიდან“ უკრაინულ „დნიპროში“, თუ თბილისის „დინამოს“ გოლკიპერ **გიორგი მაკარიძის** ტრანსფერი ფრანგულ „ლე მანში“? ჩვენ პირველი ვარჩიეთ და თუ რატომ, ამას ქვემოთ ავხსნით, როცა მაკარიძის ტრანსფერს კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით.

მაშ ასე, იანვრის დასაწყისში 20 წლის ბექა გოცირიძემ 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა „დნიპროსთან“, რომელსაც ეს ტრანსფერი მილიონი ევრო დაუჯდა. თანხის ოდენობის შესახებ პირველად „ლელომ“ დაწერა, მალე „ზესტაფონის“ ოფიციალურმა ვებგვერდმაც დაადასტურა ამ ინფორმაციის სისწორე. მილიონი ევროს ამბავი უკრაინულ (რუსულ) წყაროებში შედარებით მოგვიანებით გავრცელდა, თუმცა „დნიპროს“ ხელმძღვანელობას ამის უარყოფა არც უცდია. გამოდის, რომ საქართველოს ჩემპიონატიდან ფეხბურთელი მილიონად გაიყიდა, ეს კი უკვე დიდი წარმატებაა.

საქართველოს საბრალო პირველობა არ არის განებივრებული ამგვარი ტრანსფერებით, თორემ ეროვნული ნაკრების პერსპექტიულ შემტევში, წესით, დაახლოებით ამდენსაც იხდიან და მეტსაც. მოკლედ, ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერის ავტორი უკვე თვეზე მეტია უკრაინულ გუნდთან ერთად ემზადება სეზონის განახლებისთვის. ის გუნდის მესამე ქართველია **ჯაბა კანკავასა** და **სანდრო კობახიძის** შემდეგ. ჯერჯერობით, ბექას სპარინგმატჩებში გოლი არ გაუტანია, ერთხელ მცირე ტრავმაც მიიღო, თუმცა მთავარი მაინც ჩემპიონატია. გოცირიძეს უკრაინულ ვიშალიგაში დებიუტი, წესით, დნეპროპეტროვსკში, 28 თებერვალს, „ლვივის“ წინააღმდეგ ექნება...

### 800 ათასი ვის?

ამ ზამთარს საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე „ლე მან უნიონ კლუბ 72-ის“ წევრი გახდა ეროვნულ ნაკრებში ნათამაშები გოლკიპერი **გიორგი მაკარიძე**. მან ფრანგულ გუნდს 4 წლით დაუკავშირა ბედი. 18 წლის მეკარისთვის ბრწყინვალე ტრანსფერია, თუმცა არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რის გამოც მაკარიძის ამ გადაბარგებას „ზამთრის ქართული ტრანსფერის“ სტატუსი არ მივანიჭეთ - ოფიციალურად, ის ჯერ მხოლოდ „ლე მანის“ მეორე შემადგენლობის წევრია, ისევე როგორც მისი თანამემამულეები - **ამირან სანაია** და **ვახტანგ ფანცხავა**. სხვათა შორის, მაკარიძის ტრანსფერთან დაკავშირებით გაუგებრობები დღესაც რჩება - ჩვენი ინფორმაციით, ის ჯერ თავისუფალი აგენტი გახდა და შემდეგ გადავიდა „ლე მანში“, ამასვე ამტკიცებდა მაშინ კლუბის ოფიციალური ვებგვერდიც, თუმცა უცხოურ წყაროთა დიდი ნაწილი და მათ შორის ცნობილი ESPN, ჯიუტად იმეორებდნენ, რომ ფრანგებს მაკარიძის ტრანსფერი 800 ათასი ევრო დაუჯდათ (?!)

### მესამედ მისვლა

შუაგულ ევროპაში აღმოაჩინეს, რომ ჩვენს პირველობაზეც თამაშობენ საინტერესო ფეხბურთელები. იანვარში უნგრული სარკმელი თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველმა **დავით ოდიკაძემ** გაჭრა, რომელმაც დღესდღეობით აუტსაიდერებში მყოფ „დიორი ეტოსთან“ სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. 28 წლის ნახევარმცველს ზუსტად ნახევარ თვეში „ლოკომოტივის“ ფორვარდი **რატი ალექსიძეც** მიჰყვა. 30 წლის ალექსიძემაც „დიორი ეტოსთან“ ანალოგიური ხანგრძლივობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. სხვადასხვა მიზეზის გამო, ორივეს მოუწია გარკვეული პაუზის შემდეგ ფეხბურთში დაბრუნება და ორივემ ეს წარმატებით შეძლო...

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში კიდევ ერთი ევროგარიგება განხორციელდა - 32 წლის **ლევან ცქიტიშვილმა** მესამედ შეცურა გერმანულ მდინარეში. ამჯერად, ნაკრების გამოცდილი ნახევარმცველი ვისბადენის „ვეენში“ ითამაშებს და ეცდება, ამ გუნდს მეორე გერმანულ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმაროს.

**მიხეილ ხუციშვილი** აზერბაიჯანიდან სერბულ „ნოვი სადში“ მოხვდა. სამწუხაროდ, არის საპირისპირო მაგალითიც - სულ ახლახან, ჩეხურმა „მლადა ბოლესლავმა“ კონტრაქტი გაუწყვიტა 20 წლის **გიორგი განუგრავას**, რომელმაც ჩეხებს იმედები ვერ გაუმართლა..


რატი ალექსიძე

### რუსული ანდამატი

ამ ქვეყანასთან აგვისტოში ომი გვქონდა, ის ჩვენი ტერიტორიების ნაწილს უკანონოდ აკონტროლებს, მასთან დიპლომატიური ურთიერთობაც არ გვაქვს... და მაინც, რუსული პრემიერლიგა (და არამარტო) ანდამატივით იზიდავს ჩვენს ფეხბურთელებს. არ იფიქროთ, რომ პოლიტიკაში ვიჭრებით, ვერც სპორტსმენებს დავძრახავთ, რადგან მათ ხომ ძალზე მოკლევადიანი კარიერა აქვთ... უბრალოდ, საოცარია - ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ხომ რუსეთში ქართველი ფეხბურთელის „მოწყობა“ უზომოდ გართულებულია. და მარტო თამაშიც ხომ არ არის - ძნელია შინ დაბრუნება და უკან წასვლა, სატრანსპორტო მიმოსვლის არარსებობისა და უვიზობის გამო.

ჯერჯერობით ვერც რუსული ფეხბურთი დაიკვეხნის, რომ ევროპული დონისაა (თუმცა ეს მოსაზრება საკამათოც შეიძლება იყოს). მაშ, რაშია საქმე? პასუხი ცალსახაა და პირდაპირ ვთქვათ - ფულში, დიდ ფულში. საშუალო რუსულ კლუბში გაცილებით მეტს იხდიან, ვიდრე საკმაოდ ძლიერ აღმოსავლეთევროპულ ან საშუალოევროპულში. ამას კიდევ ერთი უბედურება ემატება, რუსებმა ოდნავ გაამკაცრეს ლეგიონერებზე ლიმიტი, რის გამოც კლუბებმა დაიწყეს თავიანთი ლეგიონერების „გარუსება“. ფაქტია, რომ ეს ჩვენებურებსაც შეეხო - იქ მოთამაშე ქართველთა ლამის ნახევარი დღეისთვის რუსეთის მოქალაქეა. საბოლოო ჯამში კლუბებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ამით ლიმიტისგან თავი ვერ დაიხსნეს, რადგან რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ერთი ცვლილება შეიტანა წესში - ამიერიდან, ლეგიონერად ითვლება არა ის, ვისაც რუსეთის მოქალაქეობა არ აქვს, არამედ ის, ვისაც, ფიფას წესების მიხედვით, რუსეთის ნაკრებში თამაში არ შეუძლია. იგივე **ალექსანდრე ამისულაშვილი**, რომელიც ახლახან რუსეთის მოქალაქე გახდა, პრემიერლიგაში კვლავ ლეგიონერად ჩაითვლება.

ახლა კონკრეტულ სატრანსფერო სიახლეებზეც ვთქვათ - რუსეთში ჩვენებურთა რიცხვმა მოიმატა! რასაც, ალბათ, ნაკლებად წარმოვიდგენდით შარშან. პრემიერლიგაში აღზევებულ „როსტოვში“ ჩაირიცხა მცველი **კახა მჟავანაძე**, რომელიც ოდესის „ჩერნომორეცმა“ გაუშვა. უკრაინიდან რუსეთში სხვებიც გადაბარგდნენ - კიევის „დინამოს“ ვერმორგებულმა **ოთარ მარცვალაძემ** და **კახა ალადაშვილმა** ბედი მახაჩყალის „ანჟის“ დაუკავშირეს. პირდაპირ საქართველოდან წავიდნენ „ანჟიში“ **ედიკ საჯაია** და **სანდრო იაშვილი**. „ანჟიზე“ ცალკე ითქმის - ეს კლუბი ახალ „ალანიად“, ანუ ქართველ ფეხბურთელთა „სათვისტომოდ“ ჩამოყალიბდა. გაზაფხულიდან „ანჟის“ პრემიერლიგაში აღზევებისთვის ერთდროულად 9 ქართველი იზრუნებს, მთავარ მწვრთნელ **ომარ თეთრაძის** ჩათვლით.

რუსეთის ჩემპიონ „რუბინთან“ 3 წლით გააგრძელა ურთიერთობა საქართველოს ნაკრების მცველმა **ლაშა სალუქვაძემ**, რომელსაც კონტრაქტი გუნდთან წლის ბოლოს ამოეწურა, ჯერჯერობით კლუბში რჩება გოლკიპერი **ნუკრი რევიშვილიც**. მართალია, **ლევან გვაზავას** „ლუჩი“ პრემიერლიგიდან გავარდა, მაგრამ ნიჭიერი ნახევარმცველი არ დაიკარგა - უმალ გროზნოს „ტერეკის“ საკუთრება გახდა.

ცალკე უნდა ითქვას **გია გრიგალავას** ტრანსფერზე. ის „აიაქსში“ ისინჯებოდა, სადაც მოეწონათ, თუმცა საბოლოოდ არ დაიტოვეს. 19 წლის ქართველი მცველი უგუნდოდ არ დარჩენილა - იჯარით „მოსკვამ“ აიყვანა. გრიგალავას შემთხვევა განსაკუთრებულია, რადგან ის არა მარტო რუსეთის მოქალაქეა, არამედ რუსეთის ნაკრებში თამაშის უფლებაც აქვს. თავად ფეხბურთელიც აღიარებს, რომ გზაგასაყარზეა. ვფიქრობთ, მისი დაკარგვა დანაშაულის ტოლფასი იქნება. „აიაქსს“ რომ აეყვანა, კარგი იქნებოდა - ასეთ შემთხვევაში, რუსულ ორბიტას იოლად მოცილდებოდა...

### ოჰ, ეს ოხერი პოსტსაბჭოთა სამყარო

მოკლედ, რაც არ უნდა გავიხაროთ ცალკეული ევროპული ტრანსფერებით, უმთავრესად მაინც პოსტსაბჭოურ სივრცეში ვტრიალებთ. ხშირად გვესმის აქამდე გაუგონარი ფრაზები - აზერბაიჯანულმა X კლუბმა დაიწუნა ქართული Y კლუბის ერთ-ერთი ლიდერი... სტატისტიკა რომ მოვიშველიოთ, დავინახავთ, რომ აზერბაიჯანში მოთამაშე ქართული ლეგიონის რიცხვი ამ ორ თვეში თითქმის მესამედით შემცირდა, ამ ზამთარს იქ სინჯებზე წასული ჩვენებურების ნახევარზე მეტი კი დაიწუნეს!

პოსტსაბჭოური სივრცის ყველაზე „მყვირალა“ ქართული ტრანსფერი კიევის „დინამოში“ **მალხაზ ასათიანის** მეორედ მისვლაა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების ყოფილ ლიდერს ერთობ გაუმართლა, როცა „დინამომ“ ის ერთ-ერთი დაშავებული მცველის სანაცვლოდ აიყვანა. ახლა ჯერი ასათიანზეა. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ჯან-ღონეც ძველებურად ერჩის და ოსტატობაც არსად წასულა. სამწუხაროდ, ასათიანს ბურთი და მოედანი ახლა მხოლოდ უკრაინის ჩემპიონატია, ევროგანაცხადიდან კი ამოიღეს...

ასათიანისა და გოცირიძის შემთხვევები ბოლოდროინდელ უკრაინულ ტენდენციას ვერ ცვლის. იქ კვლავ უჭირთ ქართველ ლეგიონერებს: კახა მჟავანაძე „ჩერნომორეციდან“ გაუშვეს; იგივეს ბეწვზე გადაურჩა **ლადო ბურდული** (სიმფეროპოლის „ტავრია“), რადგან შეკრებაზე მშვენივრად ათამაშდა; იმავე „ჩერნომორეცმა“ დაიწუნა **ირაკლი მოდებაძე**; გუნდიდან გაშვებას მხოლოდ უკრაინის მოქალაქეობის მიღების წყალობით გადაურჩა **გიორგი ციმაკურიძე** (ლუგანსკის „ზარია“); „ჩამოალაბორანტეს“ **ლაშა ჯაკობია**, რომელიც საკმაოდ ძლიერი ხარკოვის „მეტალისტიდან“ არაფრისმთქმელ კიევის „არსენალში“ გაუშვეს, თანაც სინჯებზე; პირველი ლიგის გუნდში აკვირდებოდნენ (!) სლოვაკეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გუნდის ძირითად ფორვარდ **ირაკლი ლილუაშვილს**...

აზერბაიჯანული სატრანსფერო სიახლეებიდან ყველაზე დიდი ხმაური **გიორგი ადამიას** გაჯანჯლებულმა ამბავმა გამოიწვია. ბოლოს და ბოლოს, ქართველმა მაინც შეძლო „ნეფთჩიდან“ „ბაქოში“ გადასვლა. **ალექსანდრე გოგობერიშვილი** „ყარაბახიდან“ ბაქოს „ოლიმპიკში“ გადავიდა.

აუტსაიდერთა შორისაც მოხდა ერთი ქართული ცვლილება - „ბაქილიდან“ „მუღანში“ მოხვდა ფორვარდი **გივი ჩხეტიანი**. გაზაფხულიდან ბელარუსულ ფეხბურთს შეემატა **არჩილ პართენაძე**, რომელიც „მტზ-რიპოს“ წევრი გახდა. ამ კლუბის დუბლებიდან კი „ვიტებსკში“ გადავიდა **ირაკლი მაისურაძე**; ბრესტის „დინამოში“ დაბრუნდა **რომან გოგინაშვილი**; სომხეთში (კაპანის „განძასარი“) ითამაშებს **მიხეილ თაყაძე**...

### სადა ხარ, ჩემო სულიკო?

ქართველ ლეგიონერთა ერთი ნაწილი კი საერთოდ არ ჩანს, თითქოს ცამ ჩაყლაპაო... „ანჟიდან“ წასული **ვალერი აბრამიძე** ერთადერთხელ გამოჩნდა და ისიც რუსული „ხიმკის“ სინჯებზე, თუმცა უმალ საკმაოდ უცნაური მიზეზით წავიდა კლუბის შეკრებიდან. აი, „ანჟის“ ბომბარდირი **მიხეილ აშვეთია** კი მართლაც არსად გამოჩენილა. ცუდი იქნება, თუკი 32 წლის ფორვარდი ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს. არსად ჩანდა **ზაალ ელიავა**, რომელიც „სკონტოს“ საკუთრებაა, სანამ რომელიღაც რუსული „გლუბინკის“ გუნდში არ დაიწუნეს... ისიც უცნობია, ისრაელის ლეუმითლიგის „ბნეი ლოდიდან“ სად წავიდა ერთ დროს „ამერის“ კაპიტანი **გიორგი დავითნიძე**...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ლევან ცქიტიშვილი

# მზად ვარ, ეს ტვირთიც ვზიდო

## საჭირო ვარ თუ არა ნაკრებისთვის, ეს მხოლოდ კუპერმა იცის

გუშინწინ გერმანიის მეორე ლიგის „ვეენში“ ლევან ცქიტიშვილს არაოფიციალური დებიუტი ჰქონდა. ვისბადენელთა ქართველმა ნახევარმცველმა „ჰოფენჰაიმთან“ ამხანაგურ მატჩში ითამაშა. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ცქიტიშვილის გუნდმა ბუნდესლიგის „შემოდგომის ჩემპიონი“ 2:1 დაამარცხა. ლევანი სასტარტო შემადგენლობაში იყო. 77-ე წუთზე ის დენის შმიდტმა შეცვალა. გერმანული ვებგვერდების მტკიცებით, ცქიტიშვილს კარგი დებიუტი ჰქონდა.



ლევან ცქიტიშვილი (მარცხნივ) ჰოფენჰაიმთან მატჩში

„ჰოფენჰაიმთან“ საკონტროლო მატჩში პირველად ითამაშა „ვეენის“ ახალწვეულმა ლევან ცქიტიშვილმა. 32 წლის ქართველი ფეხბურთელი ნახევარდაცვაში იყო გამწესებული და ღირსეულად ითამაშა. ცქიტიშვილმა „ჰოფენჰაიმთან“ თამაშით აჩვენა, რომ მოკლე ხანში ვისბადენელთა გუნდის ლიდერად მოგვევლინება. ქართველის ფიზიკური კონდიციები ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია და, ალბათ, ამით აიხსნება მისი არცთუ სწრაფი მოძრაობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ცქიტიშვილი ჩინებულად ფლობს ბურთს, ორთაბრძოლებშიც მონაწილეობს და კარგად ეხერხება საჯარიმო დარტყმების შესრულებაც. „ჰოფენჰაიმთან“ ცქიტიშვილს სწორედ საჯარიმოთი შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მეტოქის მეკარემ რთული ბურთი აიღო. ცქიტიშვილს კარგად გამოსდის გამჭოლი პასიც - ერთ ეპიზოდში დეიან სიმაკი მან გამოზომილი გადაცემით ჩინებულ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ხელსაყრელი საგოლე მომენტის გამოყენება ვერ შეძლო... „ჰოფენჰაიმთან“ თამაშით ცქიტიშვილმა ოფიციალურ დებიუტზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. თუმცა ვოლფგანგ ფრანკი გადაჭრით ჯერ კიდევ ვერ ამბობს, როდის შედგება ეს დებიუტი - კვირას „ნიურნბერგთან“ მატჩში? „ვეენის“ თავკაცი სასტარტოში ქართველის გამწესების საკითხს ჯერჯერობით ღიად ტოვებს“, - წერენ „ვისბადენ ტაგბლადტი“, „ვისბადენ კურიერი“, „შპორტვოხე“ და პოპულარული „ბილდი“.

ამის შემდეგ გერმანიაში თავად ცქიტიშვილს დავუკავშირდით...

**- ლევან, „ვეენში“ არაოფიციალური დებიუტი „ჰოფენჰაიმთან“ ამხანაგურ მატჩში გქონდათ. საუბარიც ამ შეხვედრით დავიწყოთ...**

- „ჰოფენჰაიმმა“ ეს თამაში საბრძოლო შემადგენლობით დაიწყო, შესვენების შემდეგ კი რამდენიმე ფეხბურთელი შეცვალა. პირველ ტაიმში ერთი გოლი გავუშვით და წავაგეთ, მეორე ნახევარში კი ორი გოლი გავიტანეთ და 2:1 მოვიგეთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბუნდესლიგის ერთ-ერთ ლიდერს ტოლი არაფერში დავუდეთ, თანაბრად ვეთამაშეთ.

**- ჩვეულ პოზიციაზე ითამაშეთ?**

- „ვეენი“ ორი საყრდენი ნახევარმცველით თამაშობს და აქედან ერთ-ერთი მე ვიყავი. მწვრთნელმა ოდნავ მარცხნივ დამაყენა. ჩვენ კლასიკური 4-4-2 სქემით ვთამაშობთ და ეტყობა, მუდმივად ამ პოზიციაზე მომიწევს გარჯა.

**- თქვენს დებიუტს გერმანული პრესაც გამოეხმაურა - ქართველმა ნახევარმცველმა ღირსეულად ითამაშაო, წერენ. თავად რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- ურიგოდ არ მითამაშია, თუმცა უკეთაც შეიძლებოდა და იმედი მაქვს, მოვუმატებ კიდეც.

**- იმ ჯარიმასა და პასზე რას იტყოდით, სიმაკმა გოლად რომ ვერ აქცია?**

- მე ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ ვერ შეაგდო... რას ვიზამთ. ამ გამარჯვებას ჩვენთვის ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა - ბუნდესლიგის მეორეადგილოსანი დავამარცხეთ. ამ მოგებამ შეგვმატა საკუთარი ძალების რწმენა, რაც ამ ეტაპზე ძალიან გვჭირდებოდა... რაც შეეხება იმ ჯარიმას, კარგად კი წავიდა ბურთი, მაგრამ მეკარემ აიღო...

**- ახალ გუნდსა და გარემოს როგორ შეეგუეთ?**

- ადაპტაცია არ გამჭირვებია. შეიძლება ითქვას, გერმანულ ფეხბურთში უცხოდ აღარ ვგრძნობ თავს. ჯერჯერობით, სასტუმროში ვცხოვრობ. ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს, მინდა, ფიზიკურად კარგ ფორმაში ვიყო და დღეს სწორედ ამაზე ვზრუნავ, ამიტომაც ვერ მოვიცალე ბინის ასარჩევად... მაგრამ მოვიცლი, ამ თვეშივე მინდა, ბინაში გადავიდე.

**- ფოლკერ ფინკემ, კლაუს ტოპმიოლერმა ან სხვა ძველმა ნაცნობებმა ხომ არ მოგიკითხეს?**

- ფინკე იაპონიაშია, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ კლუბს წვრთნის და ჯერ არ შემხმიანებია, არც ტოპმიოლერს დაურეკავს. კობიაშვილი, ყენია, იაშვილი... ხშირად მკითხულობენ... ჰო, მართლა, „ფრაიბურგის“ გულშემატკივართა კლუბიდან დამირეკეს და ახალ გუნდში გადასვლა მომილოცეს. ძალიან გამიხარდა. ისე, ყოველთვის გსიამოვნებს, როცა უცხო ქვეყანაში ახსოვთ შენი თამაში...

**- კარიერის განმავლობაში 3 ან 7-ნომრიანი მაისურით ასპარეზობდით. ამჟამად კი 33 ნომრით თამაშობთ. არჩევანი თავად გააკეთეთ თუ...**

- 7 და 3 ჩემთვის იღბლიანი ნომრებია, მაგრამ არც ერთი იყო თავისუფალი და არც მეორე, ამიტომაც ავირჩიე 33 ნომერი. ამით პირველად მიწევს თამაში და იმედი მაქვს, ჩემთვის 33-ც იღბლიანი იქნება.

**- რას ამბობს „ვეენის“ მწვრთნელი ვოლფგანგ ფრანკი? ამ კვირაში ხომ არ შედგება თქვენი ოფიციალური დებიუტი?**

- ვერაფერს გეტყვით, ჯერჯერობით მწვრთნელს ამაზე არაფერი უთქვამს. ისე კი, ყოველთვის მეუბნება - კარგია, ნელ-ნელა უმატებ და ასე გააგრძელეო...

**- ცქიტიშვილის სახით „ვეენში“ ახალ ლიდერს ხედავენ. რამდენად მზად ხართ იმისთვის, რომ ამ ტვირთს შეეჭიდოთ?**

- თავს არ ვზოგავ, ვარჯიშებში ბოლომდე ვიხარჯები. „ჰოფენჰაიმთან“ ნორმალურად ვითამაშე და იმედი მაქვს, ოფიციალური დებიუტიც არ იქნება ურიგო.

**- შეძლებს „ვეენი“ ლიგაში ადგილის შენარჩუნებას?**

- მიზანიც სწორედ ესაა და რასაც ვხედავ, აქ ყველას იმის რწმენა აერთიანებს, რომ გადავრჩებით. მეც მჯერა, რომ ასე იქნება.

**- ...მაგრამ თუ მაინც გავარდით, თქვენი კონტრაქტის საქმე როგორ იქნება?**

- ავტომატურად შეწყდება, თავისუფალი აგენტი გავხდები და სხვა გუნდში გადავალ.

**- „ვეენის“ გარდა, სხვა ვარიანტებიც გქონდათ. თურმე, ერთ-ერთ ჰოლანდიურ გუნდზეც იყო ლაპარაკი...**

- იყო, მაგრამ რეალური წინადადება მხოლოდ „ვეენისგან“ მივიღე.

**- ირლანდიასთან ჩვენი ნაკრების თამაში თუ ნახეთ?**

- არ მინახავს. სასტუმროში, სადაც ვცხოვრობ, ქართულ ტელეარხებს ვერ ვუყურებ. მარტო შედეგი ვიცი და სტატისტიკა, ამით კი ვერ იმსჯელებ, რა და როგორ იყო...

**- სპეციალისტები მანამდეც ამბობდნენ და დუბლინშიც კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ცქიტიშვილი ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელია...**

- ეს ნაკრების მწვრთნელის გადასაწყვეტია. თუ კუპერი გამომიძახებს, ჩამოვალ და როგორც მჩვევია, ისე ვითამაშებ. ჯერ სხვას ვერაფერს გეტყვით...

**დავით ცაბაძე**

ქართველები საფრანგეთში

# გურულის მერე სანაიას ჯერია?

საფრანგეთის პირველი დივიზიონი პრემიერლიგას, სერია A-ს, პრიმერა დივიზიონსა და ბუნდესლიგას კი ჩამოუვარდება, მაგრამ ამ ოთხი ელიტური ლიგის მერე ნაღდად შეუძლია, პრეტენზია გამოთქვას, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. საფრანგეთის პირველ დივიზიონში ქართველთაგან პირველად გია გურულმა ითამაშა და საკმაოდ კარგადაც - „ლე ავრის“ ფორვარდი იყო და სეზონში 9 გოლი გაიტანა. ეს ყველაფერი 90-ანი წლების დასაწყისში მოხდა. მას შემდეგ ქართველს საფრანგეთის მთავარ დივიზიონში არ უთამაშია...

„ლე მანი“ საფრანგეთის პირველ დივიზიონში გამოდის და ამ გუნდში სამი ქართველია - **ამირან სანაია, ვახტანგ ფანცხავა და გიორგი მაკარიძე.** სანაია ამ ფრანგულ გუნდში „ზესტაფონიდან“ გადავიდა, ფანცხავა „გაგრადან“, მაკარიძე კი თბილისის „დინამოდან“. ამ დროისთვის საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საფრანგეთის პირველ დივიზიონში, ჩვენებურთა ლემანური სამეულიდან, პირველმა სანაიამ უნდა ითამაშოს.

სანაია „ლე მანში“ 2007 წლის აგვისტოში გადავიდა, სავიზო პრობლემების გამო გუნდს 3 თვის მერე შეუერთდა. „ლე მანის“ მეორე გუნდში ამირანი სისტემატურად თამაშობს, ხოლო ფანცხავა და მაკარიძე, რომელიც გასული წლის ბოლოს მივიდა „ლე მანში“, იქ ჯერ არ ჩანან.

*„ფანცხავა ტრავმირებულია. წელი ადრეც აწუხებდა და ახლაც რომ ასტკივდა, დატვირთვებს მოერიდა, რათა ტრავმა არ გაურთულდეს. სერიოზული არაფერია, ვახო მალე განაახლებს ვარჯიშს. რაც შეეხება მაკარიძეს, როცა „ლე მანში“ მოვიდა, მუხლის ძვალი ჰქონდა გაბზარული. ახლა ტკივილი აღარ აწუხებს, უკვე დაიწყო ინდივიდუალურად ვარჯიში“,* - გვამცნო სანაიამ.

თუ ამირანს ტრავმა არ აწუხებს, „ლე მანის“ მეორე გუნდში სულ თამაშობს, მარცხენა მცველია და გვითხრა - შეტევებში ხშირად ვერთვები, ეს გულშემატკივარსაც მოსწონს და თან მწვრთნელიც ამას ითხოვსო.

*„ჩვენს საშინაო მატჩებზე 7-8 ათასი გულშემატკივარი დადის. სულ ბოლოს „ბორდოს“ ვეთამაშეთ და წავაგეთ. „ლე მანის“ მეორე გუნდი საფრანგეთის დუბლების ჩემპიონატში გამოდის და ახლა მეექვსე ადგილზე ვართ. საკმაოდ სერიოზული ტურნირია. თუ პირველი გუნდი შაბათს თამაშობს, მეორე - კვირას გადის მოედანზე... დუბლების ჩემპიონატი, ფაქტობრივად, პირველი დივიზიონის პარალელურად მიმდინარეობს. არ გეგონოთ, საფრანგეთის პირველი დივიზიონის მეორე გუნდებში მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობენ. მაგალითად, „ლე მანის“ მეორე გუნდში იმათაც უწევთ მოედანზე გასვლა, პირველი გუნდის მოთამაშეები რომ არიან, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა აკლიათ“,* - განგვიმარტა სანაიამ.

„ლე მანის“ პირველი გუნდის თავკაცი **დენიელ ჟანდუპო** გახლავთ. როგორც სანაიამ გვითხრა, ის და ფანცხავა სწორედ მას აუყვანია „ლე მანში“. ჟანდუპო მაშინ კლუბის პრეზიდენტის მრჩეველი იყო, „ლე მანის“ პირველ გუნდს კი წლეულს ჩაუდგა სათავეში. ამ შვეიცარიელმა სპეციალისტმა **ივ ბერტუჩი** შეცვალა.

*„დაახლოებითაც არ შემიძლია იმის თქმა, თუ როდის იქნება ჩემი დებიუტი „ლე მანის“ პირველ გუნდში. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ მთავარ დივიზიონში გუნდს კარგად არ მისდის საქმეები, შეტევაში მოისუსტებს, თამაშებს ვერ იგებს... მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ „ლე მანი“ არ უნდა გავარდეს, შანსი არ არის“,* - იმედიანადაა სანაია.

„ლე მანი“ საფრანგეთის 20-გუნდიან პირველ დივიზიონში მე-15 ადგილზეა. ლიგიდან სამი გუნდი ვარდება და ცხადია, „ლე მანი“ ახლოსაა გასავარდნ ზონასთან. ასეთ დროს მწვრთნელი, ალბათ, მოერიდება ახალგაზრდა მცველის პირველ გუნდში დაყენებას, თუმცა ვინ იცის...

სანაიას, ფანცხავასა და მაკარიძეს „ლე მანთან“ პროფესიული კონტრაქტი აკავშირებთ და პირველ გუნდში მოსახვედრად არანაირი ფორმალური პრობლემები არ შეექმნებათ. საკითხავი ისღა რჩება, გურულის მერე ვინ იქნება მეორე ქართველი საფრანგეთის პირველ დივიზიონში?

*„თავიდან ადაპტაცია გამიჭირდა, ახლა კი ყველაფერი ნორმალურადაა. სხვათა შორის, ფრანგული ენის გაკვეთილები კიდევ მაქვს, ფანცხავა და მაკარიძეც ემზადებიან ფრანგულში. ვფიქრობ, პირველი გუნდისგან დიდი მანძილი აღარ მაშორებს. მეორე გუნდში კი ვვარჯიშობ, მაგრამ, როცა პირველ გუნდს ორმხრივი თამაში აქვს, მეც მათამაშებენ. სამი 15-წუთიანი ტაიმი - ასეთ ორმხრივ მატჩებს მართავს პირველი „ლე მანი“ და სამივე ტაიმს ვთამაშობ“* - გვითხრა სანაიამ, რომელსაც ფანცხავასა და მაკარიძის დარად ასაკით კიდევ ეკუთვნის თამაში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში. სანაია გონიერი, მართლაც საინტერესო მცველია და 21-წლამდელთა ახალი დამრიგებელი **კახა ცხადაძეც**, ალბათ, ყურადღებით დააკვირდება ამირანის ფრანგულ პერიპეტიებს.

**დავით თავართქილაძე**



ამირან სანაია

# ვერასდროს წარმოვიდგენდი, ერთ მატჩში შვიდ გოლს თუ გავიტანდი

დღევანდელ ქართულ ფეხბურთში ძალიან ბევრ რამესთან ერთად შემსრულებლების დეფიციტიც არის; იმ შემსრულებლების, 90-იანი წლების დასაწყისში თითქმის ყველა ჩვენს წამყვან გუნდში რომ თამაშობდნენ. სწორედ ასეთთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა რუსთავის „ოლიმპის“ დღევანდელი მთავარი მწვრთნელი ვარლამ კილასონია. საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდსა და ბომბარდირს საფეხბურთო კარიერის უდიდესი ნაწილი რუსთავის „მეტალურგში“ აქვს გატარებული.

გურჯაანის „ალაზანსა“ და თელავის „კახეთშიც“ გამორჩეული გახლდათ, მაგრამ მშობლიური ქალაქის გუნდი მაინც სხვა იყო. მით უმეტეს, როცა მოედანზე ძმასთან, გიორგისთან ერთად გამოდიოდა - „მეტალურგის“ იმდროინდელი ყველა მეტოქის მცველ-მეკარეთა თავსატეხი ხომ ძმები კილასონიების განეიტრალება იყო.

... უკრაინაშიც ითამაშა და აზერბაიჯანშიც; თუმცა, როცა ვარლამ კილასონიას უცხოურ კარიერაზე ვსაუბრობთ, რაღა თქმა უნდა, რუსეთის ჩემპიონატი გვახსენდება. კონკრეტულად კი 1996 წლის ივნისი, როდესაც რუსეთის პირველი ლიგის აბსოლუტური რეკორდი დამყარდა: ერთ მატჩში ვარლამ კილასონიამ მეტოქის კარში შვიდი გოლი გაიტანა. იმ სეზონის ბოლოს ქართველ ფორვარდს კიდევ ერთი აღიარება ელოდა - 22 გოლით პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ეგ კი არა, რომ არა აშკარად არასაფეხბურთო ფაქტორები, იმ სეზონში პირველი ლიგის საუკეთესო ფეხბურთელიც უნდა გამხდარიყო, მაგრამ...

მოკლედ, სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივის“ იმდროინდელი ლიდერი საკუთარი კარიერის ერთ-ერთ ლამაზ ფრაგმენტს იხსენებს...

**გია ტუხაშვილი**

...მაშინვე ვიცოდი, რომ ჩემი იმდროინდელი ნაბიჯი ბევრს გაუკვირდებოდა - რუსთავის „მეტალურგი“ ერთ-ერთი წამყვანი ქართული გუნდი იყო, მე კი, კარიერის გასაგრძელებლად სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივს“ მივაშურე. ჰო, ძნელია, სამშობლოში ერთ-ერთ გამორჩეულად რომ მიგიჩნევენ და ამ დროს რუსეთის მეორე ლიგაში გადადიხარ. თუმცა ამ შემთხვევაში, ეს ნაბიჯი რამდენიმე ფაქტორმა გადამადგმევინა: ჯერ ერთი, „ლოკომოტივში“ ჩემი ძმა უკვე ჩარიცხული იყო; თანაც გუნდის მთავარ მწვრთნელად **გივი ნოდია** მუშაობდა. ამას გარდა, არცთუ უმნიშვნელო მომენტიც იყო: საქართველოში სერიოზული ფინანსური კრიზისი მძვინვარებდა, კუპონის კურსი საშინელი სისწრაფით ეცემოდა და ამ დროს პეტერბურგიდან საკმაოდ ნორმალური პირობები შემომთავაზეს. 27 წლის ვიყავი, ახალი დაოჯახებული გახლდით და ფინანსურ მხარესაც დიდი მნიშვნელობა მივანიჭე. შესაძლოა, ვინმეს გაეცინოს, მაგრამ სპორტული მხარეც არ იყო უმნიშვნელო - მაინტერესებდა, როგორ წარმოვაჩენდი საკუთარ შესაძლებლობებს სხვა ქვეყნის ჩემპიონატში. გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე - როგორც ფეხბურთელს, რუსეთში გატარებულმა წელიწად-ნახევარმა ბევრი შემძინა; თანაც, როგორც ჩაფიქრებული მქონდა, ძლიერ ლიგაში გადასასვლელადაც გამომადგა - უკრაინის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „დნეპრში“ ხომ სწორედ პეტერბურგიდან გადავედი.

„ლოკომოტივში“ 1995 წლის ზაფხულში ჩავირიცხე; იმ დროს გუნდი მეორე ლიგაში ასპარეზობდა და პირველი წრის მერე ბოლოდან მეხუთე ადგილზე იმყოფებოდა. საბოლოოდ კი პირველ ხუთეულში მოვხვდით და ამაში, ალბათ, ჩემი წვლილიც იყო - მეორე წრეში 17 გოლი გავიტანე. ამის შემდეგ მოვლენები საინტერესოდ განვითარდა: პირველ ლიგაში მოასპარეზე პეტერბურგის „სატურნთან“ გავერთიანდით და ასე აღმოვჩნდით რანგით უფრო მაღალ ლიგაში. სხვათა შორის, ჩვენთან ერთად გადმოვიდნენ პირველ ლიგაში რამენსკოეს „სატურნი“, ნალჩიკის „სპარტაკი“ და კრასნოდარის „ყუბანი“. პირველი ლიგა ძალიან რთული და სპეციფიკური ტურნირი იყო: გუნდების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ძირითად აქცენტს ძალისმიერ თამაშზე აკეთებდა. რაღა თქმა უნდა, უხეშობასაც არ ერიდებოდნენ, თუმცა უმთავრესი მაინც ბრძოლისუნარიანობა იყო - ამით კი ყველა გუნდი გამოირჩეოდა. სხვათა შორის, ყველა ხმამაღლა ამბობდა, რომ ლიგაში მხოლოდ ორი გუნდი თამაშობდა კომბინაციურ ფეხბურთს - ჩვენი და ლენინსკ-კუზნეცკის „ზარია“. საერთოდ, თითქმის ყველა გუნდში არაერთი ცნობილი და გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობდა, რომლებსაც სხვადასხვა დროს რუსეთისა თუ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში ასობით მატჩი ჰქონდათ ჩატარებული: **ტატარჩუკი, კუტეპოვი, გოროდოვი, ვოლგინი, ტალალაევი**; რამენსკოეს „სატურნის“ ლიდერი **გურამ აჯოევი** იყო - თბილისში დაბადებული ფეხბურთელი; ერთი ცნობილი ვეტერანი ჩვენც გვყავდა: **მიხეილ ბირიუკოვი** წლების განმავლობაში „ზენიტის“ მეკარე იყო.

სამწუხაროდ, პირველ ლიგაში სტარტი ცუდი გამოგვივიდა - საწყის ხუთ ტურში მხოლოდ სამი ქულა მოვიპოვეთ. ამის მიზეზი უფრო შეუთამაშებლობა იყო. თუმცა მერე სიტუაცია დალაგდა და ძალიან მალე ანგარიშგასაწევ ძალადაც ვიქეცით. გივი ნოდიამ ძირითადში ახალგაზრდა ფეხბურთელებიც დააწინაურა - მანამდე არავინ იცნობდა **დიმიტრი სენიკოვს**; ჩვენს გუნდში კი ისეთ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა, მერე წლების განმავლობაში მოსკოვის „ლოკომოტივის“ და რუსეთის ნაკრების შეუცვლელი მოთამაშე გახდა.

...მოგებათა სერია დავიწყეთ; კალენდარი ისე იყო შედგენილი, რომ ორ შეხვედრას ჯერ შინ ვთამაშობდით, მერე - სტუმრად; სახლში ექვს ქულას უპრობლემოდ ვიღებდით, გასვლაზე კი მინიმუმ - სამ ქულას. თუმცა სტუმრად თამაში ძალიან ჭირდა. განსაკუთრებით ციმბირში: იქაურ გუნდებთან გამარჯვება, ფაქტობრივად, გამორიცხული იყო - მსაჯებზე მუშაობდნენო, რომ ვთქვა, რბილად ნათქვამი გამომივა. ერთ ეპიზოდს მოგიყვებით: ირკუტსკში ვთამაშობდით და საჯარიმოდან გოლი გავიტანე; ამ დროს კი მსაჯი გოლს აუქმებს და გაფრთხილებას მაძლევს - სასტვენის გარეშე დარტყმის უფლება არ გქონდაო! სხვათა შორის, ის ჯარიმა რომ გამაეორებინეს, გოლი მაინც გავიტანე, მაგრამ გაფრთხილების გამო მომდევნო შეხვედრის გამოტოვება მომიხდა. თურმე, სწორედ ეს იყო იმ მსაჯის „თვითმიზანი“ - ჩიტაში არ უნდა მეთამაშა...

...სეზონის დაწყების წინ საუკეთესო ბომბარდირობაზე სერიოზულად არც ვფიქრობდი. მერე, თითქმის ყველა შეხვედრაში გოლების გატანა რომ დავიწყე, თვითმიზნად არც მაშინ გამიხდია. მით უმეტეს, რომ საუკეთესო ბომბარდირობის კანდიდატი მალე გამოიკვეთა - სარატოვის „სოკოლი“ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძოდა და ამ გუნდის თავდამსხმელს **კარაპეტ მიქაელიანსაც** ყველა ხელს უწყობდა. ეგ კი არა, გვქონდა ინფორმაცია, რომ მიქაელიანი გარიგებულ მატჩებშიც არ თაკილობდა გოლების გატანას. ამის მიუხედავად, იმ სეზონში პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი მე გავხდი; არადა, კარიერის განმავლობაში ტრავმის გამო არასდროს გამომიტოვებია იმდენი მატჩი, რამდენიც იმ სეზონში. ანუ, სულ ცოტა, შვიდი-რვა ბურთით მეტს მაინც გავიტანდი.

...ახლა კი პირველი ლიგის რეკორდზეც; წეღანაც ვახსენე, რომ ჩვენ გარდა ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს ლენინსკ-კუზნეცკის „ზარია“ უჩვენებდა. ერთი მხრივ, არც იყო გასაკვირი - ეს გუნდი მოსკოვის „სპარტაკის“ ფარმკლუბად მიიჩნეოდა და სათამაშო სტილიც იგივე ჰქონდა. მოკლედ, ნაღდ ფეხბურთს თამაშობდა - სწრაფად, „ერთი შეხებით“ და კომბინაციურად; ლიდერიც ჰყავდათ - იმ დროისათვის ახალგაზრდა და ბევრისთვის უცნობი ნახევარმცველი **ალექსეი სმერტინი**. მოგეხსენებათ, რომ შემდგომში ეს ფეხბურთელი რუსეთის ნაკრების კაპიტანი იყო და ინგლისურ პრემიერლიგაშიც არაერთი სეზონი ჩაატარა.

„ზარიასთან“ საშინაო მატჩი, ალბათ, არასდროს დამავიწყდება: არის ხოლმე მომენტი, როცა ფეხბურთელს მოედანზე ყველაფერი გამოსდის. კი, ერთ შეხვედრაში ორი გოლი არაერთხელ მქონდა გატანილი, საქართველოში ჰეთ-თრიკიც ბევრჯერ შემისრულებია, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ერთ შეხვედრაში შვიდ გოლს შევაგდებდი! ისე, იმ მატჩში, ცოტა არ იყოს, კურიოზული ფაქტიც მოხდა: პენალტი ვერ გამოვიყენე! ამასთან, ერთი-ორი ხელსაყრელი მომენტიც გავაცუდე...

სხვათა შორის, მეტოქე ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით რომ მარცხდებოდა, ჩვეულ სტილს არ ღალატობდა და კვლავაც „გახსნილ“ ფეხბურთს გვეთამაშებოდა. თანაც, მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეთაგან არავის უთხოვია - კარგით, გეყოფათ, მეტს ნუღარ გაგვიტანთო...

არ დაგიმალავთ: დიდი ინტერესით ველოდი იმავე გუნდთან მეორე წრის შეხვედრას. ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობამ კი... თავი დაიზღვია და კრასნოიარსკში ჩატარებული მატჩის მერე მე და ჩემი ძმა პეტერბურგში გამოგვამგზავრა. ასე აგვიხსნეს: 0:9-ით წაგება ლენინსკ-კუზნეცკში დღემდე ვერ მოუნელებიათ და შესაძლოა, ტრიბუნებიდან გარკვეული აგრესიაც წამოვიდესო. მოკლედ, აგვარიდეს ამ მატჩს...

საერთოდ კი, სადაც ჩავდიოდით, აგრესია არსად გვიგრძვნია; პირიქით - ქართველებს ყველგან დიდი სითბოთი გვხვდებოდნენ. ერთადერთი, ალბათ, მაიკოპი იყო, სადაც, ცოტა არ იყოს, მტრულად გვიცქერდნენ. სამაგიეროდ, იმავე ვორონეჟში, „ფაკელის“ კარში 30 მეტრიდან გოლი რომ გავიტანე, სავსე ტრიბუნებმა ტაში დამიკრეს.

სამწუხაროდ, საუკეთესო ბომბარდირობისთვის თუ რაიმე პრიზი იყო დაწესებული, დღემდე არ ვიცი; ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არაფერი გადმოუციათ. ანუ, ფაქტობრივად, „ქაღალდზე“ დავრჩი ბომბარდირად...

რუსეთის პირველ ლიგაში მაშინაც და ახლაც ასეთი ტრადიციაა: სეზონის დასრულების მერე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენაში ყველა გუნდის მოთამაშეები მონაწილეობენ. ანუ, თითოეული ფეხბურთელი სამ ნომინანტს ასახელებს და მერე გამარჯვებულიც ასე უნდა გამოვლინდეს. იმ სეზონის მიხედვით საბოლოოდ მესამე ადგილზე გავედი - ზემოთ ნახსენებმა მიქაელიანმა და ვეტერანმა მეკარემ გოროდოვმა სულ მცირედით გამასწრეს. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ამ გამოკითხვაში ყველა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, გარდა... სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივისა“. არ ვიცი, რატომ და როგორ მოხდა, მაგრამ, ფაქტია, რომ ჩემი თანაგუნდელების ხმები მომაკლდა. ისე, ალბათ, იმის გახსენებაც საინტერესოა, რომ „ზარიას“ თითქმის ყველა ფეხბურთელმა (ერთის გარდა), სამეულშიც არ შემიყვანა; ალბათ, მათ კარში გატანილი ჩემი შვიდი გოლი კიდევ მწარედ ახსოვდათ. აი, იმ ერთმა კი... პირველ ადგილზე დამასახელა და ეს ფეხბურთელი ალექსეი სმერტინი იყო!



ლოკომოტივი-ზარია 9:0. გოლების ავტორები: ვ. კილასონია (7), გ. კილასონია, სენიკოვი



მარცხნიდან: გია კილასონია, ფიფას არბიტრი სერგეი ჰუსაინოვი და ვარლამ კილასონია



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ფიფას რეიტინგი


მიხეილ ხუციშვილი

## ხუციშვილმა ისევ გაიტანა

**მიხეილ ხუციშვილი** სერბეთის ჩემპიონატის მეორეადგილოსან „ვოევოდინაში“ (ნოვი სადი) ადგილს იმკვიდრებს. ამ კლუბის პირველი ქართველი ლეგიონერი კლუბთან ერთად ერთი თვეა ემზადება და იმედი აქვს, რომ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდება.

„სერბეთში ჩემპიონატის მეორე წრის დაწყება ერთი კვირით გადაიდო. წინასწარ დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით ვიცოდით, რომ სეზონი 21 თებერვალს უნდა განახლებულიყო, მაგრამ ამჟამად სერბეთში დიდთოვლობაა და ფეხბურთის ფედერაციამ ტური ერთი კვირით, 28 თებერვლისთვის გადადო. ამის გამო, შეკრება გაგვიგრძელდა, ახლა ჩერნოგორიაში ვართ და საკონტროლო შეხვედრებს ვატარებთ. ბოლო სპარინგში სერბულ „ბორაცს“ 4:0 მოვუგეთ. მეორე გოლი მე გავიტანე. იმედი გამიჩნდა, რომ „ვოევოდინას“ ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებ. ამხანაგურების შემდეგ ეს უკვე რეალური მგონია, რადგან მწვრთნელი მენდობა და მეც არ გამოვიყურები ურიგოდ. მთავარია, ტრავმებმა არ შემაწუხოს“, - გვითხრა ხუციშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

## რუბინის სირცხვილი

ესპანურ ლა მანგაში რუსეთის ჩემპიონმა „რუბინმა“ სპარინგმატჩში თავი შეირცხვინა - ნორვეგიულ „ლილესტრიომთან“ 2:5 წააგო. უკვე მე-18 წუთზე „რუბინი“ 0:3-ს აგებდა, რის გამოც მწვრთნელმა ოთხიდან ორი მცველი უკვე 30-ე წუთზე შეცვალა. **ყურბან ბერდიევმა** მოედანზე დატოვა **ლაშა სალუქვაძე**, რომელთანაც, ეტყობა, პრეტენზიები არ ჰქონდა, ხოლო **ანსალდის** ნაცვლად **დავით კვირკველია** შეიყვანა.

## მოგებითაც უკმაყოფილო დარჩა

**ომარ თეთრაძის** „ანჟიმ“ რუსული პრემიერლიგის „ხიმკი“ სპარინგმატჩში 1:0 დაამარცხა - 1:0. ამ შეხვედრაში სრულად ითამაშეს **გიორგი ნავალოვსკიმ** და **გოჩა ხოჯავამ**, **კახა ალადაშვილი** კი თეთრაძემ მე-60 წუთზე შეცვალა. მეორე ტაიმი ითამაშეს **სანდრო იაშვილმა** და **ოთარ მარცვალაძემ**. მეორე შეკრებაზე არ ჩანს **ედიკ საჯაია**, ხოლო **რევაზ ჯიქიას** სპარინგებში საერთოდ არ უთამაშია. „ხიმკისთან“ არ გამოჩენილა **ზურაბ არზიანიც**. თეთრაძე შედეგით კმაყოფილი დარჩა, თუმცა დასძინა, ჩემი გუნდის თამაში არ მომეწონაო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვალენსია

# გამოსავალი: გავყიდოთ ვარსკვლავები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ისევ მსოფლიოში გამეფებულ ეკონომიკურ კრიზისსა და „ვალენსიაზე“ მოგვიწევს ლაპარაკი. უკვე მშვენივრად იცით, რომ პრიმერა დივიზიონური კლუბებიდან კრიზისმა ყველაზე მეტად ჯერჯერობით „ვალენსია“ დააზარალა. ესპანურ პრესაში ამ თემასთან დაკავშირებით ისევ ინტენსიურად საუბრობენ და საინტერესო სტატიებს აქვეყნებენ. დღეს უკვე მთელი საფეხბურთო სამყაროსთვის არის ცნობილი, რომ გუნდის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებისთვის ხელფასების გადახდას ვერ ახერხებს. არსებობდა იმედი, რომ პრობლემა მალე მოგვარდებოდა, მაგრამ „ვალენსიის“ პრეზიდენტი **ვისენტე სორიანო** საზოგადოებას საიმედოს ჯერჯერობით ვერაფერს ეუბნება. ფაქტია, რომ „ღამურების“ ვარსკვლავები უწინდებურად ანაზღაურების გარეშე თამაშობენ. სახელფასო დავალიანების სახით, ხელმძღვანელობას 15 მილიონი ევრო აქვს გადასახდელი. ეს ვალი, კვირიდან კვირამდე რა თქმა უნდა, კიდევ უფრო იზრდება. საგანგაშოა, რომ ვალის გადაიხდის კონკრეტულ თარიღს ვერავინ ასახელებს. ამ თემასთან დაკავშირებულ წინა სტატიაში მოგახსენეთ, რომ ფეხბურთელები პროტესტს არ გამოთქვამდნენ, მაგრამ იმთავითვე ყველა არაჩვეულებრივად ხვდებოდა, რომ მათი დუმილი უსასრულო არ იქნება. ასეც მოხდა, „ვალენსიის“ კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, ფეხბურთელები უკმაყოფილებას დღეს უკვე ღიად გამოხატავენ და ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში გაფიცვით იმუქრებიან. წარმოიდგინეთ, ერთ-ერთი მოწინავე ესპანური კლუბი ხელფასების გადაუხდელობის მიზეზით რომ გაიფიცოს რამხელა სკანდალი მოხდება. ბუნებრივია, კლუბის ხელმძღვანელობას სულაც არ უნდა, რომ მოთამაშეებს ფული დაუკარგოს, მაგრამ ობიექტური რეალობა ისეთია, რომ სენიორ სორიანო პრობლემის მოგვარებას ვერ ახერხებს. ძალიან ძნელია გაკოტრების პირას მყოფი კლუბის პრეზიდენტმა ასე ერთბაშად მრავალმილიონიანი სახელფასო დავალიანება გაისტუმროს. გაირკვა, რომ „ვალენსიას“ უახლოეს პერსპექტივაში უმწვავესი ფინანსური კრიზისის მოგვარების შესაძლებლობა არ ექნება. ამ სიტუაციაში პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა რჩება – ფეხბურთელების გაყიდვა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით „ვალენსიის“ ვიცე-პრეზიდენტის **ფერნანდო გომეს კოლომერის** განცხადებას გაგაცნობთ:

*„ძალიანაც რომ მინდოდეს, ველარ დავმალავ, რომ კლუბში უმძიმესი სიტუაციაა გამეფებული. როგორც იცით, ფეხბურთელების სახელფასო დავალიანება დაგვიგროვდა. ეს უწვავესი საკითხი პირადად მე მოსვენებას არ მაძლევს. ღამით ვერ ვიძინებ და სულ იმაზე ვფიქრობ, რის გაკეთება შეიძლება, რომ ვითარება უმტკივნეულოდ განიმუხტოს. არ დავმალავ, დირექტორატში ამ ყველაფერთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენ ბევრი ვიკამათეთ, მაგრამ მყისიერი გამოსავალი ვერ ვიპოვეთ. ამის მიზეზი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისია. საუკეთესო ვარიანტი, რომელიმე გიგანტი კომპანიისთვის ხელსაყრელი სასპონსორო კონტრაქტის შეთავაზებაა, მაგრამ ახლა ყველა ფულის დაზოგვის რეჟიმში მუშაობს და ხარჯის გაზრდა თითქმის არავის სურს. ყოველ შემთხვევაში, ვერც ერთი ესპანური და უცხოური კომპანია ვერ ვიპოვეთ, რომელიც კონტრაქტის გაფორმებას ისურვებდა. ამასობაში კი სახელფასო დავალიანება იზრდება. გამორიცხულია, რომ ბიჭებს თანხა არ გადავუხადოთ. ჩემი აზრით, შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს. ზაფხულამდე როგორმე თავი უნდა გავიტანოთ და სეზონის დასრულებისთანავე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეები გავყიდოთ. გულწრფელად გეტყვით, ჩემს მოსაზრებას დირექტორატის მაღალჩინოსნების ნაწილი ეწინააღმდეგება, მაგრამ მათი პირიდან ალტერნატიული ქმედითი ხედვა არ გაჟღერებულა. დარწმუნებული ვარ, მალე ყველა მიხვდება, რომ ეს საუკეთესო ვარიანტია. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და ხვალ რომელიმე კომპანიასთან მრავალ ათეულმილიონიანი კონტრაქტი გავაფორმოთ, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ ხერხდება. ალბათ, დროა წამყვანი მოთამაშეების სარფიანად გაყიდვაზე მუშაობა დავიწყოთ“.*

სენიორ ფერნანდო გომესის განცხადებამ გამოხმაურება მაშინვე ჰპოვა. ასპარეზზე ისევ და ისევ „ბარსელონა“ გამოვიდა და **დავიდ ვილიას** შეძენის სურვილი კიდევ ერთხელ დააფიქსირა კატალონიელებმა 40 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნა გამოთქვეს. იმ შემთხვევაში, თუ „ღამურების“ ხელმძღვანელობა ფერნანდო გომესის გეგმით იმუშავებს, ტრანსფერზე ვილიას გარდა **დავიდ სილვას, ხოაკინს, ვისენტესა** და კიდევ რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს დააყენებენ.

ინიციატივა

# პლატინი საფინანსო ლიმიტს ითხოვს

## უეფას პრეზიდენტის მოსაზრებას ესპანურ პროფლიგაში მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ



უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** ევროპული კლუბების მესვეურებს მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ აფრთხილებს. ფრანგი საფეხბურთო ფუნქციონერი დარწმუნებულია, რომ თუ სასწრაფო ღონისძიებები არ გატარდება, ფინანსური კოლაფსი გარდაუვალი გახდება. ევროპული ფეხბურთის უმაღლესი ხელისუფალი ევროპარლამენტის წინაშე ძალიან საინტერესო სიტყვით წარდგა. უეფას პრეზიდენტმა მოხსენების დიდი ნაწილი თანამედროვე ფეხბურთში შექმნილ უმძიმეს ფინანსურ სიტუაციას დაუთმო. პლატინი ევროპის პარლამენტს საინტერესო მოსაზრებას უზიარებს. ის სატრანსფერო და სახელფასო თანხებზე ლიმიტის დაწესებას მოითხოვს. მისი მტკიცებით, შეზღუდვა უშუალოდ ფეხბურთელების ანაზღაურებას არ შეეხება. ბატონი მიშელი აცხადებს, რომ ლიმიტი ინდივიდუალურად, თითოეული კლუბის ბიუჯეტის მიხედვით უნდა დადგინდეს. უნდა განისაზღვროს გარკვეული პროცენტი, რომლის იქითაც საფეხბურთო გუნდების მესვეურებს სახელფასო ხარჯის გაზრდა აეკრძალებათ. პლატინი პარლამენტის წინაშე გამოსვლისას ინკოგნიტოდ დარჩენილი კლუბების პრეზიდენტების მიერ მიწერილი წერილებით აპელირებდა და დეპუტატებს უმტკიცებდა, რომ ისინი შექმნილი სიტუაციით ძალიან შეწუხებული არიან. იქვე დასძინა, აღნიშნული პრეზიდენტები საკანონმდებლო ბაზის მოდიფიცირებას მოითხოვენო.

უეფას პრეზიდენტის გამოსვლას ესპანეთის ფეხბურთის პროფესიული ლიგის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი **გონსალო სასტრე** გამოეხმაურა და ასეთი რამ თქვა:

*„არ მესმის, რას ნიშნავს, ბიუჯეტის მიხედვით პროცენტული შეზღუდვის დაწესება. სენიორ პლატინის, რა თქმა უნდა, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჩემი აზრით, ფეხბურთში სატრანსფერო ან სახელფასო ლიმიტის დაწესება საშინელ შედეგს გამოიღებს. შესაძლოა, ვინმეს ჰგონია, რომ ამით საშუალო შესაძლებლობების მქონე კლუბები ისარგებლებენ და ისეთ ფეხბურთელებს ჩაიგდებენ ხელში, რომლებზეც ახლა ვერც კი ოცნებობენ, მაგრამ ეს ჩანასახშივე გამორიცხულია. პირიქით, თუ ბიუჯეტის მიხედვით დადგენილი პროცენტული ზღვარით ვიხელმძღვანელებთ, აღმოვაჩენთ, რომ ეს კანონი საშუალო შესაძლებლობების მქონე კლუბებს საუკეთესო ფეხბურთელების გადაბირებას აუკრძალავს. მაგალითად დღეს „რეკრეატივოს“ ხელმძღვანელობას სრული უფლება აქვს, პირადი რისკითა და პასუხისმგებლობით თანხა ისესხოს და 70 მილიონ ევროდ ვთქვათ, კრისტიანო რონალდო შეიძინოს. გასაგებია, რომ ეს უტოპიაა, მაგრამ თუ პლატინის მიერ ინიცირებული საკითხი კანონად იქცევა, ამის თეორიული შესაძლებლობაც მოისპობა. თანაც აუცილებელი ხომ არ არის, „რეკრეატივომ“ და მისმა მსგავსმა გუნდებმა მაინც და მაინც პირდაპირ კრისტიანო რონალდოთი დაიწყონ გუნდის განვითარებაზე ზრუნვა? ამ ინიციატივის ხორცშესხმის შემთხვევაში, მათ ბევრად უფრო იაფფასიანი მოთამაშეების გადაბირების უფლებაც მოესპობათ. თუ პლატინი ფიქრობს, რომ დიდი დანახარჯების ალკვეთით ფეხბურთს კრიზისიდან იხსნის, ესეც გაუგებარი იქნება. კი, მაგრამ თუ „რეალს“ საშუალება აქვს, რომ იმავე კრისტიანო რონალდოს სანაცვლოდ 70 მილიონი გადაიხადოს, ეს რატომ უნდა ავკრძალოთ“?*

პლატინის ფინანსური ინიციატივების გარდა წმინდა სათამაშო მიმართულების ნოვატორული იდეებიც აქვს. უეფას პრეზიდენტი ეგრეთ წოდებული ვიდეოთვალის კატეგორიული წინააღმდეგია, თუმცა მიაჩნია, რომ დამატებით ორი მსაჯის მუშაობის შემთხვევაში ისეთი შეცდომების რაოდენობა, რომელიც მატჩის შედეგზე პირდაპირ გავლენას ახდენს მაქსიმალურად შემცირდება.

თვითნაბადი მარგალიტი

# გაიცანით ახალი ზიდანი!

## ჩელსი და რეალი 6 წლის ბავშვისთვის იბრძვიან

ბავშვი, რომელსაც **მადინ მუჰამედი** ჰქვია, „ჩელსისა“ და მადრიდის „რეალის“ ბრძოლის საგნად იქცა. მუჰამედი წარმოშობით ალჟირელია, მაგრამ მისი მშობლები საფრანგეთის მოქალაქეები არიან და ბავშვიც საფრანგეთში ცხოვრობს. მადინი სულ რაღაც 6 წლისაა, მაგრამ იმდენად ნიჭიერია, რომ მსოფლიო ფეხბურთის უდიდესი გრანდების ცხოველი ინტერესი ამთავითვე დაიმსახურა. ინტერნეტში მისი თამაშის ამსახველი ასობით ვიდეორგოლი დევს. როცა ამ სტატიაზე მუშაობას შევუდექი ინტერნეტმასალები საგულდაგულოდ მოვიძიე და უნდა გითხრათ, რომ გაოცებული დავრჩი. თუ არ დაიზარებთ და საძიებო სისტემების საშუალებით ამ ვიდეოებს მონახავთ, დარწმუნდებით, რომ მადინი მართლაც უნიჭიერესი ბავშვია. თითისტოლა მოზარდი მის სიმაღლესთან შეუსაბამოდ დიდ ბურთს ისე ათამაშებს, თითქოს ჩამოყალიბებული ფეხბურთელი იყოს. მისი ნიჭიერება თითოეულ მოძრაობაში იგრძნობა. თვითნაბადი მარგალიტი ნიჭიერ ბავშვებზე დაგეშილმა სკაუტებმა მყისვე აღმოაჩინეს. შეგახსენებთ, ის მხოლოდ 6 წლისაა და აქამდე საფეხბურთო სკოლაში არ დადიოდა. მუჰამედის მშობლები საფრანგეთის ჩრდილოეთით, პროვინციულ ქალაქ რუბეში ცხოვრობენ. პატარა მადინმაც იქაუ საყმაწვილო სკოლაში დაიწყო სიარული. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელთან ის ძალიან ცოტა ხნის წინ მიაბარეს. მოგეხსენებათ, ვარჯიშებზე ბავშვების მშობლები და ათასი სხვა ადამიანი დადის. პატარა ალჟირელი ფრანგის ნიჭი უმალ შეამჩნიეს და აჟიოტაჟიც აგორდა. ინფორმაცია იმდენად სწრაფად გავრცელდა, რომ რუბეში მადრიდის „რეალის“ საყმაწვილო გუნდის მწვრთნელების საკმაოდ დიდი ჯგუფი ჩავიდა. მათი შთაბეჭდილებების შესახებ 2002 წელს დაბადებული ბავშვების გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი **მარკოს სუარესი** საუბრობს:

*„ჩვენ პროფესიონალები ვართ და ვალდებულნი გახლავართ, სამეფო კლუბის ხელმძღვანელების მითითებას უსიტყვოდ დავემორჩილოთ. მათ ინფორმაცია მიიღეს, რომ საფრანგეთში უნიჭიერესი ბავშვი გამოჩნდა და დაგვავალეს პირადად გვენახა. წინასწარი შთაბეჭდილება რომ შეგვექმნოდა, ინტერნეტში მისი თამაშის ამსახველი ვიდეოები ვნახეთ. ყველა აღფრთოვანებული დავრჩით და საფრანგეთში ძალიან დიდი სიამოვნებით წამოვედით, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბავშვის ცოცხლად ნახვისას კიდევ უფრო გაკვირვებული დავრჩით. ამას გაოგნება უფრო ერქვა. ბავშვთა ფეხბურთში მრავალი წელია ვმოღვაწეობ. ვინ არ მინახავს, ჩემ თვალწინ უამრავმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა გაიარა, მაგრამ პირადად მე მადიმ მუჰამედივით ნიჭიერი არასოდეს შემხვედრია. „რეალის“ ხელმძღვანელობას ჩვენი შთაბეჭდილება მყისვე გავუზიარეთ და ვუთხარით, რომ ეს ბავშვი სხვა კლუბს არ უნდა დარჩეს. ზოგადად ძალიან ძნელია 6 წლის პატარის მომავალი იწინასწარმეტყველო, მაგრამ თუ სასწაული არ მოხდება, მადინ მუჰამედი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახდება“.*

მადინის ნიჭით აღფრთოვანებულმა ჟურნალისტებმა ბავშვს ახალი ზიდანი შეარქვეს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გადაჭარბებული შეფასებაა, მაგრამ იმ თუ იმ ყბადაღებულ ვიდეოებს დაათვალიერებთ, შესაძლოა, თვალხილული მსგავსება თქვენც დაინახოთ და უცხოელ ჟურნალისტებს დაეთანხმოთ. როგორც გითხარით, მადინს არა მარტო „რეალის“, არამედ „ჩელსის“ სკაუტებმაც დაადგეს თვალი. ინგლისური და ესპანური გრანდები ფრანგული საყმაწვილო კლუბის პრეზიდენტს საკმაოდ სოლიდურ თანხას სთავაზობენ იმისთვის, რომ მან ყველა საბუთი მოაწესრიგოს და ბავშვს საფეხბურთო განათლების უცხოეთში მიღების საშუალება მისცეს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, სამეფო კლუბი მზადაა ვუნდერკინდში 1 მილიონი ევრო გადაიხადოს. წარმოიდგინეთ, 6 წლის ბავშვი ერთ მილიონად. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ „რეალის“ ხელმძღვანელობა სულ გაგიჟდა, მაგრამ ისინი შორს იხედებიან და დარწმუნებული არიან, რომ მილიონიანი ინვესტიცია 10-15 წლის შემდეგ კოლოსალურ მოგებას მოიტანს. თუ ამ ბავშვმა ზრდა განაგრძო, მისი სახით მსოფლიოს მართლაც უდიდესი საფეხბურთო ვარსკვლავი ეყოლება.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდიური ამბები

# აიაქსი კრიზისში

## ეინდჰოვენი მომავალი სეზონისათვის ემზადება


მარკო ვან ბასტენს უმძიმესი პერიოდი დაუდგა

„აიაქსის" დღევანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ **მაარტენ სტეკელენბურგმა** იცის, რას ნიშნავს, იყო ქვეყნის ჩემპიონი. მან ჰოლანდიის პირველობა 2004 წელს მოიგო. მაარტენი გუნდის ბოლო თამაშებით გაოგნებულია. აი, რას ამბობს ის: *„წაგებები „ჰერენვენსა" და „გრონინგენთან", უსახური ფრე „ჰერაკლესთან" და მერე ისევ მარცხი „ვიტესთან" უბრალო უიღბლობა არ არის. მინდორზე არ ჩანს გუნდი, ყველა თავისთვის თამაშობს. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ფეხბურთელების დონეს და ამ შემადგენლობაზე დახარჯულ თანხას, წესით, ჩემპიონის ტიტულისთვის უნდა ვიბრძოდეთ... მაგრამ ეს ფეხბურთია. მერე რა, რომ ერედივიზიონში საუკეთესო შემადგენლობა გვყავს, ჩემპიონატს საუკეთესო გუნდი იგებს. ფაქტია, რომ ჩემი რამდენიმე თანაგუნდელი მწვრთნელის დავალებას ვერ ასრულებს, რამდენიმე ძალიან ახალგაზრდაა და სტაბილურობა აკლია, ზოგიერთი კი თავისი თავის წარმოჩენით უფრო დაკავებული, ვიდრე გუნდის ინტერესებზე ფიქრით. გულშემატკივართა უკმაყოფილების მესმის. ჩემპიონობა ყველას გვინდა, მაგრამ წლიდან წლამდე მხოლოდ ჩემპიონობის პრეტენდენტთა სახელს ვამართლებთ, თუმცა ერთიცაა: მიმდინარე სეზონი გასულ სეზონებზე ბევრად რთულია, თუმცა მომავლის იმედი არავის დაუკარგავს. საუკეთესო ფორმაში არ ვართ, მაგრამ ჩვენი ვალია, ბოლომდე დავიხარჯოთ,"* - განუცხადა „ალგემაან დანგბლადს" „აიაქსის" კაპიტანმა.

სულ რამდენიმე კვირის წინ „ეინდჰოვენი" გამოცდილ **ჰუუბ სტევენსს** გამოეთხოვა. მას შემდეგ გუნდი უშედეგოდ ეძებს მთავარ მწვრთნელს. დროებითი დამრიგებელი **დუაიტ ლოდევეხესი** გუნდს ჯერჯერობით ნორმალურად ათამაშებს, მაგრამ ყველა ხვდება, რომ ის მაინც დროებითი მწვრთნელია. „ეინდჰოვენს" უფრო გამოცდილი დამრიგებელი სურს. კლუბის ხელმძღვანელობა კანდიდატურების დასახელებისგან თავს იკავებს, მაგრამ განა პრესას რამეს გამოაპარებ? ერთ-ერთი, ვისაც აღნიშნული თანამდებობა შესთავაზეს, „გრონინგენის" მწვრთნელი **რონ იანსი** გახლავთ. ჟურნალისტებმა მოახერხეს ამ ადამიანთან გასაუბრება. გთავაზობთ მის განცხადებას: *„გრონინგენთან" ხელშეკრულება რამდენიმე თვის წინ 2010 წლამდე გავაგრძელე. სიმართლე გითხრათ, ნაკისრი ვალდებულების ბოლომდე შესრულებას ვაპირებ. პსვ-ს შეუძლია, ჩემი კანდიდატურა განიხილოს მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ. იქამდე „გრონინგენიდან" წამსვლელი არა ვარ."*

ჰოლანდიელ მცველ **ანდრე ოოიერს** „ბლექბერნთან" ხელშეკრულება ივნისში ეწურება. „ვარდებს" მის გაგრძელებაზე ჯერ სიტყვაც არ დაუძრავთ. ფეხბურთელით „ეინდჰოვენის" ხელმძღვანელობა დაინტერესდა. აი, კლუბის ტექნიკური დირექტორის, **ჰანს ვან კრააის** განცხადება: „ ანდრეს, დიდი ხანია, ვაკვირდებით. მისი დაბრუნება გარკვეულ გარემოებებზეა დამოკიდებული". გარემოებებში, რა თქმა უნდა, „ეინდჰოვენის" მომავალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა იგულისხმება. კლუბი მოთამაშესთან მოლაპარაკებების დაწყებას არ ჩქარობს. შეგახსენებთ, რომ „ბლექბერნში" გადასვლამდე, 1997–2006 წლებში, ოოიერი სწორედ „ფილიპსის" გუნდში თამაშობდა.

ამასობაში, „ეინდჰოვენმა" „ფეიენოორდის" თავდამსხმელის, **დიეგო ბისესვარის** შეძენაც გადაწყვიტა. მას როტერდამული კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება. ჰოლანდიის მოქმედ ჩემპიონებს მისი უფასოდ წაყვანა სწადიათ, მაგრამ მოთამაშეს მგლის მადა აღმოაჩნდა. მან იმხელა ანაზღაურება მოითხოვა, რომ ტრანსფერი ჩაშლის პირასაა. დიეგომ, ეგრეთ წოდებული, წამახალისებელი თანხის სახით, მილიონი ევრო მოისურვა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო.

მოსალოდნელი დანიშვნა


ლუიშ ფელიპე სკოლარი

# სკოლარი სიტიში?

## ბრაზილიელი მწვრთნელი გადაწყვეტილებას მხოლოდ ზაფხულში მიიღებს

სპეკულაციების თანახმად, „მანჩესტერ სიტი" **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ეპატიჟება. ბრაზილიელი ეს-ესაა, „ჩელსიდან" დაითხოვეს. „სიტის" **მარკ ჰიუზის** კვალიფიკაცია, როგორც ჩანს, აღარ აკმაყოფილებს. სკოლარი გამოცდილი სპეციალისტია. თანაც, მისი დანიშვნის შემთხვევაში, **კაკას** მანჩესტერში ტრანსფერიც გაიოლდება. ინფორმაციას სკოლარისა და „სიტის" შესაძლო თანამშრომლობის თაობაზე, პოპულარული ტაბლოიდი „დეილი მეილი" ავრცელებს.

გასულ უქმეებზე „სიტიმ" მორიგი იმედგაცრუება იწვნია. მან კრიზისში მყოფ „პორტსმუთთან" წააგო (0:2), იმ „პორტსმუთთან", რომელსაც სამი თვის განმავლობაში ვერ მოეგო და ბოლო ცხრა შეხვედრაში 27 შესაძლებლიდან მხოლოდ 2 ქულა ჰქონდა მოგროვებული. „პორტსმუთს" მთავარი მწვრთნელიც კი არ ჰყავს. მას დროებით ახალგაზრდული გუნდის თავკაცი **პოლ ჰარტი** ხელმძღვანელობს.

"დეილი მეილის" ინფორმაცია პორტუგალიურმა პრესამაც აიტაცა. გავრცელებული ცნობებით, „სიტიმ" სკოლარისთან დაკავშირება და ურთიერთობის გარკვევა ცნობილ პორტუგალიელ აგენტს, **ჟორჟე მენდეშს** მიანდო. სწორედ მენდეში წარმოადგენდა სკოლარის ინტერესებს, როდესაც ეს უკანასკნელი პორტუგალიის ნაკრებში მუშაობდა და შემდეგაც, როდესაც „ჩელსისთან" გააფორმა კონტრაქტი.

ამასობაში, კომენტარი გააკეთა სკოლარის ნდობით აღჭურვილმა პირმა. მან „სიტისთან" მოლაპარაკებების ფაქტი უარყო და განაცხადა, რომ სეუ ლუიშ ფელიპე მხოლოდ ზაფხულში გადაწყვეტს, თუ სად გააგრძელოს მუშაობა.

ლივერპული

# დალგლიშიდან ელ ნინიომდე

## ბენიტესი გაურკვევლობამ დაღალა

**რაფაელ ბენიტესი** აცხადებს, რომ ის მშვიდად მუშაობას ველარ ახერხებს, რადგან გაურკვეველი მომავლის შიში დისკომფორტს უქმნის. *„ნებისმიერი სპეციალისტს, რომელსაც კონტრაქტის ვადა ეწურება, სიტუაციის გარკვევას ესწრაფვის. ივნისში ჩემი შტაბის ერთაშად 12 წევრს კონტრაქტი უმთავრდება. როგორ შეიძლება მშვიდად ვმუშაობდე, როცა არ ვიცი, ამ ხალხს რა ელის? ერთადერთ რამეს ვითხოვ, რაც შეიძლება მალე გაირკვეს მათი ბედი. პლუს, ჩემთვის აუცილებელია გუნდის შემადგენლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას მეტი უფლება მქონდეს, რადგან შედეგებზე პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მე მეკისრება. მას შემდეგ, რაც „ლივერპული" ჩავიბარე შვიდი ფინალი ვითამაშეთ, მოვიპოვეთ ოთხი ტიტული... როდესაც ჩვენგან მუდმივად მწვერვალზე დგომას ითხოვენ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს ასეთი ადვილი არ არის,"* - განუცხადა ესპანელმა მწვრთნელმა „გარდიანს".

**ფერნანდო ტორესს** „ენფილდ როუდზე" სულ რაღაც წელიწადნახევარი აქვს გატარებული. მიუხედავად ამისა, ბევრი საფეხბურთო ექსპერტისთვის მოულოდნელად, ის „ლივერპულის" ყველა დროის 50 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში შევიდა. აღნიშნული სია გაზეთმა „ტაიმსმა" შეადგინა. ტორესი რეიტინგის უკანასკნელ, 50-ე საფეხურზეა. „ლივერპულის" მოქმედ ფეხბურთელთაგან სიაში სულ ოთხი მოხვდა, მათ შორის **სტივ ჯერარდი** (მე-2 ადგილი), **ჯეიმი კარაგერი** (მე-9) და **სემი ჰიპია** (46-ე). პირველი ადგილი, რა თქმა უნდა, **კენი დალგლიშმა** დაიკავა. გთავაზობთ რეიტინგის პირველ ათეულსა და მოქმედი ფეხბურთელების სიას:


ფერნანდო ტორესი ლივერპულის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელების სიაშია

| | |
|---|---|
| 1. კენი დალგლიში | 1977-1990 |
| 2. სტივ ჯერარდი | 1997-დან |
| 3. ჯონ ბარნსი | 1987-1997 |
| 4. გრემ საუნესი | 1978 - 1984 |
| 5. ტომი სმიტი | 1962-1978 |
| 6. კევინ კიგანი | 1971-1977 |
| 7. ალან ჰანსენი | 1977-1991 |
| 8. ბილი ლიდელი | 1939-61 |
| 9. ჯეიმი კარაგერი | 1996-დან |
| 10. როჯერ ჰანტი | 1958-69 |
| 14. რობი ფაულერი | 1992-2001 |
| 19. მაიკლ ოუენი | 1996-2004 |
| 26 დიტმარ ჰამანი | 1999-2006 |
| 42 იერჟი დუდეკი | 2001-07 |
| 46 სამი ჰიპია | 1999-დან |
| 50 ფერნანდო ტორესი | 2007-დან |

ვარსკვლავი


ფრენკ ლემპარდი და მისი ან უკვე ყოფილი მეგობარი გოგონა ელენ რაივსი

# ლემპარდი მეგობარს დაშორდა

## პრობლემები მინდორზე და პირად ცხოვრებაში

**ფრენკ ლემპარდს** მეგობარი გოგონა დაშორდა. **ელენ რაივსი**, რომელთანაც „ჩელსის" ვარსკვლავს ორი შვილი ჰყავს, ფეხბურთელთან ერთად აღარ იცხოვრებს. ფრენკის თხოვნა ამაო აღმოჩნდა. ქალბატონმა რაივსმა ლემპარდის მიტოვება გადაწყვიტა.

ფრენკი, როგორც ჩანს, მოვლენათა ამგვარ განვითარებას ელოდა. მან ელენსა და გოგონებს – ორი წლის **ლუნასა** და ერთი წლის **ისლას**, უკვე უყიდა სახლი მათი საერთო სახლის მეზობლად, რაშიც ლემპარდმა 3 მილიონი გირვანქა გადაიხადა. მართალია, ის და ელენი ერთად აღარ იქნებიან, მაგრამ ფრენკი შვილების აღზრდაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. ის მათთვის კვლავაც მზრუნველი მამა იქნება.

"ნიუს ოფ ზე უორლდმა" მკითხველს შეახსენა, რომ ამ ფრენკს ელენისათვის არაერთხელ უღალატია. მარტო ამ ტაბლოიდმა „ჩელსის" ვარსკვლავი ორ ლამაზმანთან ერთად გამოიჭირა და ეს ამბავი მაშინვე მთელ მსოფლიოს მოსდო.

პირველი სკანდალი 2003 წელს აგორდა. ლემპარდი ლას ვეგასში ისვენებდა. კაზინოში გატარებული საღამოს შემდეგ ის სასტუმროში მავან ქალბატონთან ერთად დაბრუნდა. ორი საათის შემდეგ კი ნომრიდან იმავე ქალბატონთან ერთად ხელგადახვეული გამოვიდა. ცხრა თვის შემდეგ ლემპარდმა კიდევ ერთ ქალბატონთან იცუღლუტა. „ნიუს ოფ ზე უორლდს" არც ეს შემთხვევა დაუტოვებია უყურადღებოდ.

ვერ გეტყვით, მორიგი ორგულობა გახდა თუ არა დაშორების მიზეზი, თუმცა ფრენკს პრობლემები არა მარტო პირად ცხოვრებაში, არამედ მინდორზეც აქვს. ლემპარდი კარიერის ერთ-ერთ უსუსტეს სეზონს ატარებს. მისი ფორმიდან ამოვარდნა გულშემატკივართა ერთ-ერთი უმთავრესი განსახილველი თემაა.

ამბები

# უოლკოტის ახალი კონტრაქტი და იაია ტურე ლონდონში

"არსენალი" თეო **უოლკოტს** ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. 19 წლის თავდამსხმელი "არსენალში" კიდევ ხუთი წელი დარჩება. მას კვირაში 50 ათას გირვანქას გადაუხდიან. "მეთოფეებს" სურთ, წერტილი დაუსვან გაუთავებელ სპეკულაციებს უოლკოტის შესაძლო აბარგების შესახებ. ინგლისურ გაზეთებს თუ დავუჯერებთ, ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავს თვით მადრიდის "რეალი" და "ინტერი" ეპატიჟებიან. უოლკოტს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა "მანჩესტერ სიტიმაც", მაგრამ ის კვლავაც "არსენალში" დარჩება. უოლკოტი ლონდონურ გრანდში 2006 წლის ზაფხულში, "საუთჰემპტონიდან" გადავიდა. "მეთოფეებს" მისი შეძენა 10 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.

ზაფხულის ტრანსფერებისას "არსენალი" ბარსელონელ ნახევარმცველ **იაია ტურეს** შეიძენსო, წერს გუშინდელი "დეილი მეილი". "მეთოფეებს" მისი ტრანსფერი 14 მილიონი ევრო დაუჯდებათ. იაია ტურე 25 წლისაა. ის არსენალელი **კოლო ტურეს** ძმაა. ფეხბურთელს "ბარსელონის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება უჭირს. მისი კონკურენტები **ანდრეს ინიესტა** და **ჩავი ერნანდესი** არიან. "არსენალს" კი, ამასობაში, კვალიფიციური საყრდენი ნახევარმცველი სჭირდება. გუნდმა **მატიო ფლამინის** და **ჟილბერტო სილვასა** სრულფასოვანი შემცვლელი დღემდე ვერ იპოვა.

# რიკენი წავიდა

გერმანიის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა **ლარს რიკენმა** კარიერა დაასრულა. 32 წლის ფეხბურთელი ამ სეზონს დორტმუნდის "ბორუსიის" სათადარიგო გუნდში ატარებდა. პარალელურად, ის ადმინისტრაციული სამუშაოთიც იყო დაკავებული. ლარსი "ბორუსიის" ახალგაზრდული დეპარტამენტის კოორდინატორი გახლდათ. ამიერიდან რიკენი მხოლოდ ადმინისტრაციაში იმუშავებს. ნახევარმცველმა 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში დაგვამახსოვრა თავი. მან "იუვენტუსს" გადამწყვეტი მესამე გოლი გაუტანა (3:1). ეს გოლი ლიგის ფინალების ისტორიაში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გოლად მიიჩნევა. რიკენი 17 წლის იყო, როდესაც **ოტმარ ჰიტცფელდმა** დორტმუნდულ კლუბში აიყვანა. მან ბუნდესლიგაში 301 მატჩი ჩაატარა და 49 გოლი შეაგდო. ლარსმა სამჯერ მოიგო ბუნდესლიგა, ხოლო გერმანიის ნაკრებში 49-ჯერ ითამაშა. ბოლო წლებში მას ქრონიკული ტრავმები აწუხებდა, რამაც ფეხბურთელის კარიერას დიდი დაღი დაასვა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა








Taste the excitement of Kia's all-new SPORTAGE with sporty and aesthetic design

**Major sponsor and official car of Australian Open 2009**

**კია მოტორსი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორი**

კია მოტორსის ოფიციალური წარმომადგენელი „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-2 კმ, ტელ.: 53 01 91 www.kiamotors.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი



# რუმენიგე: დონოვანი არ გვჭირდება!

## კლინსმანი კი თავისას არ იშლის და ამერიკელის იმედი აქვს

„ბაიერნში“ არენდის წესით მოთამაშე ამერიკელ თავდამსხმელ **ლენდონ დონოვანს** მარტამდე ჯერ კიდევ აქვს დრო იმისათვის, რომ მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელები თავის შესაძლებლობებში დაარწმუნოს. მის არენდას ვადა 8 მარტს გასდის, რის შემდეგაც ბავარიელებმა უნდა გადაწყვიტონ, რას უპირებენ დონოვანს - „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ დააბრუნებენ თუ იყიდიან. მაგრამ როგორც გაირკვა, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია - მიუხედავად იმისა, რომ მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** მისი შენარჩუნების მომხრეა, „ბაიერნი“ დონოვანში ფულის გადახდას არ აპირებს.

*„დონოვანი საინტერესო ფეხბურთელია, მაგრამ მომავალი სეზონისთვის ლუკა ტონისთან და მიროსლავ კლოზესთან ერთად ივიცა ოლიჩიც გვეყოლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეოთხე თავდამსხმელი ალბათ უფრო ახალგაზრდა და პერსპექტიული უნდა იყოს,“* - განუცხადა „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** „მიუნხენერ თაგესცაითუნგს“.

კლინსმანის თქმით, დღესდღეობით დონოვანი რანგით ბავარიელთა მესამე თავდამსხმელია და **ლუკას პოდოლსკისაც** ჯობნის. მეორე წრის გასულ მატჩებში კლინსიმ ამერიკელი შეცვლებზე ათამაშა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერაფერი გააწყო, მოედანზე თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. გასულ შაბათს, „ჰერტასთან“ მატჩში მან სულაც ერთი საათი ითამაშა და ორჯერ მიეცა გოლის გატანის რეალური შანსი, მაგრამ ვერც ერთი გამოიყენა.

ალსანიშნავია, რომ **ლუკა ტონი** ახლა ტრავმირებულია და დიდი შანსია, „კიოლნთან“ მატჩამდე ვერც გამოჯანმრთელდეს. ასეთ შემთხვევაში დონოვანი აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს და ეს იქნება მისი უკანასკნელი შანსი. მაგრამ რუმენიგეს თუ დავუჯერებთ, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და რა უფლება გვაქვს, არ ვენდოთ გუნდის ვიცე-პრეზიდენტის სიტყვებს?

მაგრამ აქ მეორე საკითხიცაა გასათვალისწინებელი. კერძოდ ის, რომ კლინსმანი თავისას არ იშლის და ამერიკელის შენარჩუნება უნდა, რაც „ბაიერნს“ დაახლოებით 8 მილიონი ევრო დაუჯდება. მწვრთნელს სჯერა, რომ 26 წლის თავდამსხმელი „ბაიერნისთვის“ საჭირო კაცია.

*„მე მის ნიჭსა და შესაძლებლობებში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. უბრალოდ, ჯერ გოლის გატანა ვერ შეძლო, ეს არის და ეს,* - ამბობს კლინსი და იქვე ამატებს, - *მას „ჰერტასთან“ ორი საგოლე მომენტი ჰქონდა და რომელიმე რომ გამოეყენებინა, ახლა მასზე ყველა სხვანაირად ილაპარაკებდა. რუმენიგეც იტყოდა, საჭირო ფეხბურთელიაო. მინდა ვთქვა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია. ყოველ შემთხვევაში, მე ჯერ არ ჩამომიწერია. ფაქტია, რომ პოტენციალი აქვს, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ თავდამსხმელის შესაძლებლობები გოლებით იზომება.“*

პორტრეტი

# კლოპის ეფექტი? ლოდინი გრძელდება!

## მწვრთნელი, რომელიც რთული სიტუაციებიდან იოლად ძვრება და ყველას ყველაფერში მარტივად არწმუნებს

**იურგენ კლოპი** ოპტიმისტია და აბსოლუტურად ყველაფერში პოზიტიურ ასპექტებს ეძებს. ოპტიმიზმის ფრთები მან დორტმუნდის „ბორუსიასაც“ შეასხა და თავისი განწყობა ამ გუნდის ფანების მრავალრიცხოვან არმიასაც გადასდო. შედეგიც სახეზეა: მიუხედავად იმისა, რომ გუნდი არ არის საუკეთესო ხუთეულში, რაც ვესტფალიელების მიზანი იყო, გულშემატკივრები მაინც კმაყოფილები არიან. მოკლედ, კლოპმა დორტმუნდში ეფექტი მოახდინა, მაგრამ ირეალური.

„ბორუსიას“ 20 ტურის შემდეგ ყველაზე ცოტა (3) ნაგება აქვს და ამ გუნდის საშინაო მატჩებს ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრება. იურგენს ჰყავს ახალგაზრდა გუნდი დიდი პოტენციალით და მიუხედავად ამ ყველაფრისა, დღეს „დორტმუნდი“ მაინც მერვე ადგილზეა. დორტმუნდის „ახალი სამყარო“, რომელსაც სიმპათიური კლოპი ხელმძღვანელობს, რეალურად ულამაზესი იქნებოდა (გასულ წლებთან შედარებით), რომ არა ერთი ფაქტი: მერვე ადგილი.

შავ-ყვითლების რეალობა ისაა, რომ არც ევროტურნირების ზონაში არიან და გავარდნის საფრთხეც არ ემუქრებათ. ანუ, რეალურად ისე გამოდის, რომ თითქმის არაფერი შეცვლილა - „ბორუსია“ შარშან და შარშანწინაც ცხრილის შუაში მერყეობდა. ამასთან, გუნდი უკვე გავარდა როგორც უეფას, ასევე გერმანიის თასიდანაც. ამასთან, როცა გუნდი უფრო მეტად ცდილობს, ითამაშოს შემტევი, აგრესიული ფეხბურთი, კლოპს და კომპანიას მით უფრო უჭირთ შედეგის მიღწევა. „დორტმუნდი“ მეტწილად მხოლოდ მაშინ ახერხებს თამაშის მოგებას, როცა ფავორიტად არ მიიჩნევა.

ვესტფალიელებმა სეზონის წინ მიზნად საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა დაისახეს. დღესდღეობით ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის მეხუთე ადგილზე „ლევერკუზენია“, რომელსაც „ბორუსია“ 5 ქულით ჩამორჩება. შესაბამისად, ხელმძღვანელებს უკვე უჭირთ იმის დაჯერება, რომ მწვრთნელი დასახულ მიზანს მიაღწევს, მაგრამ „კლოპო“ იმდენად ოპტიმისტია, თანაც ისე კარგად ეხერხება ორატორობა, რომ მაინც ყველას არწმუნებს თავის მოსაზრებებში. ამიტომაცაა, რომ მიუხედავად დაახლოებით იგივე შედეგისა, რაც „ბორუსიას“ გასულ წლებში ჰქონდა, მწვრთნელის შესაძლებლობებში ეჭვი ჯერ არც ბოსებს შეუტანიათ, არც ფანებს და ასე განსაჯეთ, არც მუდამ კრიტიკულად განწყობილ ექსპერტებს. კლოპი ახერხებს ყველა დაარწმუნოს და თავისკენ გადაიბიროს. იშვიათი ეგზემპლარია, ერთი სიტყვით.

ჟურნალისტების გადაბირება და ყველასთვის თავის მოწონება მას ჯერ კიდევ იმ დროიდან გამოსდის კარგად, როცა „მაინცი“ პირველ ბუნდესლიგაში გადაიყვანა და მერე უეფას თასის საგზურიც მოაპოვებინა. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის დროს კი, იმ დროს, როცა ბუნდესგუნდს **იურგენ კლინსმანი** წვრთნიდა და აბსოლუტურად ყველა გერმანელი კლინსის ეთაყვანებოდა, კლოპს ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა „სატელევიზიო ბუნდესმწვრთნელი“ უწოდეს. იმდენად აზრიან, მიზანმიმართულ და ჭკვიანურ კომენტარებს უკეთებდა გერმანიის ნაკრების მატჩებს, ისე დეტალურად განიხილავდა კლინსმანის ტაქტიკას, იმდენად კარგ რჩევებს აფრქვევდა პირდაპირი ეთერიდან, რომ როდესაც მუნდიალის შემდეგ კლინსმანი ნაკრებიდან წავიდა, გერმანიაში სერიოზულად დაიწყო დისკუსია იმის თაობაზე, რომ კლინსის ნაცვლად კლოპი დაენიშნათ, რომელსაც იმ დროისთვის „მაინცის“ გარდა არსად ჰქონდა ნამუშევარი. მართალია, კლინსმანს სულაც არ ჰქონდა სამწვრთნელო გამოცდილება, როცა ბუნდესმწვრთნელად დანიშნეს, მაგრამ კლოპისგან განსხვავებით, ის თავის დროზე ლეგენდარული თავდამსხმელი იყო.

გავიდა დრო და დღეს უკვე „დორტმუნდის“ თავკაცს ჟურნალისტების მიერ შერქმეული რამდენიმე მეტსახელი აქვს: „ახალგაზრდა დინამიკერი“ (ზუდდოიჩე ცაითუნგისგან), ვუნდერ-მწვრთნელი (ბიორზე ონლაინისგან), „სთრითუორქერი“ (ბილდისგან) და ა.შ. მან ზუსტად იცის, როგორ უნდა შეგირდების მოტივირება და რა დროს რა უნდა უთხრას ფეხბურთელებს. მაგალითად, „ბაიერნთან“ მატჩის წინ საჯაროდ განაცხადა, იმისათვის, რომ მიუნხენელებს ჯეროვნად ვეთამაშოთ, დორტმუნდიდან ყველა კაცის, ყველა ქალის, ყველა მოხუცის და ყველა ბავშვის მხარდაჭერა გვჭირდებაო. და მან კინალამ შეძლო რეკორდმაისტერის გამწარება - ბავარიელებმა ხომ მხოლოდ ბოლო წუთებზე გატანილი გოლებით შეძლეს სამი ქულის მოპოვება.

კლოპი „დორტმუნდში“ ოფიციალურად მხოლოდ მწვრთნელია, მაგრამ არაოფიციალურად სპორტულ ასპექტში ყველაფერს განაგებს. ამისათვის კი გაზეთ „ბილდს“ და ფეხბურთელებს, **მოჰამედ ზიდანსა** და **კევინ-პრინს ბოატენგს** უნდა უმადლოდეს. ბოატენგის შემთხვევაში მან ზუსტად ათიანში მოარტყა, აი ზიდანისა კი რა მოგახსენოთ - ეგვიპტელი თავდამსხმელი „კლოპომ“ „მაინციდან“ აიკვიატა და მას მერე მოჰამედს ყველა კლოპის შვილს ეძახის. თუმცა „ბორუსიაში“ ზიდანმა დღემდე ვერაფერი გაახერხა, მის ნაცვლად „ჰამბურგში“ გაშვებული **მლადენ პეტრიჩი** კი ბომბარდირებშია.

იმისათვის, რომ სპეციალისტი მართლაც იმსახურებდეს „ვუნდერ-მწვრთნელის“ წოდებას, მინიმუმ ერთი ხმაურიანი გამარჯვება სჭირდება და კლოპს აქაც ცოტა დააკლდა. უეფას თასის ჯგუფური ეტაპისწინა რაუნდში, „უდინეზესთან“ დორტმუნდელებს შინ 0:2 ჰქონდათ ნაგებული და სტუმრად 2:0 მოიგეს, მაგრამ თერთმეტმეტრიანების სერიაში დამარცხდნენ.

ასე რომ, ჯერჯერობით კლოპზე საუბრისას მუდმივად ერთი და იგივე ფრაზები ისმის: „თითქმის მოახერხა“, „კინალამ შეძლო“, „ასე რომ ყოფილიყო“, „ის რომ არ მომხდარიყო“... „კოტბუსთან“ კვირის მატჩმა კარგად აჩვენა, თუ სად აქვს „ბორუსიას“ რეალურად პრობლემები. არც გუნდის შეტევაა ისეთი ამოუცნობი, როგორიც პირველ წრეში ჩანდა და არც შეტევის აწყობა ხდება ჯეროვნად დინამიკურად. გუნდი უიდეო, გამოფიტული და არაეფექტური ჩანს.

მაშ რაღას ვუწოდებთ კლოპის ეფექტს? გუნდის აქციების ფასებმა ისევ დაიწია (როდესაც კლოპი „ბორუსიის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, 20 პროცენტით მოიმატა) და ახლა 1.02 ევრო ღირს, რაც 40 პროცენტით ნაკლებია 2008 წლის სექტემბრის ფასზე და ცოტათი ნაკლებია იმ ფასზე, რაც გუნდის ერთ აქციას კლოპის დანიშვნამდე ორიოდ დღით ადრე ჰქონდა.

რაც შეეხება სპორტულ ვითარებას: მართალია, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გუნდს 20 ტურის შემდეგ პირველად აქვს 31 ქულა, მაგრამ კონკურენტებთან შედარებისას ჩანს, რომ ეს ძალიან ცოტაა ხუთეულში მოსახვედრად. სანამ სეზონი დაიწყებოდა, „ბორუსიამ“ სპეციალური სარეკლამო პლაკატი დაამზადა, რომელზეც კლოპის ფოტო იყო წარწერით: „უეფას თასამდე დარჩენილია 1909 მეტრი!“ შეგახსენებთ, რომ „დორტმუნდი“ სწორედ 1909 წელს დაარსდა. როგორც ჩანს, 1909-მეტრიანი დისტანცია ზედმეტად გრძელია იმისათვის, რომ ის ერთ სეზონში დაფაროს. თუმცა, „ბორუსიის“ ქომაგები იმითაც კმაყოფილები ჩანან, რომ რურის მხარეში არიან პირველები და მოსისხლე მტერ „შალკეს“ (თუნდაც) ერთი ქულით უსწრებენ. სხვათა შორის, ხვალ „ბორუსია“ სწორედ „შალკეს“ სტუმრობს და როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სისხლისღვრაა მოსალოდნელი. კლოპის ეფექტი კი ჯერჯერობით მაინც მოჩვენებითია, ვიდრე რეალური...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**



დორტმუნდის ბორუსიის ექსტრავაგანტური მწვრთნელი იურგენ კლოპი

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების =ISHRS= წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ადრიანო

# უდანაშაულო ვარ!



მილანურ დერბიში ადრიანოს მიერ ხელით გატანილი გოლის შესახებ ბევრი ითქვა და კიდევ უფრო მეტი დაიწერა. გუშინ, ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტმა ეს ეპიზოდი განიხილა და გადაწყვიტა, რომ ადრიანოს მისამართით სანქციები არ დაეწესებინა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის განცხადებით, ადრიანომ ბურთს ჯერ თავი დაარტყა და მხოლოდ შემდეგ მოხვდა ხელზე. ანუ, ხელით განზრახ თამაში არ დაფიქსირებულა. სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ ადრიანო დისკვალიფიკაციას ასცდა. „იმპერატორს“ გუშინდელმა „გაძეტამ“ ვრცელი მასალა მიუძღვნა, მისი ინტერვიუ კი ერთდროულად ორ გამოცემაში დაიბეჭდა. ვფიქრობთ, თქვენთვისაც საინტერესო იქნება ადრიანოს პოზიცია აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით.

**- იქნებ, კიდევ ერთხელ გაიხსენოთ „მილანის“ კარში გატანილი გოლი.**

- სიამოვნებით. მარჯვენა ფრთიდან ბურთი საჯარიმოში წამოვიდა, დროულად დავიძარი კარის მიმართულებით, ყველას დავასწარი და კარში გადავგზავნე. მთელი ჩემი არსებით დარტყმაზე ვიყავი კონცენტრირებული და ასეც მოვიქეცი, ბურთს თავი დავკარი და მიწაზე რომ დავეშვი, უკვე ბადეში იყო გახვეული. რაც შეეხება ხელით თამაშს, კარგად ვერც აღვიქვი, რადგან ყველაფერი წამებში მოხდა. თუ დააკვირდით, გაშვებული ბურთი არც „მილანის“ ფეხბურთელებს გაუპროტესტებიათ.

**- როგორ ფიქრობთ, გოლი უნდა ჩათვლილიყო?**

- ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა გამიჭირდება. როზეტის შეეძლო გაეუქმებინა გოლი და ალბათ, ხმას არავინ ამოიღებდა. მაგრამ, იმასაც ვერ ვიტყვი, რომ მიღებული გადაწყვეტილება მცდარი იყო. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ბურთმა თავად მოძებნა გაშვებული ხელი. თანაც, მე თავით დავარტყი კარის მიმართულებით და ეს ფაქტორიც ბევრს ნიშნავს.

**- ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტმა დაგინდოთ. ცნობილია, რომ თქვენ მიმართ სანქციები არ იქნება დაწესებული.**

- ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სანქციებს არ ვიმსახურებ. ხელით განზრახ ნამდვილად არ მითამაშია და ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც უნდა დამსაჯონ. თუ მაინც გასაუქმებელი იყო გოლი, ეს გადაწყვეტილება მსაჯს უნდა მიეღო და მასზე ზეწოლას არავინ მოახდენდა. ბურთს თავი დავარტყი და მხოლოდ შემდეგ მომხვდა ხელზე. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნება, თუ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი სანქციებს დამიწესებს.

**- „ფიორენტინას“ გულშემატკივრები კი ამ ფაქტით აღშფოთებულები არიან. ჯილარდინოს ხელით თამაშისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა...**

- ფედერკალჩომ ჩათვალა, რომ ჯილამ განზრახ დაარტყა ბურთს ხელი და ასეთი გადაწყვეტილებაც ამად იქნა მიღებული. კარგად ვიცი, რომ „ვიოლას“ ტიფოზები ჩემს დასჯას ითხოვენ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მათი ასეთი საქციელი ძალიან მიკვირს. არ ვამტკიცებ, რომ ალბერტომ ბურთს ხელი განზრახ მოარტყა, მხოლოდ იმას განვმარტავ თუ რის საფუძველზე იღებს ფედერკალჩო ასეთ გადაწყვეტილებებს.

**- მხოლოდ გულშემატკივრები არ ითხოვენ თქვენს დასჯას, ანდრეა დელა ვალემ ფეხბურთის ფედერაცია ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულა.**

- მოდით, ამ თემაზე ნულარ ვისაუბრებთ, რადგან ეს ჩემი საქმე არაა. ბოლო დროს, იმაზეც ხშირად წერენ, რომ მსაჯები „ინტერის“ მიმართ მეტისმეტად ლოიალურები არიან. ბევრმა ეჭვიც შეიტანა, რომ აკრძალული წესებით ვიბრძვით. ყველაფერს ვერ ვუპასუხებ, რადგან სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს. ჩვენ ფეხბურთელები ვართ, გამოვდივართ მოედანზე და ჩვენს საქმეს ვაკეთებთ.

**- კარგით, გადავიდეთ სხვა თემაზე. მოურინიოსთან მოაგვარეთ პრობლემები?**

- მოურინიოს ძალიან დიდ პატივს ვცემ და ეს ყველამ კარგად იცის. აქამდეც არაერთხელ გამომითქვამს მის მიმართ მადლიერება და არც სხვა დროს დავიშურებ სიტყვებს. იყო მცირე გაუგებრობები, თუმცა ეს წარსულს ჩაბარდა. კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ დამნაშავე პირველ რიგში მე ვიყავი. რამდენჯერმე დავარღვიე დისციპლინა, რაც პროფესიონალ ფეხბურთელს არ ეპატიება. ჟოზემ კიდევ მომცა შანსი და ამის გამო მისი უზომოდ მადლიერი ვარ.

**- მადლობა მილანურ დერბიში გატანილი გოლით გადაუხადეთ. ბევრი თვლის, რომ „ინტერი“ გამარჯვებას არ იმსახურებდა.**

- რატომღაც ბევრს ავიწყდება, რომ ჩვენ „მილანთან“ გვქონდა თამაში და არა რომელიმე სოფლის გუნდთან. თუ ვინმეს სურდა, რომ დიდი ანგარიშით და დამაჯერებლად მოგვეგო, უბრალოდ არარეალისტია. ასეთ შეხვედრებში მთავარი გამარჯვება და სამი ქულაა. მიზანს მივაღწიეთ და სწორედ აქედან უნდა გამოვიდეთ. თუმცა, ვერც იმას დავეთანხმები, რომ „როსონერიმ“ თამაშით გვაჯობა. ჩემი აზრით, მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და იმ გუნდმა გაიმარჯვა, ვინც დამაგვირგვინებელ ფაზაში უფრო უკეთ წარმოჩინდა. საგოლე მომენტებიც ჩვენ უფრო მეტი გვქონდა, ვიდრე მეტოქეს.

**- „ინტერის“ კონკურენტები არ ნებდებიან და აცხადებენ, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება. ეთანხმებით მათ?**

- მათ ადგილზე მეც ანალოგიურად მოვიქცეოდი. სანამ თეორიული შანსი მაინც არის დარჩენილი, არ უნდა დანებდე და ბოლომდე იბრძოლო. „ინტერი“ კარგ პოზიციაშია და ეს ძალიან მსიამოვნებს, თუმცა წინ კიდევ ბევრი ტურია. დერბის შემდეგ ბევრმა მომილოცა იტალიის ჩემპიონობა, თუმცა პირადად მე ასე არ ვარ განწყობილი. ჯერ მხოლოდ ბრძოლა მწყურია, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ზედმეტი არაფერი ვარგა, მათ შორის თავდაჯერებულობა.

**- მალე ჩემპიონთა ლიგა განახლდება და ძალების განაწილება ორ ფრონტზე მოგიწევთ. რამდენად მზად ხართ ამისთვის?**

- „ინტერი“: გამოცდილი გუნდია და ასეთი რამეები არ აშინებს. ფეხბურთს დიდი ხანია ვთამაშობთ და კარგად ვიცით, რას ნიშნავს დიდი დატვირთვები. ფიზიკურად შესანიშნავად ვართ მომზადებულნი და სალიგო ბატალიებს სრულ მზადყოფნაში ვხვდებით. მეტიც, როდესაც იცი, რომ წინ დიდი მატჩები გელის, თითქოს ენთუზიაზმი გემატება და ძალების მოზღვავებას გრძნობ. ლიგაში თამაში დიდი ბედნიერებაა და მხოლოდ სტიმულს გვაძლევს, რომ იტალიის ჩემპიონატშიც მაღალ დონეზე ვითამაშოთ.

**- „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბევრს მსოფლიოს საუკეთესო გუნდად მიაჩნია, მეტოქეში ნამდვილად არ გაგიმართლათ.**

- „მანჩესტერი“ მართლაც საუკეთესოა მსოფლიოში და ამ აზრს მეც დავეთანხმები. ინგლისელები მაღალი დონის ფეხბურთს თამაშობენ და რაც მთავარია, სტაბილურობით გამოირჩევიან. თუმცა, მე არ ვთვლი, რომ არ გაგვიმართლა, რადგან ლიგაში თამაში სწორედ ასეთი კონკურენციის გამოა მიმზიდველი. წინ ორი უდიდესი ჯახი გველის და იმედია, გულშემატკივრები დაუვიწყარ სანახაობას იხილავენ.

**- ბევრმა ეს დაპირისპირება იბრაჰიმოვიჩი-რონალდოს დუელად მონათლა. ალბათ თქვენ არ გსიამოვნებთ ეს?**

- უსიამოვნოს ვერაფერს ვისმენ, თუმცა აზრს ნამდვილად ვერ დავეთანხმები. იბრაჰიმოვიჩი და რონალდო უდიდესი ფეხბურთელები არიან და ამაში ორი აზრი არ არსებობს. თუმცა, მათი დუელის ამბავი მაინც გადამეტებულად მეჩვენება. „ინტერში“ და „მანჩესტერში“ უმაღლესი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ და თითოეულ მათგანს ძალუძს შეხვედრაში გადამწყვეტი სიტყვის თქმა.

**- სერია A კარგია, მაგრამ ტიფოზები ევროპულ წარმატებას ელიან, მათ ლიგის თასი უნდათ. გაქვთ თუ არა ეს გაცნობიერებული?**

- „ინტერის“ ტიფოზები ძალიან მომთხოვნები არიან და ყველა იმ ტურნირის მოგება სურთ, რომელშიც ვასპარეზობთ. ჩემპიონთა ლიგაში აქამდე არაფერი გამოგვდიოდა და მესმის, რომ გულშემატკივრები ამდენი იმედგაცრუებით დაიღალნენ. ამად არის, რომ „მანჩესტერთან“ ჯახისთვის გაორმაგებული ენერგიით ვემზადებით. ყველანი ოპტიმიზმით ვართ განწყობილი და იმედია, ეს ჩვენს ქომაგებსაც გადაედებათ.

**ლაშა ნიკლაური**

ბარსელონა



ანდრეს ინიესტა

# ინიესტას ორი კვირა

## პუიოლის დერბიში თამაში საეჭვოა, კატალონიელებმა ახალი სპონსორი იშოვეს

“ბარსელონას” ანდრეს ინიესტა დაუშავდა. კატალონიელთა წამყვანი ნახევარმცველი ორი კვირა ვერ ითამაშებს. ინიესტამ სამშაბათის ვარჯიშზე მუხლი იტკინა. მას “ლიონთან” ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩი გაუცდება. ეს არაა ინიესტას პირველი ტრავმა მიმდინარე სეზონში. ანდრესი ნოემბერში, “ბაზელთან” შეხვედრის დროსაც დაშავდა. მან მთელი ორი თვე გამოტოვა. გამოჯანმრთელების შემდეგ, ინიესტა ეს-ესაა იწყებდა ოპტიმალური ფორმის აკრეფას, მაგრამ კვლავ ლაზარეთში ამოყო თავი.

2009 წელს ბარსელონელთა შემადგენლობაში ყველაზე მეტი **დანი ალვეშმა** ითამაშა. მის აქტივშია 924 წუთი. მეორე ადგილზე, 792 წუთით, ინიესტა გახლდათ. ანდრესი **პეპ გვარდიოლას** გუნდში საკვანძო მნიშვნელობას იძენდა. მისი დაშავება გუნდისათვის დიდი დანაკლისია.

ამ უქმეებზე “ბარსას” კატალონიური დერბი ელოდება, შემდეგ “ლიონთან” ითამაშებს, ხოლო მომავალ უქმეებზე მადრიდის “ატლეტიკოს” დაუპირისპირდება. 4 მარტს, “ბარსას” “მალიორკასთან” სამეფო თასის განმეორებითი ნახევარფინალი ელოდება. ინიესტას დაბრუნებას სწორედ იმ მატჩში ელიან, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას კატალონიელი ექიმები მიიღებენ.

**კარლეს პუიოლი** “ბარსელონაში” თამაშს 36 წლამდე აპირებს. კატალონიელთა გუნდის კაპიტანი 30 წლისაა. მას დღევანდელი კონტრაქტი 2010 წელს ეწურება. დირექტორებმა პუიოლს თანამშრომლობის გაგრძელება უკვე შესთავაზეს, თუმცა უცნობია, ერთბაშად ხუთწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ თუ არა მას. კარლესი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგაც “ბარსელონაში” დარჩენას აპირებს:

*“მწვრთნელობა არ მიზიდავს. უფრო ადმინისტრაციული სამუშაო მომწონს. ჩემი აზრით, ეს გაცილებით უფრო სახალისო საქმეა,”* – განაცხადა კაპიტანმა. “ესპანიოლთან” დერბიში პუიოლის ასპარეზობა საეჭვოა. ის ბარძაყის ტრავმას იშუშებს და ინდივიდუალური პროგრამით ემზადება. ძირითად გუნდთან ერთად სავარჯიშოდ ექიმების ნებართვაა საჭირო.

ამასობაში, “ბარსელონამ” სარფიანი სპონსორული კონტრაქტი გააფორმა. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კატალონიური გრანდის პარტნიორი გაერთიანებული საემიროების წამყვანი სატელეკომუნიკაციო კომპანია “ეტისალატი” იქნება. წლის განმავლობაში ბარსელონელები 12 მილიონ ევროს მიიღებენ. “ელისალატს” ახლო აღმოსავლეთსა და აზიის კონტინენტზე 74 მილიონი კლიენტი ჰყავს, ხოლო საკუთარი წარმომადგენლობები 18 ქვეყანაში აქვს გახსნილი. ამას გარდა, “ელისალატი” მსოფლიოს 500 ყველაზე წარმატებული კომპანიის რიცხვშია.

**შალვა ბიბილაშვილი**

მილანი

# გალიანიმ გეგმები გაამხილა

„ინტერთან“ განცდილი მარცხის შემდეგ, მასმედიამ „მილანის“ დაცვა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. განსაკუთრებით, ეს ითქმის **კახა კალაძეზე**, რომელმაც, იტალიელ ჟურნალისტთა ერთი ნაწილის აზრით, სეზონის ყველაზე ცუდი შეხვედრა ჩაატარა. გუშინ, პრესის წარმომადგენლები „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** დაუკავშირდნენ და ჰკითხეს - აპირებს თუ არა ზაფხულში მცველების ყიდვას. მოდით, გავეცნოთ სინიორ ადრიანოს პასუხს:

*„სატრანსფერო ფანჯრისას პასიურად არასდროს ვყოფილვართ და ბუნებივია, ტრადიციას არც ამ ზაფხულს დავარღვევთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეთი უკმაყოფილონი ვართ და მის შემცვლელს ვეძებთ. რაც შეეხება დაცვის ხაზს, ძირეული რეფორმები არ იგეგმება. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ნუ დაგვავიწყდება, რომ მალე მოედანს ალესანდრო ნესტა დაუბრუნდება. სანდრომ ოპერაცია გაიკეთა და როგორც ვიცი, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ჩვენ გვყავს ახალგაზრდა ბრაზილიელი უკანახაზელი ტიაგო სილვა, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ. აქვე, გამოვტყდები და გეტყვით, რომ ძალიან გვინდა, დავიბრუნოთ მასიმო ოდო, რომელიც მიუნხენის „ბაიერნში“ წარმატებით თამაშობს“.*

**ლაშა ნიკლაური**



ძიუდო



მარცხნიდან: შალვა ჩოჩელი, ვაჟა ბალხამიშვილი და თორნიკე ოთინაშვილი

# სუძუკიმ გაკვეთილი ქართველებსაც ჩაუტარა

თვრამეტი ქვეყნის 500-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც ლიტვის ქალაქმა ალიტუსმა ოცდამეერთედ უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოს შვიდი სპორტსმენი (**თორნიკე ოთინაშვილი, შალვა ჩოჩელი, ნიკა შერაზადიშვილი, ალეკო მამუკაშვილი, სანდრო ანთელიძე, ზაზა გულიაშვილი** და **გიორგი თვალაბეიშვილი**) ცდიდა ძალებს დამსახურებული მწვრთნელის **ვაჟა ბალხამიშვილის** ხელმძღვანელობით.

უფროს ასაკში ყველაზე უკეთ თორნიკე ოთინაშვილმა (90 კგ) იასპარეზა. მან იპონით ზედიზედ სძლია ინგლისელ, პოლონელ, ლიტველ და ლატვიელ ძიუდოისტებს. ფინალში რუსმა **სტეკლოვმა** მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, დამატებით სამწუთიან მონაკვეთში თორნიკემ ელვისებური ფანდით ბეჭებზე დასცა მეტოქე, ოქროს მედალიც დაიმსახურა და თხუთმეტწლიანებშიც დაამტკიცა, რომ ძიუდოში 90 კილო მართლაც „ჩვენი წონაა". საგულისხმოა, რომ ოთინაშვილი თანატოლებში სომხეთისა და აზერბაიჯანის შარშანდელი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულიცაა. იგი 14-15 მარტს საქართველოს პირველობაზე იჭიდავებს და ჩემპიონობის შემთხვევაში ივნისის მიწურულს ევროპელ თანატოლებთანაც მოუწევს გაჯიბრება.

ალიტუსის ტურნირის უმცროს ასაკში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან ახლოს იყო შალვა ჩოჩელიც (+73) , რომელმაც ასევე იპონით ჩამოიცილა გზიდან სამი მოწინააღმდეგე. ფინალში კი საკუთარ ფანდზე წამოეგო და პირველობა ლატვიელ **ტალალუჟევს** დაუთმო, თავად კი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

— ეს ახალგაზრდა მოჭიდავეები **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის მსმენელები არიან, — მითხრა ვაჟა ბალხამიშვილმა. — ზოგიერთმა საერთაშორისო ტურნირზე პირველად იჭიდავა, ამიტომ რამდენიმეს გამოცდილება არ ეყო კვარცხლბეკზე ასასვლელად. სამაგიეროდ, მათთვის ლიტვური ბატალიები იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ასპარეზობის შემდეგ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად იქვე გაიარეს სამდღიანი საწვრთნელი შეკრება, რომელსაც იაპონიიდან სპეციალურად მოწვეული ოლიმპიური ჩემპიონი კაორი სუძუკი უძღვებოდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბიჭები მომდევნო ტურნირებზე უფრო თამამად იჭიდავებენ.

**ვაჟა დანელია**

# გამარჯვებულს 200 ქულა

მომავალ შაბათ-კვირას ჰამბურგში ძიუდოისტთა მსოფლიოს თასი გათამაშდება. საქართველოდან ამ შეჯიბრებაში იასპარეზებენ: **ბეთქილ შუკვანი, ლევან ჩუბინიძე** (ორივე — 60 კგ), **შალვა ქარდავა** (66), **დავით კუპრაშვილი** (73), **საბა გავაშელიშვილი** (81), **მინდია ბოდაველი** (90), **ირაკლი ცირეკიძე** და **ბესიკ ნიჟარაძე** (ორივე — 100), მწვრთნელები — **ბორის ფირცხელიანი** და **ჯემალ ნათელაშვილი**.

ტურნირის საპრიზო ფონდია 100 ათასი ამერიკული დოლარი. ასპარეზობის გამარჯვებული 200 სარეიტინგო ქულას დაიმსახურებს.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა

# ნახკაძორი მოიტოვეს, წინ კიევია

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე ნახკაძორში (სომხეთი) იმყოფებოდა. თბილისში დაბრუნებულ ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელ ზაზა თურმანიძეს შევეხმიანეთ:**

— ნახკაძორი საკურორტო ადგილია, ზღვის დონიდან 1800 მეტრზე. ხვავრიელი თოვლი, გამჭვირვალე სუფთა ჰაერი და სავარჯიშო დარბაზები მდიდარი ინფრასტრუქტურით, კარგი კვება — მეტი რაღა უნდოდა საერთო ფიზიკური მომზადებისთვის საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ 17 სპორტსმენს, რომლებსაც დღეში სამჯერადი ვარჯიშები ჰქონდათ. იშვიათად ხალიჩაზეც ვამუშავებდით ილეთებს. ნაყოფიერი წვრთნა გამოგვივიდა — ბიჭები კმაყოფილნი არიან. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ სხვადასხვა მიზეზით ჩვენთან ერთად არ იყვნენ ოლიმპიური თამაშების პრიზიორები — გიორგი გოგშელიძე და ოთარ თუშიშვილი.

**— კიევის საერთაშორისო ტურნირზე სასპარეზოდ ვინ გაემგზავრება?**

— უკრაინის დედაქალაქში 21-22 თებერვალს საპრიზო ადგილებისთვის ბესიკ გოჩაშვილი (55 კგ), მალხაზ ქურდიანი (60), მალხაზ მუზიაშვილი და ზურაბ კოტორაშვილი (ორივე — 66), გელა საღირაშვილი (74), თორნიკე სვანიძე და არჩილ ქიტიაშვილი (ორივე — 84), ბელდუხ გავაშელიშვილი და გიორგი ჩიქოვანი (ორივე — 96), დავით ოთიაშვილი და ალექსი მოდებაძე (ორივე — 120) იბრძოლებენ.

კიევური ბატალიები ქართველი ფალავნებისთვის ერთადერთი საშეჯიბრო სტარტი იქნება ევროპის ჩემპიონატის წინ. ბიჭებისგან ამ ეტაპზე მაღალ შედეგებს არ ველოდები, რადგან მომზადება ეს-ეს არის დავიწყეთ და მოჭიდავეები სასურველი სპორტული ფორმისგან ჯერ შორს არიან.

უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ ბორჯომში ორ ორ-ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გავივლით და მერე დავადგენთ ეროვნული გუნდის იმ შემადგენლობას, რომელიც 1-7 აპრილს ვილნიუსში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს.

**ვაჟა დანელია**

ტყვიის სროლა



# პრაღაში ევროპის ჩემპიონატზე

ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა 19-23 თებერვალს პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. **ვახტანგ სალუქვაძის** ხელმძღვანელობით პირად-გუნდური პირველობისთვის იბრძოლებენ ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე** და **თამილა ასათიანი**, რომლებმაც 2005 წელს გუნდურ პირველობაში ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ვაჟებში საქართველოს სპორტულ ღირსებას ლევან ქადაგიძე დაიცავს. ოთხივე სპორტსმენმა **თეონა იაშვილთან** და **ილია მაჭარაშვილთან** ერთად ერევანში თორმეტდღიანი საწვრთნელი შეკრება გაიარა.

პრაღაში გამგზავრების წინ გუშინ საქართველოს ნაკრების წევრებს გავესაუბრე:

**ნინო სალუქვაძე**: სროლის საერთაშორისო ფედერაციამ შეცვალა უწინდელი გადაწყვეტილება და ლონდონის ოლიმპიადისთვის ლიცენზიები მომავალი სეზონიდან გათამაშდება — ევროპის ჩემპიონატებზე სამ-სამი საუკეთესო, ხოლო მსოფლიოს თასის გათამაშებაზე მხოლოდ გამარჯვებულნი მიიღებენ საგზურებს. პრაღაში არც ახალგაზრდებს ერგებათ ლიცენზიები მსოფლიოს ახალგაზრდების პირველი ოლიმპიური თამაშებისთვის, რომელსაც გაისად სინგაპური უმასპინძლებს. მომავალი წლის ევროპის ჩემპიონატი კი ხუთ ბედნიერ ახალგაზრდას გამოავლენს. თუმცა, არც სხვები დაიჩაგრებიან, რადგან ულიცენზიოდ დარჩენილი ქვეყნებისთვის თითო საგზურს მაინც გამოყოფენ.

რაც შეეხება წლევანდელ ევროპის ჩემპიონატს, ვეცდებით, ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი ვაჩვენოთ. სომხეთში საწვრთნელ შეკრებაზე შესანიშნავი პირობები გვქონდა და შეჯიბრებისთვის მართლაც საფუძვლიანად მოვემზადეთ.

**ლევან ქადაგიძე**: ოთხი წელიწადია, სროლაში ვვარჯიშობ და ასეთი ნაყოფიერი შეკრება არასდროს გამივლია. კმაყოფილი ვარ. ყოველდღიურად 4-5 საათს ვვარჯიშობდით, საღამოობით კი სროლაში ერთმანეთს ან სომხეთის ეროვნული ნაკრების წევრებს ვეჯიბრებოდით.

**თამილა ასათიანი**: ვეცდებით, ქომაგები კვლავაც გავახაროთ.

**ვაჟა დანელია**

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტო

ჭადრაკი

# დასანანი მარცხი

გერმანიის ქალაქ ფალცში მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც ორი ქართველი დიდოსტატი ქალი თამაშობს, გუშინ მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა. სამწუხაროდ, **ბელა ხოტენაშვილმა** ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია და ტურნირის მეორე ნახევარში, ანუ აუტსაიდერებში გადაინაცვლა. ბელას მარცხი მოულოდნელი იყო, რადგანაც მისი მეტოქე დაბალი რეიტინგის მქონე გერმანელი **უდო ლაო** გახლდათ - განთესვით ლაო 150-ეა, მაშინ როცა ბელა 62-ეა. თუმცა ჭადრაკში ყველაფერი ხდება, მით უფრო, რომ მამაკაცისგან მანდილოსნის ძლევა დიდ სენსაციად არ აღიქმება ხოლმე. ხოტენაშვილისგან განსხვავებით, შანსი არ დაკარგა **ნინო ბაციაშვილმა**, ვინც ასევე შავებით ხვდებოდა გერმანელ დენის ჰანკელს და დაამარცხა იგი. დენისი უდო ლაოზე ბევრად მაღალი რეიტინგით ვერ მოიწონებს თავს, მაგრამ მაინც უკეთესი მაჩვენებლით გამოირჩევა - 146 -ეა განთესვით. ბაციაშვილს ამ მოგებით 3 ქულა გაუხდა და დიდი ნაბიჯი გადადგა წინ - მეორმოცეა ცხრილში; ხოტენაშვილი ორი ქულით მხოლოდ 125-ეა. კვლავ შეგახსენებთ, რომ ტურნირში 325 მონაწილე ასპარეზობს. ამიტომ ბევრია თანაბარქულიანთა რაოდენობაც. მაგალითად, ბაციაშვილის დარად 3 ქულა ორმოცდაათ მოჭადრაკეს აქვს, 3,5 კი - ოცდაერთს. მაქსიმალური რაოდენობით - ოთხი ქულით - ცხრილს სათავეში სამი დიდოსტატი უდგას: ჰოლანდიელი **სერგეი ტივიაკოვი**(2684), პოლონელი **ტომას მარკოვსკი**(2605) და უკრაინელი **ვლადისლავ ბოროვიკოვი**(2582).

მეხუთე ტურში ნინო ლიტველ **ალოიზიოს კვეინის**(2522), ხოლო ბელა მოლდაველ **გეორგ დიოსეს**(2141) შეხვდება. ორივე ჩვენიანი შავებით ითამაშებს. თუკი ალოიზიო ოცდამერვეა განთესვით, გეორგი 171-ეა და, იმედია, ამჯერად მაინც შეძლებს ხოტენაშვილი მარცხიანი დროების დასრულებას; ცხადია, ნინოს გამარჯვებას ვუსურვებთ, თუმც ვგრძნობთ, რომ ძლიერ გაუჭირდება.

პირველ დაფაზე ტივიაკოვი შეხვდება ბარავიკოვს, ხოლო მეორე დაფაზე მარკოვსკი უკრაინელი **იური კუზუბოვის** დამარცხებას შეეცდება.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# ბასილაშვილი ლაჩკომდე მივიდა

16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (1222) ზაგრების (ხორვატია) ტურნირის (15 ათასი $) მერვედფინალშია, სადაც ის 21 წლის **ლუკაშ ლაჩკოს** (336) შეხვდება. ლაჩკო ამ შეხვედრის უდავო ფავორიტია, თუმცა, ვინ იცის, იქნებ ქართველმა ტალანტმა კიდევ ერთი მოულოდნელობა შემოგვთავაზოს. შეგახსენებთ, რომ ლაჩკო ის ჩოგბურთელია, რომელთანაც შარშან **ირაკლი ლაბაძემ** „დევისის თასის" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი მატჩი გამართა და 5 სეტში მოუგო (ბოლო სეტი - 19:17!), ლაჩკო მაშინ მსოფლიოს მოწინავე ჩოგბურთელთა მეორე ასეულში იყო. ბასილაშვილი ტურნირის ძირითად ბადეში სამი ორთაბრძოლის მოგების შემდეგ მოხვდა, იქ კი „უაილდ ქარდით" მიწვეული მასპინძელი **ვედრან სილიეგოვიჩი** (1368) დაამარცხა - 4:6, 7:5, 6:3. ნიკა ლაჩკოს, რა თქმა უნდა, კარიერაში პირველად ხვდება.

როგორც მოსალოდნელი იყო, ურეიტინგო **მაგდა ოქრუაშვილმა** ვერ შეძლო სურპრაიზის (აშშ) ტურნირის ძირითად ბადეში გასაღწევად პირველ ნომრად განთესილი უკრაინელი **იულია ვაკულენკოს** (273) დამარცხება - 3:6, 2:6. ტურნირის ძირითად ბადეში მხოლოდ ერთი ქართველი იქნება - **მაკა ჩახნაშვილი** (223). წყვილთა თანრიგში ორივე ჩვენებური ითამაშებს, ოღონდ სხვადასხვა გუნდში. მაკა არგენტინელ **მარია ირიგოიენთან** (381) ერთად მე-3 ნომრად არის განთესილი, მაგდა კი რუს **ოლგა ბულიტჩევას** შეუწყვილდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი

# დისტანცია ბოლომდე ვერც გაიარა...

პოლონეთის კურორტ სლასკ-ბესკიდში მიმდინარე ახალგაზრდობის რიგით IX ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალზე მესამე საშეჯიბრო დღე ქართველი სპორტსმენებისთვის წარუმატებელი გამოდგა. ბიათლონში, 10-კილომეტრიან დისტანციაზე, ვაჟთა და გოგონათა შორის ჩვენებურთაგან **მიხეილ ავაქიანი** და **ანჟელა ბადური** ასპარეზობდნენ. ბადურმა დისტანცია ბოლომდე ვერც გაიარა (უარი თქვა), ავაქიანმა კი ერთ-ერთი ბოლო ადგილი დაიკავა.

დღეს ქართველ ათლეტთაგან გიგანტურ სლალომში ბედს **ნინო წიკლაური** ცდის, თუმცა არის საშიშროება, რომ უამინდობის გამო შეჯიბრება გადაიდოს, ან საერთოდ არ ჩატარდეს. როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელთაგან შევიტყვეთ, რამდენიმე დღეა, სლასკ-ბესკიდში გადაუღებლად თოვს, რაც ფესტივალს ხელს უშლის.

**კახა ბერიძე**

ხელბურთი

# ჭანტურიამ პარიზელებს სძლია

ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა მაკედონიურმა "მეტალურგმა", რომლის ღირსებასაც **რეზო ჭანტურია** იცავს. მერვედფინალის პირველ მატჩში "მეტალურგმა" ფრანგულ "პარი სენ ჟერმენს" უმასპინძლა და 28:19 გაიმარჯვა. რეზომ მოედანზე მატჩის უმეტესი ნაწილი გაატარა, დაცვაში დამაჯერებლად გაისარჯა და ერთი გოლიც გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი ქართველი NBA-ში

# ფაჩულია ფინიქსში იგორ კოკოშკოვთან?

## ზაზა: ჩემს მომავალს საქართველოს გარეშე ვერ ვხედავ



ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, სამი სატრანსფერო ინფორმაცია ერთი პუბლიკაციით გაგაცანით. დღესაც სამი ამბის ერთ სტატიაში ჩატევას ვაპირებთ. სამივე მათგანი **ზაზა ფაჩულიას** ეხება.

პირველი ამბავი მის შესაძლო ტრანსფერზეა. ამერიკელი ჟურნალისტის, **სეკუ სმიტის** თქმით, მოსალოდნელია ფაჩულიას "ფინიქსში" გადასვლა. სანაცვლოდ "ატლანტას" **ამარე სტაუდმაიერი** უნდა დაემატოს.

მეორე ინფორმაცია ზაზას თამაშს ეხება – ვარსკვლავთა მატჩთან დაკავშირებული ერთკვირიანი შესვენების შემდეგ "ატლანტა ჰოქსმა" ლოს ანჯელესში 83:96 წააგო.

მესამეა ამერიკელი ჟურნალისტის მიერ მომზადებული პუბლიკაცია, რომელშიც ავტორი ეხება ქართველი მოთამაშის როგორც საკალათბურთო, ასევე, მოედანსმიღმა ამბებს.

### ფაჩულია სტაუდმაიერის ნაცვლად?

გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენში" გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის ავტორს, **სეკუ სმიტს** თუ ვენდობით, "ატლანტა" "ფინიქსიდან" ამარე სტაუდმაიერის გადმოყვანითაა დაინტერესებული.

ჟურნალისტი იქვე ამბობს, რომ ამარეს ისეთ კლუბში გადასვლა აქვს გადაწყვეტილი, რომელიც პლეი ოფის ზონაშია და მაღალი მიზნებისთვის აპირებს ბრძოლას. ასეთად კი ატლანტელ კორესპონდენტს სწორედ "ჰოქსი" ეგულება. იგი იქვე დასძენს - ჯორჯიულ კლუბს სტაუდმაიერის შეძენისთვის საკმარისი თანხა არ გააჩნიაო. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა განხორციელდეს გაცვლა.

ბატონი სეკუ გაცვლის რამდენიმე ვარიანტს ასახელებს. ერთ-ერთში ზაზა ფაჩულიაცაა ჩართული: *"ატლანტელებს საკმარისად ჰყავთ ტანმაღალი კალათბურთელები, რომელთა სტაუდმაიერში გაცვლა შესაძლებელი იქნება. ...მაგალითად, ზაზა ფაჩულია და მერვინ უილიამსი. შესაძლოა ამ ორ კალათბურთელს ფლიპ მიურეი დაემატოს და ფინიქსურ დუეტში – ბარბოსა-სტაუდმაიერი გაიცვალოს."*

ამერიკაში სატრანსფერო ბაზარი ამ კვირას იხურება და, ჩვენი აზრით, ზაზას "ფინიქს სანსში" ასე უცბად გადასვლა ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა ფაჩულიასთვის "სანსში" წასვლა ურიგო ვარიანტი არ იქნება, რადგან ფინიქსელთა სამწვრთნელო შტაბში საქართველოს ნაკრების დამრიგებელი **იგორ კოკოშკოვი** მუშაობს.

ცნობისთვის, ზაზას "ქორებთან" ოთხწლიანი კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება.

### ზაზას სასაყვედურო არაფერი აქვს

NBA-ს "ოლ სტართან" დაკავშირებული ერთკვირიანი შესვენების შემდეგ "ატლანტა ჰოქსმა" "ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" გასვლითი შეხვედრა გამართა და 83:96 წააგო. ჯორჯიელებმა მატჩი ნორმალურად დაიწყეს და პირველი პერიოდი 24:23 მოიგეს.

მეორის დასაწყისში ზაზას ორქულიანის და შედეგიანი პასის შემდეგ ტაბლოზე სტუმართა სასარგებლოდ 30:28 დაფიქსირდა. ამ ანგარიშზე მწვრთნელმა ქართველის ნაცვლად მოედანზე **ელ ჰორფორდი** შეუშვა. ზაზას არყოფნას "ლეიკერსის" 12:2 სპურტი დაემთხვა, რამაც სტუმართა მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** აიძულა, მოედანზე ზაზა დაებრუნებინა. "ჰოქსს" მეორე პერიოდის ბოლო ქულები ქართველმა ცენტრმა მოუტანა – 36:42.

მესამე პერიოდის დასაწყისს ზაზა სათადარიგოთა სკამზე შეხვდა. იგი თამაშში პერიოდის მერვე წუთზე ჩაერთო. არ იკითხავთ, იმ დროისთვის რა ანგარიში იყო? – 75:54 "ლეიკერსის" სასარგებლოდ. როგორც ხედავთ, **კობი ბრაიანტმა** და **პაუ გასოლმა** ოდენ 8 წუთში თანაგუნდელებს 21-ქულიანი ფორა მოუტანეს. "ლეიკერსმა" მესამე თორმეტწუთეული 40:24 მოიგო და ბოლო რაუნდს აზრი დაუკარგა.

"ატლანტას" მარცხი, პირველ რიგში, მეფარეების ბრალია, "ლეიკერსმა" მეტოქე მოხსნებში აშკარად დაჩაგრა – 67:39. სხვათა შორის, მწვრთნელს ზაზასადმი სასაყვედურო არც ამ კომპონენტში ექნებოდა – ფაჩულიამ მეტოქის ფარზეც 6 ბურთი მოხსნა და საკუთარზეც. მოხსნებში მეორე ელ ჰორფორდი იყო – 7. დანარჩენებს ოთხზე მეტი მოხსნა არ მოუგროვებიათ.

სტატისტიკით ვერც "ლეიკერსის" ლიდერი კობი ბრაიანტი გამოირჩა (10 ქულა ჩააგდო), სამაგიეროდ, ტანმაღალმა პაუ გასოლმა სამმაგი დუბლი გაიფორმა: 12 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი.

"ატლანტა ჰოქსს" 31 მოგება და 22 წაგება აქვს. იგი აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-4 ადგილზეა. მეხუთეა "მაიამი" – 28 მოგება, 24 მარცხი.

"ჰოქსი" მორიგ მატჩს საკრამენტოში ადგილობრივ "კინგსთან" დღეს გამთენიისას გამართავდა.

### საქართველო, თურქეთი, ამერიკა ...და ისევ რუსეთი

ატლანტური საზოგადოებრივი გაზეთი "გლობალის" ჟურნალისტი **დევიდ ბისლი** ზაზა ფაჩულიას ვარჯიშის შემდეგ შეხვდა და მისგან აღებული ინტერვიუ სტატიის სახით დაწერა. გთავაზობთ მისი ნაშრომის თარგმანს.

*"ისწავლეთ ინგლისური, - მოგვიწოდებს ფაჩულია, რომელიც წარმოშობით საქართველოდანაა, - ინგლისური ენის ცოდნა ყველასათვის აუცილებელია. ეს ცხოვრებას გაგიადვილებთ."*

ფაჩულიამ უცხოეთს 15 წლისამ მიაშურა. მან პროფესიონალი კალათბურთელის კარიერა თურქეთის "ულქერში" დაიწყო.

*"ახალგაზრდულ ასაკში უცხო მხარეში ცხოვრება თავიდან ძალიან გამიჭირდა. არ ვიცნობდი თურქეთს და არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. როცა ხალხთან ურთიერთობას ააწყობ და ქალაქსაც გაიცნობ, ცხოვრებაც იოლდება. ატლანტაში ჩამოსულს არაფერი გამჭირვებია, რადგან ახალ ქალაქთან შეგუების პროცესი სტამბოლში უკვე გავლილი მქონდა,"* – მოგვითხრობს ქართველი ცენტრი.

დღეს ზაზას ხილვა ატლანტას არაერთ ელიტურ ლონისძიებაზე შეიძლება. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ამერიკულ კულტურას უკვე სათანადოდ შეეწყო.

*"ატლანტაში მეოთხე წელიწადია ვთამაშობ. ეს საკმარისი დროა იმისთვის, რომ ამ ქალაქში თავი ისე ვიგრძნო, როგორც საკუთარ სახლში. ატლანტა შესანიშნავი ქალაქია,"* – ამბობს ზაზა.

სიტყვა "შესანიშნავი" რომ გამოიყენა, ფაჩულიამ, შეიძლება აქაურ გზებზე არსებული საცობები არ იგულისხმა...

*"სტამბოლის საცობებს არაფერი შეედრება. იქ შეიძლება 3-4 საათი ერთ ადგილას დგომა, მოგიწიოთ. განსაკუთრებით მაშინ, როცა სტამბოლის ევროპული ნაწილიდან აზიურში გადადიხარ, ან - პირიქით. ასე რომ, ატლანტას საცობები ნამდვილად არ მაშინებს,"* – ესეც ფაჩულიამ გვითხრა.

მას ჯორჯიის შტატში მცხოვრებ სხვა ქართველებზეც ვკითხეთ:

*"ქართველები ყოველთვის ვცდილობთ შეკრებას და დროის ერთად გატარებას, მაგრამ ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე ("ჰოქსთან" ერთად ბევრს ვმოგზაურობ) თანამემამულეებთან ხშირად შეხვედრას ვერ ვახერხებ. ამის მიუხედავად, შეკრებებს ზოგჯერ მეც ვესწრები და სხვებთან ერთად მშობლიურ ენაზე ვსაუბრობ."*

კალათბურთელს იქვე ვკითხეთ – ქართული ენა ხომ არ გავიწყდება? ზაზას გაუკვირდა:

*"ჩემს ენას რა დამავიწყებს! თუმცა, ენა ისეთი რამაა, თუ ხშირად არ ილაპარაკე, დავიწყება იცის. ოღონდ ეს მშობლიურ ენას არ ეხება."*

ფაჩულიამ გვითხრა, რომ შეკრებებისას ქართულ კერძებსა და ღვინოსაც სინჯავენ...

*"ატლანტაში ქართული რესტორანი არ არის, თუმცა ეს ნაკლებად მაღელვებს, რადგან საუკეთესო ქართული რესტორანი ჩემი სახლია. განსაკუთრებით მაშინ, როცა შინ დედაჩემია".*

ზაზა ფაჩულიას ჯერაც არ დავიწყებია საქართველოს ამბები – ზაფხულში ხომ რუსეთმა ჯარი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ჩააყენა.

*"აგვისტოში ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. დედაჩემი საქართველოში იყო, მე – ამერიკაში. სამშობლოში ჩასვლა და დახმარება არ შემეძლო. სამხედრო მოქმედებები ერთ კვირაში დასრულდა. ჩემი ახლობლებიდან არავინ დაზარალებულა. ჩემი ქვეყნის მომავალი მაღელვებს. საქართველომ დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა და მას შემდეგ იქ რთული ცხოვრებაა. ასე იყო ჩემს ბავშვობაშიც. არადა, საქართველო დიდი კულტურის ქვეყანაა და ნამდვილად იმსახურებს, რომ მის მკვიდრთ სახეზე ღიმილი ჰქონდეთ. დღეს მომღიმარ სახეებს იქ ვერ დაინახავთ. სიტუაციის გამოსწორებას დრო სჭირდება."*

ფაჩულიას მისსავე მომავალზე ვკითხეთ.

*"მომავალში შეიძლება მუდმივად საქართველოში ვერ ვიცხოვრო, მაგრამ ნამდვილად ვერ ვხედავ ჩემს ოჯახს საქართველოს გარეშე,"* – დაასრულა ზაზამ."

| ლეიკერსი–ატლანტა | 96:83 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 26 წუთი, 8 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება | |
| **I პერიოდი** | |
| 05:41 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 05:16 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 04:47 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 01:50 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 00:09 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **II პერიოდი** | |
| 09:22 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 09:10 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:09 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 09:07 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:05 | მოხსნა: შეტ-4, დაც-2 |
| 09:05 | ორქულიანი: 2 ქ (28:28) |
| 08:03 | ჩაჭრა: 1 (არიზას ჩაჭრა) |
| 07:59 | პასი: 1 (ლოუ 2 ქ, 30:28) |
| 07:44 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| 03:05 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 00:55 | ორქულიანი: 4ქ (36:42) |
| **III პერიოდი** | |
| 04:41 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 02:49 | პასი: 2 (ჯონსონი 2 ქ, 56:77) |
| 01:56 | მოხსნა: შეტ-4, დაც-3 |
| 01:38 | პასი: 3 (სმიტი 2ქ, 60:79) |
| 01:01 | ფოლი: 1 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:04 | მოხსნა: შეტ-5, დაც-3 |
| 11:02 | შეცდომა: 1 |
| 10:19 | მოხსნა: შეტ-5, დაც-4 |
| 10:02 | მოხსნა: შეტ-6, დაც-4 |
| 09:41 | დაფარება: 1 (ვუიაჩიჩს დაუფარა) |
| 09:35 | ორქულიანი: 6ქ (64:87) |
| 09:18 | ფოლი: 2 |
| 08:18 | ორქულიანი: 8ქ (66:89) |
| 08:37 | მოხსნა: შეტ-6, დაც-5 |
| 06:21 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 05:27 | მოხსნა: შეტ-6, დაც-6 |
| 04:41 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 03:00 | ზაზა მორისმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

ესტონეთის ჩემპიონატი

# სანიკიძე 16 ქულით დაბრუნდა

ესტონეთის ჩემპიონატში დაუმარცხებლად ასპარეზობს მოქმედი ჩემპიონი "ტარტუ როკი". **გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** თანაგუნდელებმა მორიგი გასვლითი შეხვედრა მოიგეს და "ველგს" 50 ქულამდე ასვლის უფლება არ მისცეს - 71:48.

სხვა მატჩების მსგავსად ტარტუელებმა განსაკუთრებით მონდომებით ჩაატარეს პირველი პერიოდი – 16:7.

ერთმატჩიანი შესვენების შემდეგ "როკს" დაუბრუნდა სასტარტო ხუთეულის ფორვარდი ვიქტორ სანიკიძე. იგი შეტევაში თითქმის უშეცდომო იყო: 24 წუთში 8-დან 6 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 16 ქულა მოაგროვა. გარდა ამისა, სანიკიძის ანგარიშზე 7 მოხსნა და თითო პასი-დაფარება იყო.

მეორე ქართველმა, გიორგი ცინცაძემ "ველგი" შეიცოდა და თავი ჩვეულად არ გამოუდია: 28 წუთში მხოლოდ 3 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა.

მატჩის სნაიპერი "როკერი" ფორვარდი ასკო პაადე გახდა. მან 27 ქულა გაიფორმა.

13 ტურის შემდეგ "ტარტუს" 13 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად უდგას სათავეში.

როკერები მორიგ მატჩს 21 თებერვალს გამართავენ – ტტუ-ს უმასპინძლებენ, 28 თებერვალს კი ბალტიის თასზე ლიტვის "ჟალგირისს" ეთამაშებიან.

ვაჟა სიმონიშვილი



ცურვა

# ტონუსი ჯანსაღი ცხოვრებისთვის

თბილისის მერიამ შარშან ბალანჩივაძის ქუჩაზე კაპიტალურად გაარემონტა უწინდელი საცურაო აუზი და ზაფხულიდან მწყობრში ჩადგა წყალთა სახეობების სპორტული ცენტრი „ტონუსი" (დირექტორი **საბა ყიფშიძე**) 25-მეტრიანი საცურაო აუზით, ფიტნეს ცენტრით, სამასაჟო კაბინეტით, სოლარიუმითა და აკვააერობიკით. აქ მოსახლეობას ორი მიმართულებით ემსახურებიან: მსურველებს შეუძლიათ ჯანმრთელობა გაიკაჟონ, ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდიონ; მოზარდებმა კი ცურვა და წყალბურთი ისწავლონ. რა მდგომარეობაა ამჟამად „ტონუსში", ამის შესახებ გვესაუბრება სპორტის განხრით ცენტრის დირექტორის მოადგილე **გივი ცქიტიშვილი:**

— „ტონუსის" გახსნის საზეიმო ცერემონიალზე თბილისის მერმა ბატონმა გიგი უგულავამ განაცხადა, რომ ცენტრმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში ცურვისა და წყალბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციას. ამიტომაც ამ მიმართულებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ამჟამად ჩვენთან 6 წლიდან დაწყებული ეროვნული ნაკრების წევრების ჩათვლით 250-მდე გოგონა და ვაჟი ვარჯიშობს. ახალგაზრდებს ცოდნა-გამოცდილებას უზიარებენ მწვრთნელები — ცურვაში საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრები: გიორგი აბზიანიძე (იგი ახლახან ცურვაში ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა), გია მთვრალაშვილი, ზაურ სოფრომაძე, ლუდმილა კუხიანიძე და ირინა მინჟულინა. ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ჩერტკოევი, რომელიც წყალბურთელ ქალთა შორის საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონის — თბილისის „ივერიის" ერთ-ერთი დამრიგებელი გახლდათ. მან 9-12 წლის ბიჭებსა და 12-14 წლის გოგონებს ჯერ ცურვა ასწავლა, ორ თვეზე მეტია, უკვე წყალბურთში ავარჯიშებს.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ აქ საქართველოს ნაკრების წევრებიც ვარჯიშობენ...**

— დიახ, აქ იმაღლებენ ოსტატობას ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები, პეკინის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ირაკლი რევიშვილი და გიორგი მთვრალაშვილი. ალბათ, იცით, რომ წლეულს ტამპერე (ფინეთი) ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან 1993-1994 წლებში დაბადებული სპორტსმენები — დავით სიხარულიძე, ირაკლი შენგელია და ირაკლი ბოლქვაძე. ჩვენს მართლაც შესანიშნავ აუზში სხვებსაც უნდათ ვარჯიში, მაგრამ სულ ხუთი ბილიკი გვაქვს და ყველა მსურველს ვერ დავიტევთ.

**— შემოსვლა თავისუფალია?**

— (ეცინება). იმდენად ძვირი ჯდება აუზისა და სხვა დარბაზ-კაბინეტების შენახვა, რომ უფასო მომსახურება ნამდვილად წარმოუდგენელია. ისე, შარშან გვქონდა დევნილებისთვის ცურვის შემსწავლელთა უფასო ჯგუფები, მაგრამ საფასურს მერია იხდიდა. უნდა გითხრათ, რომ ჩვენთან ტარიფები არც ისე მაღალია. 15 წლამდე მოზარდებისთვის აბონემენტი 105-დან 155 ლარი ღირს, ხოლო უფროსებისთვის — 155-დან 185 ლარამდეა მეცადინეობის ხანგრძლივობის გათვალისწინებით. ისიც მინდა დავძინო, რომ საქართველოს ნაკრების 16 წევრს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აფინანსებს.

**— მოზარდებისთვის შეჯიბრებებს თუ მართავთ?**

— აუზი შარშან ივნისში გაიხსნა. 25-26 დეკემბერს კი პირველი ასპარეზობა მოვაწყვეთ — წინასაახალწლო და წინასაშობაო მხიარული სტარტები. ერთი კვირის წინათ „კროლის" (თავისუფალი ყაიდით ცურვა) დღე გვქონდა, რომელშიც 7-დან 13 წლამდე ასაკის 48 გოგო-ბიჭი მონაწილეობდა. 25-მეტრიან დისტანციაზე პირველები იყვნენ გიორგი ლომთაძე (7 წლის), ანა ანდღულაძე, გიორგი ჩიქობავა (8 — 8 წლის), ლუკა ხიდაშელი (9 წლის) და სოსო რთველიაშვილი (10 წლის), ხოლო 50-მეტრიან დისტანციაზე 11 წლის ნინო ჩიკაძემ და ვასილ ხიზანიშვილმა იმარჯვეს. მარტში გულაღმა ცურვის დღეს გავმართავთ, 12-14 მარტს კი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ვუმასპინძლებთ.

ვაჟა დანელია

კრივი

ინტერვიუ გიორგი კანდელაკთან

# ვის უნდა მიბაძოს ქართველმა ახალგაზრდამ

## როგორ გააბრაზეს ლენოქს ლუისი ვარიანელებმა



ამას წინათ ტიტულოვანმა ქართველმა მოკრივემ გიორგი კანდელაკმა გორში სპორტკაფე გახსნა, რომელსაც, მისი ჩანაფიქრით, კაფეზე ბევრად მეტი დანიშნულება უნდა ჰქონდეს და გარკვეულწილად ადგილობრივთათვის სპორტის პროპაგანდის ფუნქციასაც შეითავსებს. ამის თაობაზე „ლელო" წერდა კიდეც. სწორედ მაშინ, აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ გიორგისთან მისულებს, სხვა არაერთ საკრივო თემაზე მოგვინია სჯა-ბაასმა. ვფიქრობთ, ვარიანელი მსოფლიოს ჩემპიონი მეტად საინტერესო საკითხებზე მსჯელობს.

**— გიორგი, დავიწყოთ ვარიანის კლუბ „ჩემპიონით". აგვისტოში საომარ მოქმედებებსა და შემდეგ რუსული ჯარების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიათა შორის თქვენი სოფელიც მოჰყვა. თუ დაზარალდა კრივის დარბაზი, და მიმდინარეობს თუ არა ამჟამად იქ სასწავლო პროცესი?**

— გვარიანად დაზარალდა დარბაზიც და სასტუმროც. საომარი მოქმედებებისას სასტუმროს კასეტური ნაღმი მოხვდა, ოკუპანტების ვარიანიდან გასვლის შემდეგ კი სულ დაცხრილული დაგვხვდა კედლები, წაღებული იყო ინვენტარი. ერთი კარიც არ დაუტოვებიათ ჩაულეწავი. ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულში რამდენიმედღიანი საომარი მოქმედებებისას ჩვენი დარბაზის სასტუმრო შინაგან ჯარს დავუთმეთ, ეზოში ტექნიკა განვათავსებინეთ... ეს ახსოვდა მტერს და, ცხადია, ვარიანის სპორტკლუბი, სხვა მიზეზებთან ერთად, ამიტომაც არ დაზოგა. სასტუმროს აღდგენა დღეისათვის უკვე დასრულდა. შესაკეთებელია დარბაზი, რაც სოლიდურ თანხებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ რალაც მაინც უნდა მოვუხერხოთ.

**— როგორც ვიცით, იქაურობას მხოლოდ მოკრივეები როდი იყენებდნენ. ბოლო წლებში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც ხშირად მართავდა ვარიანში შეკრებას.**

— ვიცი, რომ კმაყოფილები იყვნენ, ვინაიდან იქაურობა რიგიანად იყო მოწყობილი. სხვათა შორის, პრობლემათა მიუხედავად, მუშაობას დღესაც არ ვწყვეტთ. კრივის შესწავლის მსურველთა რაოდენობა იზრდება – მოშორებული სოფლებიდან და დევნილთა დასახლებებიდანაც კი მოდიან ახალგაზრდები.

**— ნიჭიერი თაობა მოდის?**

— თაობა კარგია, მაგრამ დამეთანხმებით, სათანადო პრაქტიკა სჭირდებათ ბავშვებს. აუცილებელია მეტი ტურნირები და შეჯიბრებები გამოცდილების მიღებისათვის. სხვაგვარად საქმე წინ ვერ წავა. ახლახან აზებაიჯანში ახალგაზრდულ ტურნირზე იყო ჩვენი ქვეყნის ნაკრები და 17 სპორტსმენიდან ვერც ერთმა მოიგო ორთაბრძოლა. ამას რა ჰქვია? ასეთი შედეგი არ მგონია ქართული კრივის ისტორიას ახსოვდეს.

**— შიდა ქართლელთაგან, საქართველოს პირველი ნაკრების კანდიდატებში ვარიანელი უფრო მეტია, ვიდრე გორელი. გორულმა კრივმა დაიხია უკან, თუ თქვენ წახვედით წინ?**

— მე უფრო ასე ვიტყოდი. ორივე სკოლა კარგად მუშაობს, თუმცა ამჟამად გორის სკოლაში თაობათა ცვლაა, ვასილ ყაზიშვილი ამერიკაში აგრძელებს კარიერას, ბექა ლობჟანიძე სამოყვარულო კრივს შეეშვა. მსგავს ვითარებაში გამორიცხული არ არის, როდისმე ვარიანის კლუბიც აღმოჩნდეს. ისე კი, დღესდღეობით, მართალია, საქართველოს ნაკრებში ქარელიშვილი და გოგიაშვილი გვყავს, მაგრამ რამდენიმე ისეთმა მოკრივემ აირჩია პროფესიულ რინგზე კარიერის გაგრძელება, რომ მოყვარულებში მათი დარჩენის შემთხვევაში ნაკრებში გამოკვეთილი ლიდერი გვეყოლებოდა. ავიღოთ მაგალითად ძმები ჯომარდაშვილები.

**— როგორ ფიქრობთ, თავად სრულად გამოავლინეთ შესაძლებლობები პროფესიონალურ რინგზე?**

— არა. დარწმუნებული ვარ, რომ რინგზე ჩემი შესაძლებლობები სრულად არ გადამიტანია. პირველ ყოვლისა, ტრავმამ შემიშალა ხელი. ხშირად რინგზე დაბრუნების სურვილი ისევ გამიძლიერდება ხოლმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმა აღარ მაძლევს ამის საშუალებას.

**— გიორგი, როგორც საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, თქვენი სკოლის აღზრდილებს თავად ხომ არ ურჩევთ ხოლმე კარიერის პროფესიულ რინგზე გაგრძელებას?**

— ყველას თავისი არჩევანი აქვს და, ბუნებრივია, ჩემი მხრიდანაც არავინაა შეზღუდული. ოღონდ, ვფიქრობ, პროფესიულ რინგზე გარჯა ბევრად ჯობია სამოყვარულოს. დარწმუნებული ვარ, რომ სამოყვარულო კრივში თავადაც ბევრი დავკარგე. პირველად, იაპონიაში, 18 წლისას შემომთავაზეს გავმხდარიყავი პროფესიონალი და სჯობდა მაშინვე დადებითი პასუხი მიმეცა. ეს გზა მოგვიანებით, 23 წლისამ ავირჩიე, როცა მოყვარულებში ასპარეზობით უკვე „გამოწურული" ვიყავი. საერთოდ, ჩემი აზრით, ქართველებისთვის პროფესიული კრივი უმჯობესია. ჩვენ გამძლეობა გვახასიათებს და მრავალრაუნდიანი ბრძოლა უკეთ გვეხერხება.

**— მიუხედავად ამისა, თქვენ ქართული სამოყვარული კრივის ისტორიაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეთ...**

— გეფიცებით, ახლა რომ 17 წლის ვიყო, უდავოდ პროფესიონალი მოკრივის კარიერას ავირჩევდი, რა თქმა უნდა, თუ სერიოზული შემოთავაზება მექნებოდა. სპორტსმენმა უნდა დაინახოს, რომ მის მიმართ ინტერესი, მართლაც სერიოზულია. ეს აუცილებელია წარმატებული კარიერისთვის. დღეს საქართველოში მრავლად ვხედავ კარგ მოკრივეს, რომელთაც სურვილი აქვთ პროფესიონალებში დიდ წარმატებებს მიაღწიონ. ჩვენ ყოველმხრივ ხელს ვუწყობთ მათ, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. საჭიროა, რაც შეიძლება ბევრი ორთაბრძოლა უცხოელებთან, თითქმის ყოველთვიურად, რაც აამაღლებს მათ რეიტინგს. ამისათვის კი სოლიდური ფინანსებია საჭირო და მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ გავწვდებით. საზღვარგარეთ ეს აწყობილი სტრუქტურაა. აქ რომ ასე იყოს, ძალიან დიდი შრომა უნდა გავწიოთ. სპონსორთა მხრიდან არ არის დაინტერესება, ამას ერთვის მაყურებლის სიმცირეც. აღარაფერს ვამბობ ტელევიზიებზე, რომლებიც სხვაგან დიდ ფულს იხდიან ასეთი ბრძოლების ტრანსლაციაში, ჩვენთან კი აქეთ უნდა გადაუხადო მათ ფული. მოკლედ, ამ საქმეს მეცენატის მხარდაჭერა უნდა. შესაბამისი დაფინანსებით პროფესიული კრივი ჩვენთან ორ წელიწადში ისე ამოიწევს, რომ დოტაციაც არ გახდება საჭირო.

**— იქნებ ქართულ სამოყვარულო კრივში არსებული დღევანდელი ვითარება შეადაროთ მაშინდელს, როდესაც თავად აქტიური სპორტსმენი იყავით და რამდენჯერმე თავის დანებებამაც მოგიწიათ კრივისთვის?**

— მაშინდელი ვითარება ახლანდელთან შედარებით ათასჯერ განსხვავდება. ბევრს არ გავაგრძელებ, უბრალოდ, ერთს გავიხსენებ: 1993 წელს ბორჯომში ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპის გასავლელად ჯერ ძლივს ჩაგვიყვანეს. ყოველი ვარჯიში შემდეგ შხაპს სტადიონზე სარწყავი რეზინის მილის საშუალებით ვაღებინებდით ერთმანეთს. სახარბიელო პირობები, რა გასაკვირია, არც სხვა მხრივ ყოფილა. შეჯიბრებაზე წასულებმა ბრწყინვალე შედეგებს მივაღწიეთ. მე ჩემპიონი გავხდი, ზურაბ სარსანია და რამაზ ფალიანი ვერცხლის მედლებს, კაზანჯიანი კი ბრინჯაოს დაეუფლნენ. სულ ახალი წასული იყო მაშინ საქართველოდან თურქეთში აკაკი კაკაურიძე, რომელმაც აგრეთვე მედალი მოიპოვა (ცხადია, უკვე თურქეთის სახელით). ისიც, რომ ჩვენს გუნდში ყოფილიყო, გუნდური პირველობა ჩვენი იქნებოდა. ამ წარმატებისათვის მაშინ 5 მილიონი კუპონი მოგვცეს, რითაც ოჯახის რჩენა კი არა... ოთხი მოკრივე ერთ ჩვეულებრივ სასადილოში რომ შევედით, საჭმელად არ გვეყო და 2 მილიონის დამატებამ მოგვიწია. ძალიან ცუდი ვითარება იყო მაშინ ქართულ სპორტში. აშკარაა, ამ მხრივ ამჟამად უკეთესი სიტუაციაა, მაგრამ ზემოთაც აღვნიშნე, რომ შეჯიბრებების რაოდენობათა გაზრდაა აუცილებელი. სპორტისადმი სახელმწიფო მიდგომა კიდევ უფრო უნდა გამოიკვეთოს. ნარკოტიკების ტელეკამერების თვალწინ დაწვა და სიგარეტის კოლოფების ფეხით გასრესვა კი არ შველის საქმეს, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა უნდა მიდიოდეს აქტიურად.

კარგად გამიგეთ, ყველას თავისი არჩევანი აქვს, არავის ორიენტაციას არც ვგმობ და არც ვიწონებ, უბრალოდ მჯერა, რომ მომავალ თაობას მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებებით საეჭვო ორიენტაციის ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმის და მათი იდეების პროპაგანდით კი არ უნდა ვასაზრდოებდეთ, არამედ დიდი სპორტსმენების შესახებ სიუჟეტები, წერილები უნდა შევთავაზოთ. სახელმწიფომ უნდა გააკეთოს არჩევანი, თუ როგორი მომავალი თაობა სურს და ვის უნდა მიბაძოს ჩვენმა ახალგაზრდობამ.

**ყველას თავისი არჩევანი აქვს... ოღონდ, ვფიქრობ, პროფესიულ რინგზე გარჯა ბევრად ჯობია სამოყვარულოს. დარწმუნებული ვარ, რომ სამოყვარულო კრივში თავადაც ბევრი დავკარგე**

მერწმუნეთ, მე ძალიან შემტკივა გული და ჩემი მხრივ რაც შემიძლია, ვაკეთებ. გარდა ვარიანის კრივის კლუბისა, მჯერა, რომ ამ თვალსაზრისით პატარა საქმეს ცოტა ხნის წინათ ჩემ მიერ გორში გახსნილი სპორტკაფეც გააკეთებს, სადაც შემოსულ ახალგაზრდებს გადამთიელი ვარსკვლავებისადმი კი არა, ჩვენი სამშობლოს წიაღიდან წარმოშობილი დიდი ადამიანებისადმი მიძღვნილი კუთხეები, პლაკატები და ინფორმაცია დახვდებათ. ნებისმიერი ადამიანი მიხვდება, რომ ამ სპორტკაფეს ჩემთვის ბიზნესზე ბევრად მეტად სხვა დატვირთვა აქვს. იაპონიაში, მაგალითად, სატელევიზიო არხები სუმოსა და ძიუდოთია გაჯერებული. ეს სახეობები მათი სიამაყეა, რადგან მასში ისინი საუკეთესოები არიან და პროპაგანდასაც მას უწევენ. ვფიქრობ, ეს სწორი იდეოლოგიაა.

**— შვილის მოკრივედ გაზრდაც, ბუნებრივია, თქვენი ინიციატივა იქნებოდა...**

— ბავშვი არჩევანის წინაშეა, მამის რჩევა აუცილებლად მიმაჩნია. რასაკვირველია, არიან ისეთი ბავშვები, რომლებიც ასეთ დროს მშობლების აზრს არ ითვალისწინებენ და დრო აჩვენებს, რომ არც შემცდარან, მაგრამ ასეთი შემთხვევა ბევრი არ არის. მე გადავწყვიტე ჩემი შვილისთვის კრივი შემეყვარებინა, რადგან მგონია, რომ მისთვის ეს უკეთესი იქნება. თავის დროზე მამაჩემს რომ არ მოეხდინა ზეგავლენა, მოკრივე არ გამოვიდოდი. მაშინ ჩემთვის თევზაობისა და ნადირობის იქით არაფერი არსებობდა, აღმოჩნდა, რომ მამაჩემი მართალი ყოფილა. მას იმედი ჰქონდა, რომ დიდი მოკრივე გამოვიდოდი. მიმიყვანა გორის სპეციალიზებულ სკოლაში და მწვრთნელებს, ავთანდილ შოშიაშვილს და ცხონებულ გიორგი კარელიძეს უთხრა: ეს ბავშვი მინდა ევროპის ჩემპიონი გახდესო. ჩემი თარაშიც შესაძლოა თავდაპირველად არ აღფრთოვანებულა მამის იდეით, მაგრამ ახლა საკამოდ შეუყვარდა კრივი. შეიძლება რინგზე მას ცხვირი გაუტყდეს, ძლიერი მუშტი მოხვდეს, მაგრამ რას ვიზამთ, ამასაც უნდა შეეჩვიოს. პატარაა და დამოუკიდებლად იმ გზას ვერ აირჩევს, რომელიც უმჯობესია. ასეთ დროს მშობლისგან მიმართულების მიცემაა საჭირო.

**— მამათქვენის სურვილის გადაჭარბებით შემსრულებელ მწვრთნელებზე რას გვეტყოდით?**

— კი, ასეა, არათუ ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონიც გავხდი და მაშასადამე, მამის სურვილზე მეტიც მოვახერხე. ჩემს წარმატებებში, ბუნებრივია, უდიდესი წვლილი შეიტანეს მწვრთნელებმა. საერთოდ, ნებისმიერი სპორტსმენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი სპეციალისტი მუშაობს მასთან. მწვრთნელი სპორტს გაყვარებს, ათეული წლების განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძვის შენი წარმატებისათვის და, შეიძლება ითქვას, ყველაფერს გაიღებს შეგირდისთვის. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მწვრთნელებში გამიმართლა.

მე მათი დიდი მადლიერი ვარ. ავთანდილ შოშიაშვილს რომ ვუყურებ, ასე მგონია, ჩემი დაბერებულია ეს კაცი. რაც მას ჩემთვის უშრომია, ძნელია გადმოსცე!

**— ერთხანს თავადაც სცადეთ მწვრთნელობა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ედექით სათავეში. ამჟამად საერთოდ მიატოვეთ ეს მწვრთნელობა?**

— ჩემს კლუბში შეძლებისდაგვარად მაინც ვიცლი საამისოდ, რადგან მინდა მოკრივეთა აღზრდაში მეც ვმონაწილეობდე. მოსწავლეებს ყოველდღე თუ არა, კვირაში რამდენიჯერმე მაინც ვავარჯიშებ. სამწუხაროდ, ძნელია მხოლოდ ამ საქმით დავკავდე. პროფესიული კრივის ფედერაციაში უამრავი საქმეა და თვითონ ვარიანის კრივის კლუბსაც ხომ ესაჭიროება ნორმალური ფუნქციონირებისათვის ფინანსური მხარდაჭერა? ამისათვის გარკვეული საქმიანობაა აუცილებელი. ჩვენ ხომ სახელმწიფოსგან არ ვფინანსდებით.

**— მსოფლიო თანამედროვე პროფესიულ კრივზეც საინტერსოა თქვენი აზრი. ბოლო ხანს გამორჩეულთა შორის უკრაინა და რუსეთიც დადგნენ...**

— ჩემი კარიერის განმავლობაში არაერთ ცნობილ მოკრივესთან ვმეგობრობდი. მათთან ახლო ურთიერთობას დღესაც ვაგრძელებ, მათ შორის თქვენ მიერ ნახსენები ქვეყნების მოკრივეებთანაც. მათი წინსვლა მართლაც აშკარაა. იქაც, როგორც ევროპასა და ამერიკაში კლუბური სისტემა ჩამოყალიბდა, რაც საერთოდ ყველაზე დიდი წარმატების მომტანი სტრუქტურაა კრივში. ამიტომაა, რომ კრივი სულ უფრო პოპულარული ხდება ამ ქვეყნებში. უკრაინაში, მაგალითად, უკვე დაახლოებით 15 კლუბი არსებობს, რუსეთში კიდევ მეტი. მხოლოდ დონეცკის კლუბში სამი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავთ, სხვადასხვა ვერსიებსა და წონით კატეგორიებში, რასაკვირველია. იქაური ბიზნესი ფულის ჩადებას ამ სახეობაში თავად ინდომებს. ტელევიზიებიც თავად ითხოვენ ტრანსლაციების ყიდვას. ზემოთაც ვთქვი და გავიმეორებ, რომ გარკვეული კაპიტალის ჩვენი ქვეყნის პროფესიულ კრივში ჩადება 4-5 წელიწადში უკრაინაზე არანაკლებ შედეგს მოიტანს.

**— პროფესიულ კრივში ასპარეზობისას ლენოქს ლუისთან ერთად გიწევდაც ვარჯიში...**

— ჩვენ კარგი მეგობრები და შემიძლია გითხარით, რომ ძმაკაცებიც ვართ. სხვათა შორის, ძალიან კარგი პიროვნებაა. ორთაბრძოლებზე უცხოეთში გამგზავრებისას ხშირად წამიყვანია თან ჩემი ვარიანელი ახლობლები. ლენოქსიც, ჩემიდან გამომდინარე, ამ ბიჭებთან ძალიან უშუალო იყო. მახსენდება ერთი ისტორია ამასთან დაკავშირებით: ერთხელ, ოსკარ დე ლა ჰოიასთან ვიყავით სტუმრად მე, ლენოქსი და ჩვენი მეგობრები. მე და მას ცოტა ხანში ორთაბრძოლები გვიწევდა, ამიტომ დე ლა ჰოიამ ლუდის დალევა ჩვენს მეგობრებთან ერთად გადაწყვიტა (მას უახლოეს ხანში არ უწევდა რინგზე გასვლა). მისი სახლი ქალაქ ნიუ ლონდონის გარეუბანში იყო. ლუდის და საკვების მოსატანად ლენოქსის მეგობარი გაემგზავრა ქალაქში. ეს ბიჭი კარგად თამაშობდა ჭადრაკს ლუისი კი ჭადრაკის მოყვარული გახლდათ და მასთან, როგორც კარგ მოჭადრაკესთან, თავისუფალ დროს ხშირად ჯდებოდა სათამაშოდ. იქ კი მის არყოფნაში ლენოქსმა ჩვენ შემოგვთავაზა თამაში. მე ერთი ვარიანელი გელა მეგრელიშვილი მახლდა, რომელიც, ასევე, ჭადრაკის ტრფიალია. დასხდნენ სათამაშოდ. ვიდრე ჩვენი მწვრთნელი არ მოვიდა, ლენოქსი ჭადრაკის დაფას ველარ მოვაცილეთ. საჭმელიც აღარ უჭამია, გადაირია კაცი, 10-ზე მეტი პარტია ითამაშეს და ყველა გელას გამარჯვებით დასრულდა. მას მერე, როცა კი ერთად გვიწევდა მოსამზადებლად ყოფნა, ლენოქსი მუდამ იმას მთხოვდა, გელა წამოიყვანე — უნდა მოვუგოო. სხვათა შორის, საკმაოდ საინტერესო პაექრობები გამოსდიოდათ. მართალია, მერე ლუისმა რამდენჯერმე გელას მოუგო კიდეც, მაგრამ საერთო ჯამში მაინც ვარიანელი უფრო ძლიერი გამოდგა.

**— დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, დღესდღეობით ქართული კრივი სრულად იყენებს გიორგი კანდელაკის შესაძლებლობებს?**

— ყოველ შემთხვევაში, მე თავს არ ვზოგავ ჩემს ქვეყანას და საყვარელი სპორტის სახეობას საკუთარი ძალები მოვახმარო. ვნახოთ, მომავალში რა იქნება...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი. პრეტენდენტთა მატჩი




# ტოპალოვი და კამსკი მსოფლიოსთვის იბრძვიან

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ორი დღეა სტარტი აილო პრედენდენტთა მატჩტურნირმა ბულგარელ **ვესელინ ტოპალოვსა** და ამერიკელ **გატა კამსკის** შორის. მატჩში გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის შეებრძოლება მსოფლიოს ჩემპიონს, ინდოელ **ვიშვანათან ანანდს**. ტოპალოვ - კამსკის მატჩამდე დიდი პერიპეტიების გადახდა გახდა საჭირო, რათა საჭადრაკო სამყარო ამ მატჩის აუცილებლობასა და მართებულობაზე შეთანხმებულიყო. ბევრი დავიდარაბისა და კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ სოფიას ემასპინძლა მნიშვნელოვანი ბრძოლისთვის. ტურნირის მასპინძელს ერთი მთავარი პირობა უნდა დაეკმაყოფილებინა - 2 მილიონი ევრო უნდა მოეძია საპრიზო ფონდისათვის. ვინაიდან ტოპალოვი ბულგარელია და მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეობაზე მართებულ პრეტენზიასაც აცხადებს, მისი სამშობლოს მესვეურებმა, თვით ქვეყნის პრეზიდენტის **გიორგი პირვანოვის** ჩათვლით, ყველაფერი ილონეს, რათა ვესელინს კვლავაც მისცემოდა ჩემპიონობის მოპოვების შანსი. პირვანოვმა ტურნირი დააფასა, დარბაზში მიბრძანდა და პირველ პარტიას ადევნა თვალი; ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა **სერგეი სტანიშევმა** კი სიმბოლური პირველი სვლა გააკეთა. გეორგ პირვანოვს ვესელინმა პირველ ტურში ვერ გაუმართლა, თეთრებით ვერ მოიგო, თუმც არ დამარცხებულა - ყაიმი დაფიქსირდა. ვესელინი პრეზიდენტთან რამდენიმე წუთი საუბრობდა ამ პარტიაზე და თუკი სურათიდან ვიმსჯელებთ, დიდად არ განიცდიდა, მაგრამ პრესკონფერენციაზე გამოუყენებელ შანსებზე კი დაიჩივლა...

მატჩტურნირი შედარებით მოკლეა - რვა ტურად ჩატარდება. გამარჯვებული უბრალო უპირატესობით გამოვლინდება. თუ ვერც ერთმა მხარემ მოახერხა უპირატესობის მოპოვება, დაინიშნება ოთხი პარტიისაგან შემდგარი ტაი-ბრეიკი. თითო პარტიის ხანგრძლივობა 25 წუთი იქნება, ყველ სვლაზე 10 წამის დამატებით. თუ ესეც არ გახდა საკმარისი, მაშინ ორ ხუთწუთიან პარტიაში, ყოველა სვლაზე 10 წამის დამატებით, გაარკვევენ უძლიერესს. თუკი აქაც ვერ მივილეთ გამარჯვებული, მაშინ უძლიერესს „არმაგედონი" გამოარჩევს, სადაც თეთრებს 6 წუთი მიეცემა, შავებს კი - ხუთი; ყაიმის შემთხვევაში მოგებულად შავებით მოთამაშე ჩაითვლება.

კლასიკური პარტიის დროის კონტროლი კი შემდეგნაირია: პირველ ორმოც სვლაზე 2 საათი ეძლევა თითოეულს; შემდეგ - პლუს ერთი საათი. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კი თხუთმეტი წუთი დაემატებათ პარტიის ბოლომდე. ალსანიშნავია, რომ მესამოცე სვლის ჩათვლით მოჭადრაკეები „სუფთა" დროით ითამაშებენ, - 30 წამი თითოეულ სვლაზე 61- ე სვლიდან დაემატებათ, თუკი, რა თქმა უნდა, აქამდე გაგრძელდება პარტია.

მატჩის სასტარტო შეხვედრამ ამის საჭიროება არ მოიტანა. როგორც უკვე გითხარით, ვესელინ ტოპალოვმა თეთრებით გამარჯვება ვერ შეძლო - ყაიმი 36-ე სვლაზე დაფიქსირდა. არადა, ბულგარელმა აქტიურად ითამაშა და პაიკის შეწირვის ხარჯზე შეტევა განახორციელა შავების მეფეზე. ამგვარ მატჩებში დიდი მნიშვნელობა აქვს სადებიუტო მომზადებას, ანუ სიახლეების მოძიებას ამა თუ იმ სადებიუტო სქემაში. ვესელინის ჯგუფმა თითქოს იპოვა ახალი „ხვრელი" „ნაიდორფის" სისტემაში, მაგრამ გამოჩნდა, რომ მოსაგებად საკმარისი არ ყოფილა, - გატა კამსკიმ შესანიშნავად გაართვა თავი სირთულეებს და პარტიის მსვლელობის დროს, უშუალოდ დაფაზე იპოვა თავდაცვისათვის ზუსტი გზები. ექსპერტთა შეფასებით ყაიმი კი არა და, ამერიკელს მოგებაზე თამაშიც კი შეეძლო, თუმცა ამისათვის ერთ მომენტში მეფით სხვა სვლა უნდა გაეკეთებინა... ცხადია, ამერიკელი ყაიმითაც კმაყოფილი დარჩებოდა და მეორე პარტიას უკეთესი განწყობით შეხვდებოდა. საინტერესო იყო, თავად რა ტაქტიკას აირჩევდა - ჯიქურ შეუტევდა და სიახლეებს გამოიყენებდა თუ ფრთხილი და თანმიმდევრული სვლებით შეეცდებოდა მცირე სასტარტო უპირატესობის განვითარებას. კამსკიმ პირველი სვლა e4 უჯრაზე გადააადგილა პაიკი, ვესელინმა e5-ით უპასუხა, რამაც ესპანური პარტიის გათამაშება მოიტანა. ალმოჩნდა, რომ გატა არანაირ სიფრთხილეს არ იჩენდა და თამამად გაიწია მოსაგებად. შეიქმნა კიდეც საჭირო ფორპოსტი და რამდენიმე ორიგინალური გადაწყვეტაც ვიხილეთ, მაგრამ ამერიკელი ბევრს ფიქრობდა და მკაცრ ცაიტნოტში მოხვდა, რითაც საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუწერა. საქმე ის არის, რომ შუა თამაშში კამსკის შეეძლო უფრო აქტიური სვლა გაეკეთებინა, მგარამ სათანადოდ ვერ გაერკვა პოზიციაში და ტოპალოვს შესანიშნავი შანსი მიეცა არცთუ რთული ტაქტიკური დარტყმით ინიციატივა ეგდო ხელთ. კამსკის აქ კი გაუმართლა - ტოპალოვმა ვერ შენიშნა არსებული რესურსი, მაგრამ სიჩქარის გამო შემდეგი სვლების კორექტულობა საეჭვო გახდა და ბოლოს გადამწყვეტი შეცდომაც დაუშვა... 21-ე სვლაზე ბულგარელმა უარესი პოზიციიდან ერთადერთი სწორი გამოსავალი იპოვა, ისეთი გეგმა აირჩია, რომელიც ადამიანისათვის რთულად საპოვნელი იყო. არადა, კომპიუტერული პროგრამა ზუსტად ამ სვლას ირჩევდა: შავები ფიგურას სწირავდნენ და ორიოდ პაიკის დაუფლების შემდეგ პოზიციურ დივიდენდებზე მიანიშნებდა. აფერუმ ვესელინს - „კომპიუტერული" სვლა რომ გააკეთა, მაგრამ საქმე ის არის, რომ გატამაც დაინახა საშიშროება და არ მიიღო შეწირვა. როგორც ალმოჩნდა, ამგვარი გადაწყვეტილება არასწორი იყო და ათიოდ სვლაში კამსკის დანებებამ მოუწია.

ფავორიტის დაწინაურება მოულოდნელი არ არის, მაგრამ პირველი პარტიით და მეორეში განვითარებული სცენარით თუ ვიმსჯელებთ, ამგვარი აზრი შეიძლება გაუჩნდეს მრავალს. ასეა თუ ისე, ტოპალოვი 1,5: 0,5 დაწინაურდა. მომდევნო, მესამე პარტია ხვალ, 20 თებერვალს გაიმართება. თეთრებით ტოპალოვი ითამაშებს.

**ზვიად შათირიშვილი**



კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-მინესოტა 111:103**

27:16, 24:26, 25:34, 35:27

ვ: ჯეიმისონი (29+11 მოხსნა), კ. ბატლერი (17+6 პასი+3 ჩაჭრა), მ. ჯეიმსი (15), ბლეტჩი (14+7 მოხსნა), სონგაილა (12), კრიტერტონი (11), მაკგუაიერი (8+10 მოხსნა).

მ: ფოიე (23), მ. მილერი (18+8 მოხსნა+6 პასი), ლავი (17+11 მოხსნა), გომესი (15), ტელფეირი (11).

**ნ. იორკი-ს. ანტონიო 112:107 (ო)**

27:27, 30:29, 20:21, 25:25, 10:5

ნ-ი: რობინსონი (32+10 მოხსნა), დუპონი (17+8 პასი), ჩენდლერი(17), დ. ლი (13+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ელ ჰარინგტონი (11+10 მოხსნა).

ს-ა: დანკანი (26+15 მოხსნა), რ. მეისონი (20), ტ. პარკერი (14+7 პასი), კ. ტომასი (12), ბონერი (10+8 მოხსნა).

**ინდიანა-ფილადელფია 100:89**

28:18, 27:26, 25:19, 20:26

ი: გრეინჯერი (20+10 მოხსნა+4 დაფარება), მერფი (17+7 მოხსნა), ფორდი (14+7 პასი), ჰიბერტი (14), ჯეკი (12), მ. დენიელსი (11).

ფ: იგუოდალა (20+9 პასი), ლ. უილიამსი (17), ტ. იანგი (16+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), უ. გრინი (15), რ. ევანსი (8+11 მოხსნა).

**ლეიკერსი-ატლანტა 96:83**

23:24, 22:12, 41:24, 10:23

ლ: ოდომი (15+20 მოხსნა), ფიშერი (14), პ. გასოლი (12+13 მოხსნა+10 პასი), ბრაიანტი (10), არიზა (10), ფარმარი (10).

ა: ჯო ჯონსონი (14), ჯ. სმიტი (13), მ. უილიამსი (10), ფაჩულია (8+12 მოხსნა).

**ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი 98:100**

18:32, 29:21, 24:25, 27:22

ო: დურანტი (47), ჯ. გრინი (24+7 მოხსნა), უესტბრუკი (12), კრსტიჩი (7+10 მოხსნა).

ნ-ო: დ. უესტი (37+13 მოხსნა), პოლი (21+8 პასი+3 ჩაჭრა), რ. ბატლერი (12+8 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (11).

**იუტა-მემფისი 117:99**

33:25, 23:31, 32:24, 29:19

ი: მაილზი (24), დ. უილიამსი (20+15 პასი), რ. ბრიუერი (19), მილსეპი (18+8 მოხსნა+4 დაფარება), კირილენკო (14).

მ: მაიო (18), გეი (18), მილიჩიჩი (15+10 მოხსნა), კონლი (13), მ. გასოლი (12), არტური (10).

**ფინიქსი-კლიპერსი 140:100**

38:26, 43:23, 37:23, 22:28

ფ: ბარბოზა (24+7 მოხსნა+5 ჩაჭრა), სტაუდმაიერი (23), პოლი (20), მ. [illegible] (15+8 მოხსნა), [illegible]ნი (13+5 მოხსნა), [illegible] (12), [illegible] (6+10 პასი).

კ: ე. გორდონი (24), რ. დევისი (1[illegible]), [illegible] (1[illegible]), ნოვაკი (10), მ. კოლინზი (10), აკერი (10).

**დეტროიტი-მილუოკი 86:92**

17:29, 20:21, 24:24, 25:18

დ: მაკდაისი (24+14 მოხსნა), ჰემილტონი (22), პრინსი (10+7 მოხსნა+8 პასი), რ. უოლასი (10+8 მოხსნა), აივერსონი (10+8 პასი+3 ჩაჭრა).

მ: რ. ჯეფერსონი (29), სეშენსი (17+9 მოხსნა+7 პასი), მ. ალენი (14+8 მოხსნა), ვილანუევა (10).

**ორლანდო-შარლოტი 107:102 (ო)**

25:21, 18:29, 25:24, 27:21, 12:7

ო: დ. ჰოვარდი (45+19 მოხსნა+8 დაფარება), ლუისი (17), თურქოგლუ (13+7 პასი), რედიკი (10).

შ: ფელტონი (22+10 მოხსნა), ოკაფორი (14+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), დიაო (14+7 მოხსნა), რ. ბელი (13), რადმანოვიჩი (12), ოგუსტინი (11).

**ჰიუსტონი-ნიუ ჯერსი 114:88**

27:17, 29:23, 28:25, 30:23

ჰ: იაო მინი (20+12 მოხსნა), ვაფერი (19), ბატიე (19+9 მოხსნა), არტესტი (18), სკოლა (10+11 მოხსნა), ელსტონი (9+11 პასი+3 ჩაჭრა).

ნ-ჯ: ვ. კარტერი (30), ბ. ლოპესი (21+9 მოხსნა+4 დაფარება), დ. ჰარისი (10).




# მაკგრეიდიმ სეზონი დაასრულა

"ჰიუსტონ როკეტსის" ლიდერ **ტრეისი მაკგრეიდისთვის** წლევანდელი სეზონი დასრულებულია. დღემდე ვეტერანი მცველი თავს არიდებდა ტრავმირებული მარცხენა მუხლის სამკურნალოდ ოპერაციის გაკეთებას, მაგრამ ბოლო სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ კალათბურთელის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა და ამიტომაც ტი-მაკი ქირურგიულ ჩარევას დათანხმდა.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მაკგრეიდიმ ამ სეზონში 19 მატჩი გამოტოვა და ჩვეულ შედეგიან თამაშსაც ველარ აჩვენებდა. 35 მატჩში ტრეისის მონაგარმა 15.6 ქულა, 5 შედეგიანი პასი და 4.4 მოხსნა შეადგინა.

ტრეისი მაკგრეიდის ხშირი ტრავმიანობის გამო, ამერიკულმა პრესამ გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ "ჰიუსტონის" ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, თავიდან მოიშოროს პრობლემატური ლიდერი. მაგრამ "როკეტსის" მფლობელმა **ლესლი ალექსანდერმა** დაამედა თავისი გუნდის გულშემატკივრები და გამოაცხადა, რომ არ აპირებს 29 წლის მცველთან გამოთხოვებას.

*"არ მგონია, რომ უახლოეს ხანში ჩვენი და ტრეისის გზები გაიყაროს. ის ლიგის ნამდვილი ვარსკვლავია, ამიტომაც მის ხელში ჩაგდებას ბევრი კლუბი მოინდომებს. მაგრამ ჩვენს გეგმებში არ შედის ამ ბრწყინვალე კალათბურთელთან გამოთხოვება. დიახ, ამ სეზონში მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტრეისის სხვა კლუბში გავუშვებთ. როცა მაკგრეიდი ჯანმრთელია, ის პარკეტზე შეუცვლელი მოთამაშეა. ვისურვებდი, ტრეისიმ კარიერის ბოლომდე "ჰიუსტონის" რიგებში ითამაშოს"*, - ამბობს ალექსანდერი.

სხვათა შორის, ტრეისი მხოლოდ ტრავმების გამო არ ითვლება ლიგის ერთ-ერთ უიღბლო კალათბურთელად. NBA-ში ცხრაწლიანი კარიერის განმავლობაში მას არასოდეს მოუგია პლეი ოფის სერია.

**გია თვალაბეიშვილი**

# ჰორნეტსმა ძირითადი ცენტრი ორ ფორვარდში გაცვალა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშეთა გაცვლებისთვის განკუთვნილი პერიოდი სრულდება და კლუბები მოახლოებული პლეი ოფისთვის შემადგენლობების გაძლიერებაზე ზრუნავენ.

გუშინ, მოთამაშეები გაცვალეს "ნიუ ორლეან ჰორნეტსმა" და "ოკლაჰომა სიტიმ".

"ნიუ ორლეანის" ცენტრი **ტაისონ ჩენდლერი** "ოკლაჰომას" ორ ფორვარდში - **კრის უილკოქსა** და **ჯო სმიტში** გაიცვალა. გარდა ამისა, "ჰორნეტსის" საკუთრება გახდა დრაფტზე არჩეული **დევონ ჰარდინი**, რომელიც ამჟამად საბერძნეთის "ეგალეოში" თამაშობს.

ჩენდლერმა მომდევნო ორი წლის განმავლობაში ხელფასის სახით 25.4 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. წლევანდელ სეზონში მისი მონაგარი 8.8 ქულას, 8.3 მოხსნასა და 1.4 დაფარებას შეადგენს.

**გია თვალაბეიშვილი**



ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კაროლინა-ბოსტონი 1:5**

1:1, 0:1, 0:3

გოლები: 1:0 კულენი-15 (რეი უიტნი-28, საიდენბერგი-16), 1:1 უელერი-17 (ლუჩიჩი-19, ფერენსი-11), 1:2 ჰნიდი-3 (კრეისი-39), 1:3 კრეისი-20 (პ. ბერჟერონი-19), 1:4 კობესიუ-12 (ხარა-21, აქსელსონი-17), 1:5 პ. ბერჟერონი-5 (იელე-9).

**ტორონტო-ბაფალო 1:4**

0:3, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 სტეფორდი-16 (პომინვილი-32), 0:2 პეი-6 (კონოლი-12, კოტალიკი-18), 0:3 ელისი-5 (პეი-11), 1:3 კუბინა-9 (ჯ. ბლეიკი-24, პაგმანი-17), 1:4 სტეფორდი-17 (კონოლი-13, შპაჩეკი-22).

**ტამპა ბეი-ჩიკაგო 3:5**

1:1, 2:1, 0:3

გოლები: 0:1 კეიტი-7 (პავლატი-27, სიბრუკი-11), 1:1 სტემკოსი-8 (მელიხარი-6, კრაიჩეკი-10), 2:1 სტემკოსი-9 (პროსპალი-22, გ. რობერტსი-2), 3:1 სტემკოსი-10 (ემინგერი-19, პროსპალი-23), 3:2 ტეუვზი-19 (კეინი-32, ბარკერი-22), 3:3 კეინი-18 (ბ. კემპბელი-32, ტეუვზი-26), 4:3 ბოლანდი-13 (პავლატი-28, კეიტი-24), 5:3 ტეუვზი-20 (ბროუერი-12, კეინი-33).

**ფლორიდა-ნიუ ჯერსი 4:0**

1:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 უეისი-10 (მაკეიბი-15, ფროლიკი-14), 2:0 ზედნიკი-12 (ბუტი-16, ფროლიკი-15), 3:0 პორტონი-17 (ზედნიკი-13, ბუტი-17), 4:0 სტილმანი-12 (უეისი-31, ბოინტონი-12).

**კოლორადო-ოტავა 3:2 (ო)**

1:1, 1:1, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 შენონი-1 (კუბა-27), 1:1 ლაპერიერი-7 (მაკორმიკი-10, გიტი-5), 2:1 რ. სმიტი-19 (ჰენანი-4, ჰეიდუკი-23), 2:2 შენონი-2 (ლი-8, ვერმეტი-15), 3:2 ვოლსკი-12 (სვატოსი-14).

**კალგარი-ვანკუვერი 3:4 (ბ)**

1:1, 1:1, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 იგინლა-21 (კონროი-24, რ. ბურკი-19), 1:1 კესლერი-17 (ბაროუზი-15), 1:2 კესლერი-18 (ბერნიე-15, ედლერი-22), 2:2 ლენგკოუ-18 (მოსი-12, გლენკროსი-18), 3:2 რ. ბურკი-20 (იგინლა-40, კონროი-25), 3:3 ბიექსა-9 (უ. მიტჩელი-15, დ. სედინი-32).

ბულიტები გაიტანეს: დემიტრა (ვანკუვერი).

"კალგარის" კაპიტანმა **ჯერომ იგინლამ** ორი ქულა დააგროვა და კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირთა შორის მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ახლა ვეტერანის ფორვარდის ანგარიშზე 823 (395+428) ქულა მოდის და მან **ელ მაკინისი** ჩამოიტოვა უკან. 830 ქულით "კალგარის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდარი **ტეო ფლერი** გახლავთ.

**სან ხოსე-ედმონტონი 4:2**

1:2, 3:0, 0:0

გოლები: 1:0 პაველსკი-17 (მ. მიხალეკი-23), 1:1 სტორტინი-4 (ნროძიაკი-9, გილბერტი-30), 1:2 კოული-13 (სურეი-21, გილბერტი-31), 2:2 მარლო-31 (ჩიჩუ-12, დ. მიურეი-6), 3:2 მარლო-32 (გრირი-12), 4:2 ჯ. ტორნტონი-14 (კასპარი-2).

ბიატლონი

# კეტი ოლეს ბაძავს




გუშინ ჩრდილოეთი კორეის ქალაქ პიონჩანგში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების მეექვსე კომპლექტი გათამაშდა.

თუ კაცებს შორის პირველობის გმირად სამი ოქროს მომგები ნორვეგიელი **ოლე ეინარ ბიორნდალენი** უნდა მივიჩნიოთ, ქალებში ეს სტატუსი გერმანელ **კატი ვილჰელმს** ეკუთვნის.

გუშინ, ამ ბიატლონისტმა ბრწყინვალედ წარმართა 15-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა და საკმაოდ დიდი სხვაობით ჩამოიტოვა უკან კონკურენტები. საპრიზო სამეულის წევრებმა 20 სროლიდან თითო შეცდომა დაუშვეს და ვილჰელმმა მათ კარგი ფიზიკური მომზადების წყალობით აჯობა.

კეტისთვის ეს მეორე ოქროა ამ ჩემპიონატში (პირველი სპრინტში მოიპოვა), გარდა ამისა, მან გამოდევნებით რბოლაში ვერცხლის მედალი მოიგო, არადა იქაც შეეძლო გამარჯვება, ბოლო სასროლეთზე სამი შეცდომა რომ არ დაეშვა.

დღეს პიონჩანგში შედარებით ახალ დისციპლინაში გათამაშდება მედლები - ეს არის 4x6 კილომეტრზე შერეული ესტაფეტა (თითო გუნდიდან დისტანციაზე ორ-ორი ქალი და მამაკაცი ბიატლონისტები გავლენ).

**ინდივიდუალური რბოლა. 15 კმ. ქალები**

1. **კატი ვილჰელმი** (გერ) - 44:03.1 (0+1+0+0); 2. **ტეა გრეგორინი** (სლოვენ) - +39.5 (0+0+0+1); 3. **ტორა ბერგერი** (ნორ) - +46.5 (0+0+0+1); 4. **ანა-კარინ ოლოფსონი** (შვედ) - +58.6 (0+1+0+1); 5. **ვერონიკა ვიტკოვა** (ჩეხ) - +1:20.8 (0+0+0+1); 6. **ელენა ხრუსტალიოვა** (ყაზ) - +1:29.3 (0+0+0+0).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები

**დინამო (კ)-ვალენსია 1:1**

**დინამო:** ბოგუში - ელ ქადური, ბეტაო, გიოანე (46. დიახატე), ნესმაჩნი - მიხალიკი, ვუკოევიჩი, კრავჩენკო (66. ნინკოვიჩი), რ. ერიომენკო - კრავეცი (90+4. კორეა), მილევსკი.

**ვალენსია:** სესარ სანჩესი - რაულ ალბიოლი, მარჩენა, მადურო, დელ ორნო - პაბლო ერნანდესი (70. ხოაკინი), ალბელდა, მანუელ ფერნანდეში (82. ბარახა), სილვა (67. ვილია) - მორიენტესი, მატა.

**გოლები:** 0:1 სილვა (8), 1:1 რაულ ალბიოლი (63-საკ. კარში)

**გაძევება:** მილევსკი (72. დინამო)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 10(8)-5(3); **კუთხური:** 4-0; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 7-6; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 16 800

**ზენიტი-შტუტგარტი 2:1**

**ზენიტი:** მალაფეევი - ანიუკოვი, შიროკოვი, კრიჟანაცი, შირლი - ტიმოშჩუკი - ჰუშტი (88. ფაიზულინი), სემშოვი, ზირიანოვი (75. ფატიჰ თექე), დანი - პოგრებნიაკი.

**შტუტგარტი:** ლემანი - ოსორიო, ტაშჩი, ბულარუზი, მანინი - ხედირა (72. ბოკა), ჰიტცშპერგერი - ჰილბერტი, ლანიგი - გომესი, მარიკა (77. შრიბერი).

**გოლები:** 1:0 ჰუშტი (2), 1:1 გომესი (15), 2:1 ტიმოშჩუკი (45)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 10(6)-12(7); **კუთხური:** 6-4; **თამაშგარე:** 7-1; **ჯარიმა:** 16-21; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 17 585

**ოლიმპიაკოსი-სტ. ეტიენი 1:3**

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი- ტოროსიდისი, ანცასი, ა. პაპადოპულოსი (46. მიხ. ჟევლაკოვი), დომი - დუდუ, პაცაცოგლუ - გალეტი (65. დერბიშირი), ბელუში, პ. ჯორჯევიჩი (77. ოსკარი) - დიოგო.

**სტ. ეტიენი:** ჟანო - ვარო, ტაველარიდისი (76. ბენალუანი), მატუიდი, დაბო - პეიე, დერნისი, პაულუ მაშადო, ბეიალ სალი - მირალა, ილანი (46. გომისი).

**გოლები:** 0:1 ილანი (12), 0:2 დერნისი (43), 1:2 ჯორჯევიჩი (64-პენ), 1:3 გომისი (90)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 7(3)-14(6); **კუთხური:** 8-4; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 20-18; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 33 000

**ასტონ ვილა-ცსკა 1:1**

**ასტონ ვილა:** გუზანი - ლ. იანგი, კ. დევისი, ნაითი, შორი - კ. გარდნერი, ს. პეტროვი, ბერი, ე. იანგი - კარიუ, აგბონლაჰორი.

**ცსკა:** აკინფეევი - იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, შენიკოვი - ძაგოევი (80. დანიელ კარვალიო), კრასიჩი, ჟირკოვი (90+2. ჩანერ ერქისი), ალდონინი (90. მამაევი) - რაჰიმიჩი - ვაგნერ ლავი.

**გოლები:** 0:1 ვაგნერ ლავი (14), 1:1 კარიუ (69)

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 12(8)-10(6); **კუთხური:** 8-1; **თამაშგარე:** 5-2; **ჯარიმა:** 8-11; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 38 038

**ვერდერი-მილანი 1:1**

**ვერდერი:** ვიზე - კ. ფრიტცი (74. ჰარნიკი), მერტეზაკერი, ნალდო, ბოონიში - ბაუმანი (63. დ. იენსენი) - ციოლისი, მესუთ ოზილი - დიეგო - პისარო, უგო ალმეიდა.

**მილანი:** დიდა - ბონერა, სენდეროსი, ფავალი, ძამბროტა- ფლამინი, პირლო, ამბროზინი - ზეედორფი (87. იანკულოვსკი), რონალდინიო (89. ბექჰემი) - ფ. ინძაგი.

**გოლები:** 0:1 ინძაგი (36), 1:1 დიეგო (85)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 23(10)-7(5); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 6-7; **ჯარიმა:** 20-14; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 36 151

**ბორდო-გალათასარაი 0:0**

**ბორდო:** რამე - ჟურიეტი, ენრიკე, დიავარა, პლასენტე (84. ტრემულინა) - ა. დიარა, გურკუფი, იუსი - ვენდელი (75. ფერნანდო), შამახი (70. გუფრანი) - კავენაგი.

**გალათასარაი:** დე სანქტისი - ბარიშ ოზბექი, ფერნანდო მეირა, სერვეთ ჩეთინი - არდა თურანი, მეჰმეთ თოფალი - ემრე აშიქი, აიჰან აქმანი, კიუელი (65. საბრი სარიოგლუ) - ლინკოლნი (86. გოკჰან მეჰმეთი), ბაროში (46. ნონდა).

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 15(5)-7(2); **კუთხური:** 1-4; **თამაშგარე:** 2-3; **ჯარიმა:** 17-19; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 25 000

**ნიიმეგენი-ჰამბურგი 0:3**

**ნიიმეგენი:** ბაბოში - კოენდერსი, პოტუიზენი (79. კივუვუ), ცომერი, ელ-აკშაუი - სიბუმი, რადომსკი, დავიდსი - ნტიბაზონკიზა, ვან ბროიკერინგი (70. ჩიბამბა), შიონე (46. ელ-ქაბირი).

**ჰამბურგი:** როსტი - დემელი, გრავგაარდი (63. ბენჯამინი), მატიისენი, აოგო - ალექს სილვა - იაროლიმი, იანსენი (86. ტორუნი) - ტროხოვსკი - პეტრიჩი, ოლიჩი (80. პიტროიპა).

**გოლები:** 0:1 ტროხოვსკი (41), 0:2 ალექს სილვა (45), 0:3 ოლიჩი (76)

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 9(3)-15(8); **კუთხური:** 4-7; **თამაშგარე:** 5-3; **ჯარიმა:** 21-15; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 12 500

**პსჟ-ვოლფსბურგი 2:0**

**პსჟ:** ედელი - ტრაორე, ზ. კამარა, სახო, არმანი - შანტომი, როტენი - პანკრატი (83. მაბიალა), მაკონდა (62. სესენონი) - ლუინდულა (71. პარტუში), ოარო.

**ვოლფსბურგი:** ბენალიო - რიტერი (87. კაიუბი), შიმუნეკი, ბარძალი, მ. შეფერი - შინდცილორცი, ჟოსუე - ჰასებე (78. ალეშანდრე დომინგუში), მიშიმოვიჩი (61. ოკუბო), გენტნერი - ძეკო.

**გოლები:** 1:0 ოარო (80), 2:0 ოარო (84)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 8(6)-5(2); **კუთხური:** 3-1; **თამაშგარე:** 4-0; **ჯარიმა:** 6-8; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 25 000

**სამპდორია-მეტალისტი 0:1**

**სამპდორია:** კასტელაცი - სტანკევიჩუსი, ლუკინი, რაჯი - დესენა (58. სამარკო), დ. ფრანჩესკინი (58. პიერი) - პადალინო, პალომბო, ციგლერი (74. მარლინგო) - ბელუჩი, კასანო.

**მეტალისტი:** გორიაინოვი - მაიდანა, ობრადოვიჩი, გეიე, ბორდიანი - ედმარი (90. განკარჩიკი), რიკუნი (89. ბერეზოვჩუკი), სლიუსარი, ვალიაევი - ოლეინიკი, ჟაჟა (79. დევიჩი).

**გოლი:** 0:1 ოლეინიკი (45+3)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 7(2)-11(7); **კუთხური:** 11-3; **თამაშგარე:** 7-1; **ჯარიმა:** 11-20; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 15 000

**ოლბორგი-დეპორტივო 3:0**

**ოლბორგი:** ზაზა - ბოგელუნდი, მ. იაკობსენი, ბოშამი, ვაელერი - იოჰანსონი, დუე (81. რისგარდი), ენევოლდსენი, აუგუსტინუსენი - შელტონი (66. კურტი), კაკა (75. პ. კრისტენსენი).

**დეპორტივო:** არანსუბია - ლოპო, ადრიან ლოპესი, ზე კასტრო, ფილიპე - სერხიო, ხუან როდრიგესი - ანტონიო ტომასი (76. ლაფიტა), ვალერონი (65. ვერდუ), პაბლო ალვარესი - მისტა (62. ბრავო).

**გოლები:** 1:0 დუე (53), , 2:0 დუე (74), 2:0 მ. იაკობსენი (90-პენ)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 7(5)-5(1); **კუთხური:** 1-1; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 6-8; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 7 987

**ბრაგა-სტანდარდი 3:0**

**ბრაგა:** ედუარდო - ჟოაო პერეირა, ფრეშო, ანდრე ლეონე, ევალდო - ვანდინიო - ალანი (88. სტელვიო), სესარ პეიშოტო (80. ორლანდო სა) - ლუიშ აგიარი - მეიონგ ზე (70. მატეუში), რენტერია.

**სტანდარდი:** არაგონ ესპინოსა - კამოცატო, ონიევუ, მიკულიჩი, მანგალა (64. მელუმო) - დეფური (11. ნიკეზი) - ვ. დალმა, იოვანოვიჩი (90. ბენტეკე) - ვიტსელი - მბოკანი, დე კამარგო.

**გოლები:** 1:0 რენტერია (17), 2:0 ანდრე ლეონე (27), 3:0 ლუის აგიარი (84)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 14(8)-8(2); **კუთხური:** 6-2; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 16-22; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 25 000




სამპდორია-მეტალისტი. ხარკოველებმა მასპინძლებს მტკივნეული დარტყმა მიაყენეს

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**მანჩესტერ იუნ.-ფულჰემი 3:0**

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ო'ში (62. ევანსი), ვიდიჩი, ფერდინანდი, ევრა, სქოულზი, ქერიკი (69. გიბსონი), ჯი სუნ პარკი, კრისტიანო რონალდო, ბერბატოვი (61. რუნი), ტევესი.

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, ჰიუზი, კალიო, პანტსილი (67. დაკური), მერფი (80. მილსომი), დეივისი, ბერდი, დემპსი, გერა (86. ბრაუნი), სამორა.

**გოლები:** 1:0 სქოულზი (12), 2:0 ბერბატოვი (30), 3:0 რუნი (63)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 7-14; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 17-6 (7-0); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 75 437

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 25 | 18 | 5 | 2 | 44-10 | 59 |
| 2. ლივერპული | 25 | 15 | 9 | 1 | 42-17 | 54 |
| 3. ასტონ ვილა | 25 | 15 | 6 | 4 | 40-24 | 51 |
| 4. ჩელსი | 25 | 14 | 7 | 4 | 44-15 | 49 |
| 5. არსენალი | 25 | 12 | 8 | 5 | 38-25 | 44 |
| 6. ევერტონი | 25 | 11 | 7 | 7 | 34-28 | 40 |
| 7. უიგანი | 25 | 9 | 7 | 9 | 26-24 | 34 |
| 8. ვესტ ჰემი | 25 | 9 | 6 | 10 | 31-32 | 33 |
| 9. მანჩესტერ ს | 25 | 9 | 4 | 12 | 42-34 | 31 |
| 10. ფულჰემი | 24 | 7 | 9 | 8 | 22-22 | 30 |
| 11. სანდერლენდი | 25 | 8 | 6 | 11 | 27-33 | 30 |
| 12. ჰალი | 25 | 7 | 8 | 10 | 31-46 | 29 |
| 13. ნიუკასლი | 25 | 6 | 9 | 10 | 33-42 | 27 |
| 14. ბოლტონი | 25 | 8 | 3 | 14 | 27-37 | 27 |
| 15. პორტსმუთი | 25 | 7 | 6 | 12 | 27-41 | 27 |
| 16. ტოტენჰემი | 25 | 6 | 7 | 12 | 26-31 | 25 |
| 17. სტოკი | 25 | 6 | 6 | 13 | 21-40 | 24 |
| 18. ბლექბერნი | 24 | 5 | 8 | 11 | 27-40 | 23 |
| 19. მიდლსბრო | 25 | 5 | 7 | 13 | 18-36 | 22 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 25 | 6 | 4 | 15 | 24-47 | 22 |

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| დერბი-ბლეკპული | 4:1 |
| იფსვიჩი-ნოტინგემი | 2:1 |

**კონფერენცი**

| | |
|---|---|
| ფორესტ გრინი-ნორთვიჩი | 3:0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| გენტი-ანდერლეხტი | 1:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰამე-რონსე | 0:4 |
| ანტვერპენი-ლომელი | 1:2 |
| ბრიუსელი-ვირტონი | 4:0 |
| ლიეჟი-ეუპენი | 1:2 |
| ოლ. შარლერუა-სტ. ტრუიდენი | 2:0 |
| ჰევერლე-ბევერენი | 1:0 |
| ნამური-დაინცე | 1:2 |
| ვაასლანდი-ტურნე | 2:0 |
| ოსტენდე-ტინენი | 1:0 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ფორფარი-რეინჯერსი | 0:4 |

**ფინეთის ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| მარიეჰამნი-ლაჰტი | 3:3 |
| როვანიემი-ინტერი | 0:3 |
| ჰაკა-ვაასა | 2:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბელინცონა-ვადუცი | 1:0 |
| სიონი-ლუცერნი | 1:1 |

**საბერძნეთის თასი**

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-ასტერასი | 0:1 |
| ქსანთი-აეკ | 2:1 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| ძერნარფონი-ეირბასი | 0:2 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| ეთნიკოსი (ა)-აეკ | 2:1 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| აეკ-ოლიმპიაკოსი | 75:95 |
| პანათინაიკოსი-პანელინიოსი | 93:64 |
| კავალა-ეგალეო | 63:50 |
| მარუსი-ოლიმპია | 69:49 |
| კოლოსოსი-ტრიკალა | 86:87 |
| ლარისა-პანიონიოსი | 67:79 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| დინამო-აკ ბარსი | 2:5 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ციურიხი-ბერნი | 1:4 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბუენოს აირესი**

| | |
|---|---|
| კუევასი-ფერეირო | 2:6, 4:6 |
| ფერერო-გრანოლერსი | 6:7, 6:0, 6:3 |

**ATP. მარსელი**

| | |
|---|---|
| ჟიკელი-**ბასტლი** | 4:6, 3:6 |
| **ლოდრა**-დე ვოესტი | 7:6, 6:1 |
| ტურსუნოვი-**ფ. ლოპესი** | 6:7, 6:7 |
| **იუჟნი**-სეპი | 7:6, 6:3 |
| **ჯოკოვიჩი**-შარდი | 7:6, 6:4 |
| **ცონგა**-გოლუბევი | 7:6, 6:2 |
| მონფილსი-**მატიო** | 6:4, 4:6, 5:7 |

**ATP. მემფისი**

| | |
|---|---|
| **ჯინეპრი**-გრეული | 6:4, 6:4 |
| ნიემინენი-**პეტშნერი** | 3:6, 4:6 |
| **ფიში**-ლუ | 6:1, 7:5 |
| **შტეპანეკი**-კიმი | 6:4, 6:2 |
| ჰაასი-**კუერი** | 6:7, 4:6 |

**WTA. დუბაი**

| | |
|---|---|
| **ვესნინა**-ციბულკოვა | 4:6, 6:1, 4:0 უარი |
| **ზვონარევა**-ბარტოლი | 5:2 უარი |
| **ვ. უილიამსი**-კორნე | 6:3, 6:2 |
| ჰანტუხოვა-**რაზანო** | 2:6, 6:1, 2:6 |
| **ივანოვიჩი**-პინი | 6:2, 7:6 |
| **დემენტიევა**-მედინა გარიგესი | 6:1, 6:3 |
| იანკოვიჩი-**კანეპი** | 2:6, 5:7 |
| **ს. უილიამსი**-ჟენგი | 6:4, 6:2 |

**WTA. ბოგოტა**

| | |
|---|---|
| **გალოვიტცი**-ზაკოპალოვა | 6:3, 6:4 |
| **ოლარუ**-ანი | 6:4, 6:2 |
| ჩეტკოვსკა-**ზეჩ პესკირიჩი** | 4:6, 3:6 |
| ლაგოტერა ვივესი-**მეირი** | 6:7, 3:6 |

**WTA. მემფისი**

| | |
|---|---|
| **ლისიცკი**-ფორეცი | 6:2, 6:4 |
| **საფაროვა**-კინგი | 7:6, 6:3 |
| **კეოტავონგი**-ლარშერ ბრიტო | 7:6, 6:4 |
| **ვოზნიაკი**-ბრემონი | 6:1, 7:6 |
| **პარმენტიე**-შიპერსი | 6:4, 6:1 |

TV პროგრამა

**19 თებერვალი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:30 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. სან პაულუ (ბრაზილია)-ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია).
10:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:1ა ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ფულჰემი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. სან პაულუ (ბრაზილია)-ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია).
15:10 უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ზენიტი-შტუტგარტი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ფულჰემი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:45 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
21:40 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. სან პაულუ (ბრაზილია)-ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია).
23:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
01:10 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
02:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი
04:15 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-სენტ ეტიენი.
06:05 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
06:40 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-სევილია.

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა.
12:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
13:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შერეული ესტაფეტა. პინოჩანგი. ჩრ. კორეა (LIVE).
14:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 10 კმ. ქალები. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
15:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
17:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 10 კმ. მას-სტარტი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
18:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
20:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ტრამპლინი. HS100. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
21:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შერეული ესტაფეტა. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
18:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა.
03:00 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. VI ეტაპი. ვისალია-პასო რობლესი. აშშ (LIVE).
03:30 პრო-რესტლინგი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. დუბაი. საემიროები.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
15:45 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩი. ვერდერი-მილანი.
17:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. II ეტაპი. II ტური. ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)-ჰამბურგი (გერმანია).
19:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა.
19:45 ახალი ამბები.
20:00 სნოუბორდი.
20:30 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. მონ-გაბრიელი. კანადა.
21:00 ახალი ამბები.
21:300 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 პეინტბოლი. ტელეჟურნალი.
23:30 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. ნორვეგია.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. II ეტაპი. II ტური. ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)-ჰამბურგი (გერმანია).
02:00 ახალი ამბები.

ფორმულა 1

# მარკა: ალონსო ფერარიში გადავა



ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ამ სეზონის შემდეგ, "რენოს" დატოვებას აპირებს ძირითადი სპონსორი - ჰოლანდიური კომპანია ING. ამ სიახლემ "რენოს" ლიდერ **ფერნანდო ალონსოს** "ფერარიში" გადასვლასთან დაკავშირებით ჭორების ახალი ტალღა წარმოშვა.

ესპანური გაზეთი "მარკა" ვარაუდობს, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ამ სეზონის შემდეგ გადავა იტალიურ გუნდში და მოვლენათა ამგვარ განვითარებას შემდეგნაირად ხსნის: 2009 წლის ბოლოს, "რენოს" გაუჭირდება დაფინანსების ახალი წყაროს მოძიება, რაც ძალიან პრობლემურს გახდის ალონსოს ფრანგულ საჯინიბოში დატოვებას.

მეორე მხრივ, 2010 წლიდან "ფერარის" ერთ-ერთი სპონსორი ესპანური ბანკი - Banco Santander გახდება, რომელიც აუცილებლად მოინდომებს წითელი ბოლიდის საჭესთან ფორმულა 1-ის ერთ-ერთი საუკეთესო პილოტის ხილვას.

კრივი

# პაკიაოს სამეცნიერო ხარისხი

მსოფლიოს საკრივო საბჭოს (WBC) მიერ 2008 წლის საუკეთესო მოკრივედ აღიარებულმა **მენი პაკიაომ** ფილიპინის ქალაქ სებუს უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხი მიიღო. მართალია, მოკრივეს უნივერსიტეტში არანაირი ნაშრომი არ წარუდგენია, მაგრამ მას მაინც მიანიჭეს სამეცნიერო ხარისხი ადამიანის კინეტიკის დარგში.

სწორედ ასე დააფასა უნივერსიტეტმა პაკიაოს სპორტული მიღწევები - ეს მოკრივე სხვადასხვა წონით კატეგორიაში ხუთჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

ადამიანის კინეტიკა - ეს არის დისციპლინა, რომელიც სპორტსმენების ტურნირებისთვის მზადების საკითხებს სწავლობს. უნივერსიტეტის რექტორმა **ელდიგარიო გონსალესმა** გამოაცხადა, რომ პაკიაოს საკრივო გმირობები ამ საკითხებში მის კომპეტენტურობაზე მეტყველებს.

30 წლის ფილიპინელმა თავისი უკანასკნელი ბრძოლა 2008 წლის 6 დეკემბერს გამართა. მან 66-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ლეგენდარული ამერიკელი **ოსკარ დე ლა ჰოია** დაამარცხა. 2009 წლის 2 მაისს, პაკმენს მორიგი ბრძოლა ელის - მისი მეტოქე ბრიტანელი **რიკი ჰატონი** იქნება. ამ შეხვედრისთვის მენი 3 მარტს დაიწყებს მზადებას.

# ჰეი-კლიჩკო ჩაიშალა?

სუპერმძიმე წონაში სამი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის უკრაინელი **ვლადიმირ კლიჩკოსა** და ბრიტანელი **დევიდ ჰეის** სატიტულო ბრძოლა ჩაშლის პირას არის მისული. უკრაინული მხარის განცხადებით, ბრიტანული გუნდი მომავალი ბრძოლისთვის კონტრაქტის გაფორმების პროცედურას არაპროფესიულად მიუდგა.

*"ძირითადი პრობლემა დევიდ ჰეის მენეჯერების არაპროფესიონალიზმში მდგომარეობს. ორი კვირის წინ მოლაპარაკებები რთულად, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა, მაგრამ ახლა ჩვენ შორის ყველანაირი კავშირი გაწყვეტილია.*

*თუ ჰეი იმავე სტილში გააგრძელებს ჩვენთან ლაპარაკს, მას არ ელირსება საჩემპიონო ბრძოლაში მონაწილეობა.*

*იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანელთან ბრძოლა ჩაიშლება, საკუთარი ტიტულების დაცვას კრის არეოლასთან ან რომელიმე სხვა მოკრივესთან შეხვედრაში შევეცდები. ეს საკითხი ოდნავ მოგვიანებით გაირკვევა"*, - აცხადებს ვლადიმირ კლიჩკო, თუმცა არ აკონკრეტებს, რაში მდგომარეობს ჰეის მენეჯერთა არაპროფესიონალიზმი. როგორც ბრიტანული პრესა ვარაუდობს, დევიდმა კლიჩკოსთან ბრძოლისთვის დიდი ჰონორარი მოითხოვა.

როგორც იცით, უკრაინელისა და ბრიტანელის ბრძოლის სავარაუდო თარიღად 20 ივნისი იყო დასახელებული.

ჩოგბურთი



# ფედერერი პაუზას იღებს

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** ჟურნალისტებს თავისი უახლოესი გეგმები გააცნო. კერძოდ, შვეიცარიელი ჩოგბურთელი გამოტოვებს ამერიკის ნაკრების წინააღმდეგ დევისის თასის მატჩს და აგრეთვე მონაწილეობას არ მიიღებს მომავალ კვირას, დუბაიში გასამართ პირველი კატეგორიის ტურნირში.

ფედერერს ეს დამატებითი პაუზა ზურგის ტრავმის რეაბილიტაციისთვის სჭირდება. როგორც როჯერმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აღნიშნა, მას დრო არ ჰყოფნის ამ დაზიანების სამკურნალოდ.

*"გასულ შემოდგომაზე ზურგის ტრავმის მიღების შემდეგ, ხეირიანად მკურნალობა ვერ მოვასწარი, ამიტომაც უახლოეს ორ კვირას რეაბილიტაციისთვის გამოვიყენებ. უნდა დავრწმუნდე იმაში, რომ სეზონის დარჩენილი ნაწილისთვის სრულად ვარ მომზადებული"*, - აღნიშნა ფედერერმა.

დევისის თასზე ამერიკისა და შვეიცარიის ნაკრებთა მატჩი 6-8 მარტს, ალაბამის შტატის ქალაქ ბირმინგემში გაიმართება. როჯერმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ ამ მნიშვნელოვან მატჩში ნაკრებს ვერ დაეხმარება. მან ასევე ბოდიში მოუხადა თავისი ერთ-ერთი საყვარელი ტურნირის - დუბაის ჩემპიონატის ორგანიზატორებს.

სხვათა შორის, წელს ეს ტურნირი მსოფლიოს პირველი ჩოგნის **რაფაელ ნადალის** გარეშეც ჩაივლის. ესპანელი ამ პერიოდში მუხლის ტრავმის მკურნალობას აპირებს.

■ ■ ■

6-8 მარტს, ავსტრალიის ნაკრები დევისის თასზე ტაილანდის ნაკრებს უმასპინძლებს. ერთ დროს პლანეტის საუკეთესო გუნდი წელს მსოფლიოს ლიგაში მოსახვედრად იბრძვის და ამისთვის საუკეთესო შემადგენლობას კრებს.

კერძოდ, ავსტრალიის ნაკრებში ბრუნდება ქვეყნის პირველი ჩოგანი **ლეიტონ ჰიუიტი**, რომელსაც ორი წელია არ უთამაშია დევისის თასზე. ლეიტონის გარდა, ნაკრების კაპიტანმა **ჯონ ფიტცჯერალდმა** გუნდში მიიწვია **კრის გუჩიონე, კარსტენ ბოლი და ბრეიდენ კლეინი.**

ბომონდი

# შაქმა პრეზიდენტი დააფასა



NBA-ის ლეგენდარულმა ცენტრმა **შაკილ ო'ნილმა** ამერიკის ახალ პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** თავისი სპორტული ფეხსაცმელი აჩუქა, რომელიც კალათბურთელის ავტოგრაფით იყო დამშვენებული.

პრეზიდენტმა საჩუქარი ფინიქსის აეროპორტში, ქალაქის მერ **ფილ გორდონის** ვაჟის - **ჯეიკ გორდონისგან** მიიღო. ობამამ 55 ზომის ფეხსაცმელი ხუმრობით თავისას დაატოლა, რის შემდეგაც ბიჭს მადლობა გადაუხადა და აეროპორტი საპრეზიდენტო ლიმუზინით დატოვა.

შეგახსენებთ, რომ "ფინიქსის" ცენტრმა ცოტა ხნის წინ "ყველა ვარსკვლავის" მატჩში მიიღო მონაწილეობა და **კობი ბრაიანტთან** ერთად, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




ეროვნული ბიბლიოთეკა